საქართველოს სტრატეგიული განვითარება

ჩვენ შევძლებთ!

სექტემბერი 2024

სარჩევი

პრეამბულა.....3

ევროპის კავშირში გაწევრიანება.....5

განათლების პოლიტიკა.....18

ერის ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სისტემა.....29

დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა 36

თვითმმართველობის რეფორმა 42

თავდაცვის პოლიტიკა 50

დეზინფორმაციასთან ბრძოლა.....56

ტერიტორიული მთლიანობა და საგარეო პოლიტიკა 59

სამშვიდობო პოლიტიკა აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში 64

ეთნიკური უმცირესობები 68

შრომა და სოციალური დაცულობა 70

სოციალური დაცვის პოლიტიკა 74

დასაქმება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა 77

კაპიტალის ბაზარი.....82

სოფლის მეურნეობა 94

გარემოს დაცვა 97

შინაურ ცხოველთა კეთილდღეობა 103

პრეამბულა

თავისუფლების მოედანი და საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთისადმი სოლიდარობით, პატივისცემითა და ურთიერთგაგებით ვქმნით ერთობას, საქართველოში თავისუფლების, დემოკრატიის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობის გასაძლიერებლად. ვაცნობიერებთ, რომ საქართველოს საზოგადოება მრავალფეროვანია, ჩვენი მიღწევები საერთოა და ქართული სახელმწიფოს სიძლიერე მისი ყველაზე მოწყვლადი მოქალაქეების კეთილდღეობით იზომება. საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება ჩვენი უმთავრესი მისწრაფებაა. ქართული იდენტობა ევროპული იდენტობაა და საქართველოს ბუნებრივი ცივილიზაციური სივრცე ევროპაშია. ევროკავშირში სწრაფი გაწევრიანება საქართველოს პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტია.

განვითარების შემოთავაზებული სტრატეგია მომავალი თაობებისადმი სრული პასუხისმგებლობით შევიმუშავეთ. გამოვიყენეთ პროფესიონალების, აკადემიური სფეროს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და საქართველოს პატრიოტების რჩევები. ამასთანავე, პროგრამას განვიხილავთ როგორც ცოცხალ დოკუმენტს, რომელსაც თქვენთან, საქართველოს მოქალაქეებთან მუდმივი აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე განვაახლებთ. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი საქართველოს მოქალაქეების მისწრაფებებია. დემოკრატია ცოცხლობს მუდმივი დიალოგის რეჟიმში. ჩვენ დემოკრატები ვართ.

თავისუფლების მოედანი დაიცავს ადამიანის თავისუფლებასა და უფლებებს, კანონის უზენაესობას, საქართველოს დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას. იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთო კეთილდღეობას, მდგრად განვითარებას, შიდა ერთიანობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფს შესაძლებლობათა მაქსიმალურ თანასწორობას საქართველოს მოქალაქეებს შორის.

დემოკრატია ვერ იარსებებს სოციალური სამართლიანობის გარეშე. სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს შესაძლებლობების საზოგადოება, სადაც ადამიანები საკუთარი ნიჭით და შრომით წარმატებას მიაღწევენ.

ძლიერი საშუალო კლასი უნდა გახდეს დემოკრატიის, კეთილდღეობის და საზოგადოებრივი მედეგობის საყრდენი.

თავისუფლების მოედანს სჯერა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და არავინ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას ეროვნების, რასის, სქესის, ასაკის, ენის, სოციალური მდგომარეობის, ცხოვრების წესის, რელიგიური, იდეოლოგიური ან პოლიტიკური მრწამსის, ასევე, ფიზიკური, გონებრივი ან ფსიქოლოგიური შესაძლებლობის გამო.

ქალებსა და კაცებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კანონმა უნდა უზრუნველყოს ქალისა და კაცის უფლებრივი თანასწორობა, მათ შორის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობით და სამუშაო ადგილებზე უთანასწორობის ყველა გამოვლინების აღმოფხვრით. ქალებსა და კაცებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი ანაზღაურება ერთნაირი მოცულობისა და შინაარსის სამუშაოსთვის.

თავისუფლების მოედანი ბუნებრივი რესურსების გრძელვადიანი შენარჩუნების ერთგული იქნება და პასუხისმგებლობით მოეპყრობა საქართველოს როლს სამართლიან და მშვიდობიან საერთაშორისო წესრიგში.
თავისუფლების მოედნის საქართველო არის ძლიერი საქართველო - მრავალპარტიული დემოკრატია ძლიერი ინსტიტუტებით, სწრაფად მზარდი ეკონომიკით, მოქალაქეთა კეთილდღეობით და სოციალური უსაფრთხოებით. ძლიერი საქართველო უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური და საიმედო წევრი, რომელსაც ზურგს ძლიერი პარტნიორები უმაგრებენ. საქართველოს მოქალაქეები იმსახურებენ ანგარიშვალდებულ ხელისუფლებებს, რომლებიც მათი თავისუფლების, კეთილდღეობისა და ევროპული მომავლისთვის არაფერს დაიშურებენ.

ევროპის კავშირში გაწევრიანება

გამოწვევები

ევროპის კავშირში გაწევრიანება საქართველოს ეროვნული ინტერესია. მას ზურგს უმაგრებს საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ნება და საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს, რომ კონსტიტუციურმა ორგანოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ევროინტეგრაცია არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის, არამედ შიდა პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაცაა. ევროინტეგრაციის გეგმა იმავდროულად არის ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციის, პოლიტიკური რიტორიკის ნორმალიზების, კორუფციის შემცირების, ძალაუფლების დეკონცენტრაციის, უსაფრთხოების გაძლიერების, კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ეფექტიანი მმართველობის გეგმა.

ევროკავშირში ინტეგრაციის გეგმა, პირველ რიგში, გულისხმობს ევროპულ ღირებულებებზე დამყარებული პოლიტიკის წარმოებას, რაც ნიშნავს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების პატივისცემას. აუცილებელია, რომ ეს გამოხატული იყოს როგორც პოლიტიკური ლიდერების რიტორიკაში, ასევე მათ გადაწყვეტილებებში.

მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის ყველა კომპონენტში პოლიტიკური ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღება ფართო კონსენსუსით.

საქართველოს ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა კლასმა ერთობლივი ქმედითი და სწრაფი ნაბიჯები უნდა გადადგან ევროკომისიის მიერ 2023 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ცხრა რეკომენდაციის განსახორციელებლად, რაც საფუძველს დაუდებს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებას.

საქართველოს მთავრობამ უნდა გამოხატოს მკაფიო ამბიცია - როგორც საგარეო ურთიერთობების ასპარეზზე, ასევე დემოკრატიული რეფორმების განუხრელი

ერთგულებით ქვეყნის შიგნით - რომ ის მზად არის ევროპის კავშირის წევრობისთვის და ამას ცალსახად იმსახურებს.

კრიტიკული ნაბიჯები

1. **ინსტიტუციური მოწყობა**

   ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი გულისხმობს პოლიტიკის ტრანსფორმაციას, ინსტიტუციურ რეფორმებს და სექტორულ ცვლილებებს, რომელთა ცენტრალიზებული და ეფექტიანი კოორდინაცია აუცილებელია. მისი პროფილიდან გამომდინარე, ამ ამოცანას საგარეო საქმეთა სამინისტრო სათანადოდ ვერ ახორციელებს. შესაბამისად, დღეს არსებული ინსტიტუციური ჩარჩო ევროინტეგრაციის საჭიროებებს ვერ უპასუხებს. სწორი ინსტიტუციური ჩარჩოს უზრუნველსაყოფად შეიქმნება სახელმწიფო მინისტრის ადმინისტრაცია, რომელსაც უხელმძღვანელებს ვიცე-პრემიერის რანგის მქონე სახელმწიფო მინისტრი. მას ექნება სრული პოლიტიკური მანდატი და ადმინისტრაციული რესურსი იმისთვის, რომ სათანადოდ გაართვას თავი პოლიტიკის დაგეგმვის და უწყებრივი კოორდინაციის ამოცანებს. ეს ცვლილება ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციის პროცესში ჩაბმული სახელმწიფო უწყებების მწყობრ მუშაობას, გადაწყვეტილებების დროულ მიღებას, აღსრულებას და მონიტორინგს.

2. **ახალგაზრდების მობილობა და გაცვლითი პროგრამები**

   თავისუფლების მოედნისთვის პრიორიტეტია, რომ ახალგაზრდებმა, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეებმა ზოგადად, გაწევრიანების პროცესშივე იგრძნონ ევროინტეგრაციის ხელშესახები სიკეთეები. თავისუფლების მოედანი აპირებს ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყებას ახალგაზრდების სასწავლო და პროფესიული მობილობის თაობაზე.

   ერაზმუსის გაცვლით პროგრამებში სტიპენდიით მონაწილეობის შესაძლებლობა გაიზრდება წელიწადში 5 000-მდე. სახელმწიფო უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დამატებით დაფინანსებას.

ერაზმუსის პროგრამის გააქტიურებასთან ერთად ევროკავშირის ქვეყნებს, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს შევთავაზებთ ორმხრივი ახალგაზრდული ვიზების პროგრამას. ეს ვიზები 30 წლამდე ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს, ორი წლის მანძილზე ისწავლონ, იმუშაონ და იმოგზაურონ ევროპაში.

საქართველო შეუერთდება DiscoverEU - ს. ეს პლატფორმა ყოველწლიურად 35, 000 ევროპელ ახალგაზრდას უფინანსებს სამგზავრო ბილეთს, რომლითაც ისინი ევროპის მასშტაბით უფასოდ მოგზაურობენ. ახალგაზრდებს ასევე ეძლევათ სპეციალური ბარათი (European Youth Card), რომელიც კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე, სასტუმროებსა და ტრანსპორტზე ფასდაკლებებს ითვალისწინებს. თავისუფლების მოედანი იმუშავებს, რომ საქართველო შეუერთდეს DiscoverEU-ს წევრი ქვეყნების რიგს იმისათვის, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა ისარგებლონ პიროვნული განვითარების ევროპული შესაძლებლობებით.

3. საქართველოს გაწევრიანება SEPA-ში (Single Euro Payment Area)

საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი და ეროვნული ბანკი მოკლე ვადებში უზრუნველყოფენ საქართველოს SEPA-სთან მიერთებისთვის საჭირო ზომების მიღებას. ამ პროცესში საქართველო არ ჩამორჩება ტრიოს ქვეყნებს.

ერთიანი ევროგადახდის სისტემა გაუადვილებს ფინანსურ გადარიცხვებს ემიგრანტებს, კერძო პირებსა და ბიზნესებს.

SEPA-ს წევრობა ასევე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროზონასთან დაახლოების და ევროპის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების თვალსაზრისით.

4. ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი რეალიზება

ევროკავშირი გახდება საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი და მისი ხვედრითი წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მკვეთრად გაიზრდება.

რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება შემცირდება ქართული პროდუქციის და სერვისების ევროკავშირში ექსპორტის ზრდის შედეგად. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა ინტეგრირდეს ევროპის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში. ამასთანავე, ეს ქართველი მეწარმეებისთვის კონკურენტულობის ამაღლებისა და სტაბილურად მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობაა. მთავრობა მუდმივად იზრუნებს ამ მიზნების ხელშეწყობისთვის.

5. ევროპასთან პირდაპირი მიმოსვლის და დაკავშირებადობის განვითარება

ევროპის დედაქალაქებში პირდაპირი ფრენების წახალისებასა და უზრუნველყოფას მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს უპასუხებს ქართველი ემიგრანტების, სტუდენტებისა და, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეების ინტერესებსაც. რეგულარული პირდაპირი ფრენები განხორციელდება ბრიუსელის და სხვა ევროპის სხვა ქვეყნების დედაქალაქების მიმართულებით. სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას, ინფრასტრუქტურის მოწყობასა და, საჭიროების შემთხვევაში, კერძო - საჯარო პარტნიორობის ინიციირებასა და ანალიტიკური, მარკეტინგული და სხვა სახის მხარდაჭერას.

ევროკავშირთან დაკავშირებადობის განვითარება მოხდება სწრაფი, ევროპული სტანდარტის სარკინიგზო, საგზაო და საზღვაო ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კავშირების განვითარების გზით. აღნიშნული მიზნებისთვის მოხდება ევროკავშირის Ten-T ინიციატივის ფარგლებში მხარდაჭერის მაქსიმალურად ათვისება, სახელმწიფო თანამონაწილეობის გაზრდა და სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი პროექტების დაგეგმვა.

6. კანდიდატების ტრიო: საქართველო, უკრაინა, მოლდოვა

ევროკავშირის გაფართოების ტალღები, როგორც წესი, ემყარება რეგიონული ბლოკების ლოგიკას. დღევანდელ ვითარებაში და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველო განიხილებოდეს მოწინავე ქვეყნების ჯგუფში უკრაინასთან და მოლდოვასთან

ერთად. აუცილებელია, საქართველოს ჰქონდეს ინტენსიური თანამშრომლობითი ურთიერთობა უკრაინასა და მოლდოვასთან ორმხრივ და სამმხრივ რეჟიმში. ეს მოგვცემს გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილების ერთობლივი ლობირების შესაძლებლობას. ტრიოს ფორმატი განახლდება და თვისობრივად ახალ დონეზე ავა.

7. ბერლინის პროცესი, „სამი ზღვის ინიციატივა“ და სხვა ფორმატები

საქართველო აქტიურად გამოხატავს ევროკავშირის წევრობის ამბიციას. საგარეო ურთიერთობების მიმართულებით ამის ერთ-ერთი გზა არსებულ რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში ჩართვა და ეფექტიანი მონაწილეობაა. ეს მოგვცემს მეტ კავშირებს, ფინანსურ რესურსებზე წვდომას და მეტ პოლიტიკურ მხარდაჭერას.

საქართველო ჩაერთვება ბერლინის პროცესში, რომელიც ქმნის ევროინტეგრაციის მიზნებისთვის რეგიონული თანამშრომლობის ჩარჩოს ევროკავშირის წევრი და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის. ამ ფორმატში მონაწილეობა შეუძლიათ არა მხოლოდ ბალკანეთის ქვეყნებს.

საქართველო აქტიურად ჩაერთვება „სამი ზღვის ინიციატივაშიც“ პარტნიორი მონაწილის სტატუსით. „სამი ზღვის ინიციატივა“ ბალტიის, ადრიატიკის და შავი ზღვის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის ფორმატია. როგორც შავი ზღვის ქვეყანა, საქართველო ისარგებლებს ამ ფორმატით და აქტიურად ჩაერთვება მასში გათვალისწინებულ ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და ციფრული თანამშრომლობის პროექტებში.

8. ფარული მოსმენების გამოძიება

2021 წელს გახმაურებულმა უკანონო ფარულმა ჩანაწერებმა, სადაც ევროკავშირის წარმომადგენლებზე მიყურადების შემთხვევებიც დაფიქსირდა, ზიანი მიაყენა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებს. არაერთი მოთხოვნისა და დაპირების მიუხედავად, ეს უკანონობა არავის გამოუძიებია. აუცილებელია უკანონო ფარული მიყურადების ფაქტების გამოძიება და მომავალში მათი განმეორების გამორიცხვა.

9. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა მისი არადემოკრატიული შინაარსის გამო საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეაჩერა. ეს კანონი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს.

სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა იქნება დაცული და ყოველგვარი ძალადობისა და შევიწროებისგან თავისუფალი.

პარლამენტი და მთავრობა ხელს შეუწყობენ დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას, წაახალისებენ საერთაშორისო ფონდებს მათ მხარდასაჭერად და უზრუნველყოფენ მათ ეფექტიან ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

10. დეზინფორმაციასთან ბრძოლა

პოლიტიკური ლიდერების და მათთან აფილირებული ჯგუფების მხრიდან დასრულდება უსაფუძვლო ბრალდებები „მეორე ფრონტის“ და „გლობალური ომის პარტიის“ თაობაზე. ასევე დასრულდება სხვადასხვა შინაარსის ანტიდასავლური პროპაგანდა.

ხელი შეეწყობა იმ ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც რუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ მუშაობენ. ასევე ხელი შეეწყობა მოსახლეობის ცოდნის გაზრდას ევროპული ინსტიტუტების, ღირებულებების, პოლიტიკური ისტორიისა და ევროინტეგრაციის შესახებ.

გამოვლინდება რუსული დეზინფორმაციის ქსელები და შეიზღუდება მათი საქმიანობის არეალი. გაქარწყლდება მათ მიერ გავრცელებული ყალბი გზავნილები წიგნიერების წახალისებით და სათანადო ინფორმაციის გავრცელებით.

პარლამენტი იზრუნებს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაზე და რეგულარულ მონიტორინგს განახორციელებს გაწეულ საქმიანობაზე.

11. ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან (CFSP) საქართველოს თანხვედრის გაუმჯობესება

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებთან თანხვედრის მაჩვენებელი არ ჩამოსცდება 80%-ს. საქართველოს თანხვედრა ევროკავშირის ღირებულებით და ძირითად საგარეო პოლიტიკურ ხაზთან იქნება ერთმნიშვნელოვანი. საქართველოს მთავრობა მიიღებს პროაქტიულ ზომებს ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების რეჟიმის გვერდის ავლის წინააღმდეგ და მოახდენს ამ ზომების მკაფიო დემონსტრირებას.

საქართველო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ევროკავშირის უსაფრთხოების მისიებში.

საქართველო თავს შეიკავებს რუსეთთან სატრანსპორტო კავშირებისა და რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემდგომი გაღრმავებისაგან. არსებული დამოკიდებულება აღმოიფხვრება ევროპის ქვეყნებში მიმოსვლისა და მათთან ვაჭრობის განვითარების გზით.

ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მიერ დაწესებულ ფინანსურ სანქციებზე არ იმოქმედებს საგამონაკლისო წესი.

12. დეპოლარიზაცია

პოლარიზაციის ხარისხის შემცირება ქართული პოლიტიკის გაჯანსაღებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. დეპოლარიზაცია საჭიროებს პიროვნულ თავდასხმებზე აგებული რიტორიკის აღმოფხვრას, სიძულვილის ენის შემცირებას, შინაარსზე ორიენტირებული დებატების წახალისებას, ძალაუფლების გადანაწილებასა და ინკლუზიურ მმართველობას. დეპოლარიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს შეიცავს 19 აპრილის შეთანხმება, რომელთა აღსრულება უნდა მოხდეს.

მმართველმა კოალიციამ უარი უნდა თქვას ოპონენტების მიმართ პიროვნულ თავდასხმებზე, რადიკალიზების რიტორიკაზე, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ თავდასხმებსა და სიძულვილის ენაზე. პოლიტიკოსები უნდა

მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ლოიალური, არამედ კრიტიკული მედიის ეთერებშიც.

გენერალური პროკურორი აირჩევა კვალიფიციური უმრავლესობით, ოპოზიციის მაქსიმალური მონაწილეობით.

ძალაუფლების დეკონცენტრაცია პარლამენტში მოხდება ხუთი კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციის გადაცემით ოპოზიციისათვის. ეს ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა პრეფერენციების მმართველობაში უფრო სრულყოფილად ასახვას და კონკურენტულ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის კულტურის დამკვიდრებას.

პოლიტიკური პარტიების ინკლუზიური რეფორმა უზრუნველყოფს პოლიტიკაში ფულის ნაკადების შემცირებას, გამჭვირვალობასა და საჯარო დაფინანსების სამართლიანი პრინციპების შემუშავებას. ეს ცვლილებები საჭიროებს თავისუფალ გარემოს, სადაც მმართველი პარტიის მხარდაჭერა არ არის დაკავშირებული პრივილეგიებთან და ოპოზიციის მხარდაჭერა - პოტენციურ სანქციებთან.

საქართველოსა და ევროპის პარლამენტებს შორის ჟან მონეს დიალოგი ხელს შეუწყობს პარტიათა შორის დიალოგისა და კონსენსუსის ტრადიციის ჩამოყალიბებას და ორ ინსტიტუტს შორის სამუშაო კავშირების გამყარებას.

13. თავისუფალი არჩევნები

საარჩევნო სისტემა უნდა იყოს სრულად პროპორციული 2%-იანი საარჩევნო ბარიერით.

ცესკოს თავმჯდომარე და წევრები უნდა აირჩეოდნენ კვალიფიციური უმრავლესობით, საპარლამენტო ჯგუფების მაქსიმალური თანამონაწილეობით.

საარჩევნო პერიოდში მმართველი პარტია და სახელმწიფო მკაფიოდ გაიმიჯნება, რამაც უნდა გამორიცხოს სახელმწიფო რესურსების გამოყენება მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

საარჩევნო პროცესი უნდა იყოს ეუთო/ოდირის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში, რაც გულისხმობს თავისუფალი, კონკურენტული და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფას.

სახელმწიფო უარს იტყვის ამომრჩევლების დაშინების, მოსყიდვის და უკანონო მობილიზების პრაქტიკაზე. საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანები იქნებიან თავისუფალი ნებისმიერი ვალდებულებისგან, რაც მათ პოლიტიკურ და საარჩევნო პრეფერენციებს შეეხება.

ემიგრანტებს ექნებათ შესაძლებლობა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა ელექტრონულად ხმის მიცემის გზით. შესაბამისი პროცედურა იქნება გამჭვირვალე და უსაფრთხო.

ყოვლისმომცველი საარჩევნო რეფორმა განხორციელდება ფართო პოლიტიკური კონსენსუსის გზით, ეუთო/ოდირის, ვენეციის კომისიის და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით.

14. საპარლამენტო ზედამხედველობა

პარლამენტი ეფექტიან კონტროლს განახორციელებს და ამისათვის მისი საზედამხედველო ფუნქციები გაძლიერდება. ეს გულისხმობს მინისტრის საათის, ინტერპელაციის, თემატური მოკვლევის, თემატური მოხსენებისა და საგამოძიებო კომისიის ინსტრუმენტების დახვეწას და სამთავრობო საათის მექანიზმის შემოღებას, რამაც აქტუალურ საკითხებზე მთავრობის წევრების მოსმენა და მათთან მუდმივი, შინაარსზე ორიენტირებული დებატები უნდა უზრუნველყოს. ეს ცვლილებები განხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

პარლამენტი განახორციელებს ეფექტიან კონტროლს უსაფრთხოების სამსახურებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფარული მოსმენების მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა განმტკიცებული იქნება როგორც კანონმდებლობის, ასევე მისი ეფექტიანი აღსრულების თვალსაზრისითაც.

საპარლამენტო ნდობის ჯგუფში უზრუნველყოფილი იქნება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე საპარლამენტო უმცირესობის ეფექტიანი მონაწილეობა. ნდობის ჯგუფის ადმინისტრაციული რესურსები გაიზრდება.

სახელმწიფო თანამდებობის პირები არ ისარგებლებენ საგამონაკლისო წესით კომიტეტის სხდომაზე გამოცხადების თავიდან ასარიდებლად.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღონ ყველა საპარლამენტო კომიტეტის მუშაობაში.

დეპუტატების შეკითხვებს დროულ და სრულ პასუხს გასცემენ შესაბამისი უწყებები.

15. სასამართლო რეფორმა

ძირეული სასამართლო რეფორმა განხორციელდება პოლიტიკური ჯგუფების და საერთაშორისო პარტნიორების ფართო მონაწილეობით. ამ პროცესში შემუშავდება სასამართლო სისტემის მაღალი თანამდებობის პირების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კეთილსინდისიერების და პროფესიონალიზმის შემოწმების მექანიზმის. ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებენ ვენეციის კომისია, ევროკომისია და საერთაშორისო ექსპერტები.

რეფორმა უზრუნველყოფს მოსამართლის თანამდებობაზე სამართლიანი კონკურენციის პირობებში კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კანდიდატების შერჩევას.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით შემცირდება სამართალწარმოების პროცესში შესაძლო პოლიტიკური ჩარევის რისკები, მათ შორის საქმეთა შემთხვევითი განაწილების წესის დახვეწის გზით.

სასამართლო სისტემა გაძლიერდება საჭირო რესურსებით, რამაც საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემა უნდა აღმოფხვრას.

16. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

რეგულარულად შემოწმდება სახელმწიფო თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები და ლეგიტიმურ შემოსავალთან დაკავშირებით საეჭვო გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში დაიწყება გამოძიება.

ანტიკორუფციული ბიურო ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ პარლამენტის წინაშე. მისი ხელმძღვანელი აირჩევა კვალიფიციური უმრავლესობით და ოპოზიციის მონაწილეობით. ბიუროს ექნება სათანადო ადმინისტრაციული რესურსები, იმუნიტეტი და ეფექტიანი მანდატი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე. მისი ხელმძღვანელი აირჩევა კვალიფიციური უმრავლესობით და ოპოზიციის მონაწილეობით. სპეციალური საგამოძიებო სამსახური იქნება მთლიანად დამოუკიდებელი პროკურატურისგან და ექნება სრული საგამოძიებო და სისხლის სამართლებრივი დევნის უფლებამოსილება. მას ექნება სრული ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერა ანტიკორუფციული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

საქართველო იქნება OECD ანტიკორუფციული ქსელის წევრი და უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციების განხორციელებას.

სახელმწიფო ტენდერების რეფორმა უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების ხარჯვას გამჭვირვალე, სამართლიანი და თანაბარი კონკურენციის პირობებში. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები თავისუფალი უნდა იყვნენ პოლიტიკური გავლენებისგან.

პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის რეფორმა გააძლიერებს მის ანგარიშვალდებულებას და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას. პერსონალური მონაცემების დაცვა და სამართლებრივი რეაგირება დარღვევებზე დაექვემდებარება ევროკავშირის, ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის სტანდარტებს.

17. დეოლიგარქიზაცია

ოლიგარქიის მავნე გავლენებისგან სახელმწიფოს დაცვის შემადგენელი ნაბიჯებია:

- სრულფასოვანი სასამართლო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს სრულ დამოუკიდებლობას;
- მაღალი დონის კორუფციის საქმეების ეფექტიანი და დროული გამოძიება;
- ფინანსური ნაკადების შეზღუდვა პოლიტიკაში და მათი ეფექტიანი კონტროლი. პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- თავისუფალი მედიაგარემოს უზრუნველყოფა და სათანადო პირობების შექმნა დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციების ოპერირებისთვის;
- ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესრულება და ამ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება და აღსრულება.

18. ადამიანის უფლებები

- შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა;
- ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის წახალისება;
- კანონმდებლობის შემუშავების და მისი იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა.

19. გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყება და კანდიდატი ქვეყნებისთვის გათვალისწინებული ევროპული ფონდების მოზიდვა

- ევროკომისიის რეკომენდაციების სწრაფი შესრულება საფუძველს დაუდებს მოლაპარაკებების დაწყებას გაწევრიანების თაობაზე;
- კანდიდატი ქვეყნების მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული ფონდი 14 მილიარდ ევროს აღემატება. ამ ფონდიდან მოზიდული თანხები

დაიხარჯება შემდეგ პრიორიტეტებზე: კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, დაკავშირებადობა, გარემოს დაცვა, ეკონომიკური განვითარება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, მეცნიერება, განათლება და ხელოვნება.

განათლების პოლიტიკა

გამოწვევები

საქართველოს მოქალაქეების კომპეტენტურობის გაზრდის მიზნით, თავისუფლების მოედანს პრიორიტეტად მიაჩნია საქართველოში განათლების სისტემის სრულფასოვანი და გააზრებული რეფორმის დაწყება. საქართველოს წინა მთავრობების არაერთი მცდელობა, გაეუმჯობესებინათ განათლების სისტემა, წარუმატებელი აღმოჩნდა. განათლების რეფორმის კრახი მათმა არათანმიმდევრულმა მიდგომებმა და მკაფიო, სამეცნიერო და პროფესიული ცოდნაზე დაფუძნებული ხედვის არარსებობამ გამოიწვია.

განათლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. მცოდნე, გამბედავ და ზნეობრივ მოქალაქეებს შეუძლიათ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოებრივი და პირადი სიკეთის შესაქმნელად. განათლება საფუძველია ერის იდენტობის, კეთილდღეობის, მშვიდობიანი და სამართლიანი განვითარებისთვის. განათლება აუცილებელია პიროვნებისთვის საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ეთიკური თუ სხვა მიზნების მისაღწევად. ევროპული განათლების სისტემები იძლევა საუკეთესო ბალანსს ეროვნული, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თავისუფლების მოედნის მიზანია ევროპული გამოცდილების შესაბამისი განათლების სისტემის განვითარება საქართველოში.

დღეს პრობლემებია განათლების ყველა ქვესექტორში: საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში, სახელოვნებო ცენტრებსა თუ სასპორტო განათლებით დაკავებულ ორგანიზაციებში.

საქართველოს განათლების სისტემას აქვს ორი დიდი გამოწვევა: განათლების ხარისხი და განათლების ხელმისაწვდომობა.

განათლების ხარისხი

ნებისმიერი ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევისა და შეფასების თანახმად, რომელიც მათ ცოდნასა და უნარებს ამოწმებს, სკოლის მოსწავლეები საშუალოზე

გაცილებით დაბალ შედეგებს აჩვენებენ. დამსაქმებლები ჩივიან საუნივერსიტეტო პროგრამების კურსდამთავრებულების არასათანადო კომპეტენციაზე. საჯარო განათლების ხარისხით უკმაყოფილოა მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი და კერძო რეპეტიტორობით ან კერძო სკოლებში მიგრაციით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას. მიუხედავად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სიარულისა, ბავშვები მაინც არასაკმარისად მომზადებულები მიდიან სკოლაში. დაბალია კვლევითი ორგანიზაციების წარმადობა და საქართველოში ნაწარმოები ცოდნის საერთაშორისო გავრცელება. საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები, სასწავლო მასალები, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო თუ სამუშაო სივრცეები ღარიბი, გაუმართავი და მოძველებულია.

სკოლები და უნივერსიტეტები ქართული კულტურის ცენტრალურ ინსტიტუტებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგად განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯები ბოლო წლებში გაორმაგდა, სამწუხაროდ, განათლების ხარისხი არ გაუმჯობესებულა.

განათლების ხელმისაწვდომობა

განათლების სფეროში ჩატარებული ყველა კვლევა აჩვენებს, რომ ქართველ ბავშვებსა და ახალგაზრდებს უკიდურესად არათანაბრად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე, განსაკუთრებით კი ისეთ განათლებაზე, რომელიც მათ ან მათ მშობლებს ხარისხიან განათლებად მიაჩნიათ. დიდი სხვაობაა დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სასოფლო დასახლებებში მიღებულ განათლების შედეგებს შორის. ზოგადი განათლების სისტემა ვერ ახერხებს დასახული მიზნების მიღწევას. ეს გარემოება აიძულებს ოჯახებს, საკუთარი სახსრებით შეავსონ სკოლაში მიღებული საგანმანათლებლო დანაკარგები, რაც სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით დიდ უთანასწორობას წარმოშობს. ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სკოლამდელ მომზადებაზე, კომპეტენტურ სასკოლო პედაგოგიურ კორპუსზე, გამართულ ინფრასტრუქტურასა და შედარებით მაღალი ხარისხის საუნივერსიტეტო განათლებაზე. უნივერსიტეტების სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დროზე ადრე ანებებს სწავლას თავს განათლების მაღალი გადასახადების გამო.

ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ორ უმნიშვნელოვანეს პრობლემას იწვევს და აღრმავებს განათლების არასწორი პოლიტიკა. განათლების დღევანდელი პოლიტიკის პრობლემებია:

განათლების არადემოკრატიულობა, სისტემის პარტიულ ინტერესებზე დაქვემდებარება

განათლების სისტემა დაშორებულია საზოგადოების საჭიროებებს და ამის საპირისპიროდ დაქვემდებარებულია მმართველი პარტიის ინტერესებზე. მმართველი პარტია საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით ლახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიას, ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორებს, უნივერსიტეტების რექტორებს, საბავშვო ბაღებისა და არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრების ხელმძღვანელებს. პარტიულ ინტერესებზე მორგებული პოლიტიკა ხელს უშლის პროფესიონალების შესაძლებლობების გამოყენებას განათლების პრობლემების მოგვარებაში, გრძელვადიანი, თანმიმდევრული პროგრამების დანერგვას, მტკიცებულებებსა და სამეცნიერო საფუძვლის მქონე გადაწყვეტილებების მიღებას. განათლების პოლიტიკის არადემოკრატიულობა იწვევს განათლების პროცესში დემოკრატიულობის შეზღუდვასაც.

ნაკლები ზრუნვა სოციალურ თანასწორობისა და კეთილდღეობის საკითხებზე

განათლების პოლიტიკა არ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების ხარისხიანი განათლების მიღებისათვის უთანასწორო ფინანსურ და მატერიალურ შესაძლებლობებს. განათლების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი იშვიათად არის განათლების, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების გააზრება. განათლების პოლიტიკა არ ითვალისწინებს იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც მოსწავლეების მშობლებსა და სტუდენტებს აქვთ, რაც მათ ხელს უშლის კონცენტრირებულები იყვნენ განათლების მიღებაზე. განათლების სფეროს მართვა სათანადო ყურადღებას არ აქცევს საქართველოს ეთნიკურ თუ კულტურულ მრავალფეროვნებას და სახელმწიფოში მოქალაქეების სრულფასოვანი ინტეგრაციის საკითხს.

რესურსების არასათანადო მობილიზაცია და ხარჯვა

ერთი მხრივ, განათლების სფეროს, განსაკუთრებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულების დაფინანსება არ არის სახელმწიფოს პრიორიტეტი.

მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელს არ უწყობს დამატებითი ფინანსური თუ მატერიალური რესურსების ისეთ მობილიზებას კერძო სექტორიდან, რაც სასწავლო დაწესებულებებისთვის სისტემური პრობლემების მოგვარების მეტ შესაძლებლობას გააჩენდა. განათლების ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია მოუქნელი და არაეფექტიანი ბიუროკრატიის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

ახალი ცოდნის წარმოების არასაკმარისი წახალისება, ინოვაციური მიდგომების შეზღუდვა

განათლების სფეროში პრიორიტეტულად არ მიიჩნევა ახალი სასწავლო მეთოდების, მართვის მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება. განვითარების წახალისების ნაცვლად, დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკით საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ავტონომია მნიშვნელოვნად იზღუდება. განათლებისა და მეცნიერების სისტემის გადაწყვეტილებები იშვიათად ითვალისწინებს თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი პრინციპები ცვლილებისთვის

თავისუფლების მოედნის გუნდი განათლების რეფორმას აკავშირებს პოლიტიკურ ფილოსოფიასთან, რომელიც ეფუძნება იმას, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქის ღირსეული ცხოვრება პოლიტიკური სტაბილურობით, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებითა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდით უნდა უზრუნველვყოთ. ვინაიდან საქართველოს კეთილდღეობა მჭიდრო კავშირშია მის ეკონომიკურ განვითარებასა და ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან, მიგვაჩნია, რომ საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში უპირველესი ადგილი სწორედ განათლებას უნდა მიენიჭოს.

პარლამენტში შესვლისთანავე, თავისუფლების მოედანი დააინიციირებს განათლების რეფორმის პაკეტს, რომელსაც საქართველოს მთავრობა სკოლებსა და უნივერსიტეტებში დანერგავს. რეფორმა, სახელწოდებით „გაძლიერებული სკოლები, განათლებული საზოგადოება“ საქართველოში განათლების რეფორმის მომავალი ტალღის ცენტრალურ თემად იქცევა. რეფორმის ფარგლებში, „გაძლიერებული სკოლების“ ცნება მოიცავს როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო განათლებას და მიზნად ისახავს მოსწავლეებსა და სტუდენტების სამეცნიერო, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გაზრდას. ცნებაში „განათლებული საზოგადოება“

კი იგულისხმება უწყვეტი განათლების პროგრამები ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც თანხვედრაში იქნება გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოთხოვნებთან და ეფექტიანად უპასუხებს საინფორმაციო ეპოქის საჭიროებებს.

განათლების შემოთავაზებული რეფორმის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლისა და სტუდენტის ჩამოყალიბებას კრიტიკულად მოაზროვნე და პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ. თავისუფლების მოედანს მიაჩნია, რომ სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის მეტი პასუხისმგებლობის გადაცემით, ისინი შეძლებენ, დამოუკიდებლად დაიქირაონ ან დანიშნონ პერსონალი, შექმნან და გაიაზრონ საკუთარ ინტერესებზე მორგებული კურიკულუმები, იპოვონ საკუთარი გამორჩეული ნიშა სისტემაში. განათლების პოლიტიკის რეფორმა სკოლებსა და უნივერსიტეტებს მიანიჭებს გაცილებით მეტ ავტონომიას ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის დივერსიფიკაციისთვის.

განათლების რეფორმის შემოთავაზებული მიდგომები არ არის მხოლოდ დევიზი, არამედ ის ფორმულაა, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს, კონკურენცია გაუწიოს წამყვან ქვეყნებს და დაწინაურდეს გლობალურ საგანმანათლებლო სისტემაში. დარწმუნებული ვართ, რომ რეფორმის შედეგად ამაღლდება წიგნიერების დონე, მოქალაქეები შეიძენენ თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების უნარებს, შეძლებენ ინფორმაციის შეჯერებას და ანალიზს, ხოლო მიღებულ ცოდნას პრობლემების შემოქმედებითი, ჰუმანური და ინოვაციური მიდგომებით გადასაწყვეტად გამოიყენებენ.

იმისათვის, რომ ვითარება მუდმივად და რაც შეიძლება სწრაფად გაუმჯობესდეს, განათლების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებს:

განვითარება - განათლების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს განვითარებისთვის, ერთი მხრივ, ხელისშემშლელი ბარიერების მოცილებისა და, მეორე მხრივ, განვითარებისთვის საჭირო წახალისების მექანიზმების დანერგვის პრინციპს. სისტემური გადაწყვეტილებები ხელს უნდა უწყობდეს განათლების თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევების გათვალისწინებას და, ამავდროულად, უნდა ახალისებდეს ადგილობრივი ცოდნის, მიდგომების შემუშავებასა და დანერგვას. განათლების განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადობის პრინციპს, რომ მთავრობის შიგნით ან ხელისუფლებათა შეცვლის დროს არ ხდებოდეს განვითარების გზების სპონტანური ცვლილება.

დემოკრატიულობა - განათლების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების მაღალ ჩართულობის პრინციპს. განათლების პოლიტიკის გადაწყვეტილებები ფართოდ უნდა იყოს განხილული. უნდა შეიქმნას მექანიზმები პოლიტიკის მეტი გამჭვირვალობის, პარტიული კონტროლის ჩარევებისგან მეტი თავდაცვისთვის.

ინკლუზია - განათლების პოლიტიკა მნიშვნელოვნად უნდა ითვალისწინებდეს განათლების სისტემის ბენეფიციარების ფიზიკურ, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ თუ სხვა საჭიროებებსა და მისწრაფებებს.

კეთილდღეობა - სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს სწავლისა თუ კვლევის ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებისა და ახალგაზრდების, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის კეთილდღეობის (მათ შორის ჯანმრთელობის, სოციალურ-ემოციური კეთილდღეობის) გაზრდას.

სოციალური როლის გაძლიერება - განათლების პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს განათლების პროცესის, საგანმანათლებლო ორგანიზაციების მეტ კავშირს საზოგადოებასთან სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული პრობლემების გადასაჭრელად.

ხელმისაწვდომობა - განათლების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს პრინციპს, რომ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა ყველას ფუნდამენტური უფლებაა. პოლიტიკამ და შესაბამისმა მართვის პრინციპებმა საშუალება უნდა შეუქმნას საზოგადოების თითოეულ წევრს, რომ სრულფასოვნად, თანასწორად, შეუფერხებლად ჩაერთოს განათლების მიღების პროცესში.

<u>კრიტიკული ნაბიჯები</u>

1. განათლების სისტემის პარტიული კონტროლისგან გათავისუფლება სამინისტროს საზედამხედველო საბჭოსა და განათლების სისტემაში მოქმედი პირებისა და ორგანიზაციების პოლიტიკაში ჩართვის რეგულაციების შემუშავების გზით.
2. ეთნიკურად არადომინანტი მოსახლეობის დასახლებებში საბავშვო ბაღების რაოდენობის ზრდა.
3. სასკოლო კვების პროგრამის ამუშავება.
4. სტუდენტური საცხოვრებლების აშენება და ამოქმედება.
5. სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვა და განახლება.

6. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

სკოლამდელი განათლება

7. საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესის გამართვა და აღმზრდელ-პედაგოგთა სერტიფიცირება.
8. საბავშვო ბაღებისა და სკოლების ინტეგრირება სკოლამდელი მომზადების პროგრამების შემოღებით სკოლების შენობებში, განსაკუთრებით იმ დასახლებებში, სადაც საბავშვო ბაღები არ არის.
9. საბავშვო ბაღებში აღზრდის, თამაშის, სოციალურ-ემოციური განვითარების მიმართულების გაძლიერება.

ზოგადი განათლება

10. სკოლების განვითარების ფონდის ჩამოყალიბება (სასკოლო გრანტების შემოღება, გამოფენების მოწყობა, ბიზნესის ჩართვა, ტრენინგები, რესურსების განვითარების ხელშეწყობა).
11. სკოლებში სასპორტო და სახელოვნებო განათლების გაძლიერება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ღონისძიებების ხელშეწყობა.
12. სკოლებში მოხალისეობის დანერგვა (პროექტული სწავლება, საზაფხულო სკოლები, ბანაკები, სათემო განვითარება/დახმარების პროექტები).
13. საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების საგნების გაძლიერებული პროფილის სკოლებისა და პროგრამების ხელშეწყობა.
14. სკოლების „დეპოლიტიზაციისთვის“: სკოლის დირექტორების შერჩევის სისტემის შეცვლა, სამინისტროს დამოუკიდებელ ზედამხედველთა/მრჩეველთა საბჭოს მოდელის დანერგვა.
15. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განათლების სფეროზე ზედამხედველობის როლის გაძლიერება.
16. მუნიციპალიტეტების ჩართვა სკოლების მართვაში, დაფინანსების წილის ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინების გზით.
17. სკოლების ღია, სათემო ორგანიზაციებად ჩამოყალიბება, სადაც ადგილობრივ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შეეძლებათ მათი სივრცეების არასასკოლო დროს თავისუფლად გამოყენება.
18. მასწავლებლების ხელფასების საათებზე დაფუძნებული ფორმულის ნაცვლად განაკვეთებზე (სრული, ნახევარი) დაფუძნებული, ინფლაციის გათვალისწინებით, განვითარებაზე ორიენტირებული ფორმულის შემუშავება.

ასევე, სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასების ყოველწლიურ ზრდაზე ზრუნვა.

19. მასწავლებლების სისტემაში შემოსვლის (საუკეთესო ახალგაზრდების მოზიდვა და მხარდაჭერა), პროფესიული განვითარებისა და ღირსეულად გასვლის (საპენსიო ასაკის მასწავლებლების მხარდაჭერა + თანდათან გასვლა სისტემიდან) მრავალფეროვანი პროგრამების ამუშავება.
20. სკოლების ავტონომიის დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვა. ავტორიზაციის სისტემების ოპტიმიზაცია კერძო სკოლებისთვის მეტი ავტონომიის უზრუნველსაყოფად.
21. დისტანციური სწავლების განვითარება მასწავლებლების დეფიციტის შესავსებად და სასკოლო პროგრამების მრავალფეროვნების გასაზრდელად.
22. მასწავლებლების მომზადების პროგრამების განვითარება საუნივერსიტეტო ბაზაზე.
23. თავისუფალი (საავტორო) საჯარო სკოლების ქსელის ჩამოყალიბება.
24. სკოლებისთვის ფონდების მოზიდვის ინსტრუმენტების და პროცედურების დარეგულირება. სკოლებისთვის საბანკო სერვისების გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა.
25. უცხო ენის უცხოელი მასწავლებლების შემოყვანის პროგრამის ამოქმედება.
26. საქართველოს სკოლებს შორის მოსწავლეების გაცვლის პროგრამების ამუშავება.
27. სკოლის ფსიქოლოგების სერვისების მოცვისა და ხარისხის გაზრდა.
28. საგანმანათლებლო ექსკურსიებისა და სხვა არასაგაკვეთილო აქტივობების მხარდაჭერა და დაფინანსება/თანადაფინანსება.

უმაღლესი განათლება

29. სტუდენტური საცხოვრებლების აშენება და ამოქმედება.
30. აკადემიური თავისუფლების, უნივერსიტეტების ავტონომიის გაძლიერება ტენურის სისტემისა და ტენურირებული აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო მართვაში ჩართვის გაძლიერებით.
31. ჰიბრიდული სწავლის დანერგვა, უცხოეთში მყოფი აკადემიური პერსონალის ჩართვით რეგიონული და ასევე თბილისის უმაღლესი სასწავლებლების განსავითარებლად (დისტანციური + ტრადიციული).
32. უცხოეთში მომუშავე სამეცნიერო და აკადემიური პოტენციალის მოზიდვის პროგრამების ამუშავება.

33. კვლევითი და სასწავლო უნივერსიტეტების რაოდენობა (განსაზღვრა, თუ რამდენი და როგორი გვჭირდება, გამსხვილება).
34. აკრედიტაციის არასახელმწიფო სისტემის ამუშავება.
35. უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის: კურსების/სტუდენტების გაცვლის, კრედიტების მიმოცვლის სისტემის ამუშავება.
36. პოსტსაბაკალავრო საფეხურებს შიგნით მობილობა (დოქტორანტებისთვის სამაგისტრო საფეხურის კურსების გავლის შესაძლებლობის გაჩენა).
37. სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროგრამის ამოქმედება.
38. სახელმწიფო უნივერსიტეტების არამომგებიანი იურიდიული პირების მართვის რეჟიმზე გადასვლა (მოქნილი შესყიდვები, ქონებისა და პერსონალის შედარებით მარტივი მართვა და ა.შ.).
39. უმაღლესი განათლების დაფინანსების შერეული მოდელის ამოქმედება: პირის მოპოვებული გრანტი + სახელმწიფო უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსება + ბლოკგრანტები (პროგრამების განვითარებისთვის) + კერძო დაფინანსება.
40. სტუდენტური გრანტების სისტემაში საჭიროებებზე დაფუძნებული გრანტების მოცულობის გაზრდა.
41. უნივერსიტეტებში მიღების შერეული მოდელის ამუშავება (ზოგან მხოლოდ გამოცდებით, ზოგან უგამოცდოდ, ზოგან ე.წ. პორტფოლიოს მეშვეობით მიღება მისაღები პროცედურების აკრედიტაციის საფუძველზე).
42. 1+4 პროგრამის ამოქმედება ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ მინიმალური ბარიერის დაძლევას. საგამოცდო ბარიერის აწევა + მოსამზადებელი ერთწლიანი კურსის შექმნა უნივერსიტეტში მათთვის, ვინც მზაობას ვერ აჩვენებს.
43. საუნივერსიტეტო განათლების სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი დაბალკრედიტიანი სესხების სისტემის ამუშავება.
44. უნივერსიტეტების დაკავშირება სათემო/საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებასთან (კვლევების დაკვეთა სახელმწიფოს მხრიდან, პრაქტიკის კვლევების წახალისება: მაგ., სკოლისა და უნივერსიტეტის კავშირი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაში)
45. უნივერსიტეტის დაფინანსებაში სპონსორების, განვითარების ფონდების (endowment) შექმნა და მუნიციპალური დაფინანსება.

პროფესიული განათლება

46. ზოგადი განათლების სისტემაში პროფესიული ორიენტაციის (კონსულტაციის) პროგრამების ამუშავება.
47. პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია (პრესტიჟის ამაღლების კამპანია).
48. პროფესიებთან (დასაქმებასთან) დაკავშირებული კვლევების წარმოება და კვლევის შედეგების პოპულარიზაცია.
49. პროფესიული პროგრამების გაძლიერება უნივერსიტეტების და სკოლების ბაზაზე.
50. პროფესიული სასწავლებლების აღჭურვის პროგრამის ამოქმედება.
51. დუალური განათლების ფინანსური მხარდაჭერა (დამსაქმებლების ფინანსური მხარდაჭერა).

მეცნიერება

52. ჰარნაკის პრინციპზე დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტების სისტემის შემუშავება და დანერგვა (ტენურის პრინციპის ჩათვლით).
53. კვლევის მონაცემების რეპოზიტორის შექმნა.
54. კვლევის მონაცემთა დამუშავებისა და მართვის სისტემის გამართვა და განვითარება უნივერსიტეტებში (ელექტრონული სისტემა, ეთიკის კომისიების ამუშავება).
55. სტუდენტთა კვლევითი პროექტების დაფინანსება.
56. ადგილობრივი მთავრობის, ბიზნესისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობით კვლევითი პროექტების ხელშეწყობა.
57. ხელოვნური ინტელექტის დანერგვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება.
58. საერთაშორისო კოლაბორაციების ხელშეწყობა (საგრანტო პროგრამები).
59. ლაბორატორიების აღჭურვის პროგრამის ამოქმედება.
60. საჯარო ფინანსებით შეგროვებულ მონაცემებზე დაშვების გამარტივება და ხელმისაწვდომობის ზრდა საჯარო სამსახურების მიერ (მათ შორის არქივები).
61. კვლევითი ასოციაციების განვითარებისა და მათი სამეცნიერო ჟურნალების შექმნის წახალისება.

არაფორმალური განათლება

62. მუნიციპალიტეტის დაფინანსებული ზრდასრულთა კურსები (ენის, მოკლე პროფესიული, ინტერესის სფეროს მიხედვით კურსები) (გერმანული/ფინური არაფორმალური განათლების ცენტრების მაგალითზე).

63. სათემო შეკრებების სივრცეების (მედიათეკების) და სპორტული ცენტრების (მუნიციპალური აუზები, კორტები, მოედნები) განვითარება.

ზოგადი ინიციატივები

64. საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება შშმ პირებისთვის ყველა საფეხურზე.

65. განათლების დაფინანსების ზრდა:

- საჯარო რესურსების 15%-20% ოდენობით (2021 მონაცემებით ეს მაჩვენებელი 8.49%-ია);
- მშპ 4%-6% (2021 მონაცემებით ეს მაჩვენებელი 3.29%-ია).

66. კვლევების დაფინანსების ზრდა

- მშპ-ს 1% (2023 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 0.25%-ის).

ერის ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სისტემა

<u>გამოწვევები</u>

საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ერმა ამდენი ფული ხარჯოს და მაინც არ იყოს ჯანმრთელი. სრულფასოვანი სიცოცხლის გახანგრძლივება არის ძირითადი საზრუნავი.

ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფოს მიდგომები დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა. რეფორმების მიუხედავად:

- ერის ჯანმრთელობის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა და ძირითადი მაჩვენებლებით ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს.
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დღემდე დაუბალანსებელია, მათ შორის:
    - სამედიცინო კადრების სტრუქტურა (ექიმებისა და ექთნების შეფარდება), მათ შორის კომპეტენციების განაწილება და მათი კვალიფიკაცია;
    - კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
    - სამედიცინო ბაზარზე ხარისხზე დაფუძნებული კონკურენციისა და კვალიფიციური აგენტების (სადაზღვევო კომპანიების თუ პროფესიული ასოციაციების) ჩართულობის ხელშეწყობის ნაცვლად რეპრესიული ხასიათის ზედამხედველობა მომსახურების მომწოდებლებზე;
    - დაუსაბუთებელი, არაფრის მომცემი დიაგნოსტიკური კვლევებისა და ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობისთვის საზიანო თვითმკურნალობის მასშტაბი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტსა და მოსახლეობის ჯიბეს;
    - პაციენტების დაუცველობა უხარისხო/არასათანადო სამედიცინო მომსახურების შედეგად მიყენებული ზიანის შემთხვევაში.

სტრუქტურული (სისტემის) ცვლილებები

თავისუფლების მოედანს მიაჩნია, რომ უნდა დაიწყოს დაბალანსებული, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე მიმართული, მდგრადი და ქვეყნის განვითარებასთან ჰარმონიზებული სისტემის განვითარება. ამისთვის, ერის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა სამართლიანად უნდა გადანაწილდეს მოქალაქეებს, სამედიცინო ბაზარსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ისე, რომ:

- საზოგადოება პასუხს აგებდეს ცხოვრების ჯანსაღის წესით გავრცელებასა და ერთგულებაზე;
- სახელმწიფო პასუხს აგებდეს ჰაერისა თუ წყლის სისუფთავესა და საკვების უვნებლობაზე („ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოზე“);
- სამედიცინო ბაზარზე, კლინიკებთან და სადაზღვევო ინდუსტრიასთან თანამშრომლობით, სახელმწიფო უნდა ამკვიდრებდეს სამართლიან, ხარისხზე დაფუძნებულ, ჯანსაღ კონკურენციას, რითაც, პირველ რიგში, მოგებული რჩება პაციენტი;
- სახელმწიფომ სამართლიანად უნდა მიმართოს სახელმწიფო და კერძო სახსრები ისე, რომ მკურნალობის ფინანსური ტვირთი არ იგრძნოს ხელმოკლე მოსახლეობამ.

კრიტიკული ნაბიჯები

1. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა

იმისთვის, რომ საზოგადოებამ აიღოს პასუხისმგებლობა ცხოვრების ჯანსაღი წესით გავრცელებასა და ერთგულებაზე:

- უნდა დაიწყოს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია:
  - შესაბამისი განათლებით ბაგა-ბაღებში, სკოლებსა და სასწავლებლებში;
  - ხელოვნების სხვადასხვა საშუალებებითა და სოციალური მედიის გამოყენებით ახალი თაობის დამოკიდებულების შესაცვლელად;
  - უნდა აღდგეს მასობრივი სპორტი - შეჯიბრებები უბნებსა თუ სოფლებს შორის.
- იმავდროულად, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს პირობები ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად:

    - მოეწყოს მოედნები უბნებსა თუ სოფლებში, აშენდეს აუზები და სავარჯიშო სივრცეები ღია ცის ქვეშ;
    - გაყვანილ იქნეს უსაფრთხო სასეირნო, სარბენი და ველობილიკები;
    - ფინანსური და სხვა ბერკეტებით წახალისდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი.

- რეგულაციებით და ფინანსური მექანიზმებით უნდა შეიზღუდოს ჯანმრთელობისთვის მავნე ქცევა და ნივთიერებების მოხმარება:
    - შემცირდეს შაქრის შემცველი საკვებისა და სასმელების ხელმისაწვდომობა;
    - შეიზღუდოს სკოლებში არაჯანსაღი საკვების ხელმისაწვდომობა და ჩანაცვლდეს უფასო ჯანსაღი კვებით;
    - შეიზღუდოს თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე.

2. უსაფრთხო გარემო

იმისთვის, რომ სახელმწიფომ პასუხი აგოს ჰაერისა და წყლის სისუფთავესა და საკვების უვნებლობაზე:

- დაინერგოს ჰაერის, წყლისა და საკვების უვნებლობის ევროპული ნორმები;
- დაჩქარდეს საწვავის ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა და გამკაცრდეს გამონაბოლქვის კონტროლი.

3. სამედიცინო მომსახურების ბაზრის გაჯანსაღება

სამედიცინო ბაზარზე, კლინიკებსა და სადაზღვევო ინდუსტრიასთან თანამშრომლობით, სახელმწიფომ უნდა დაამკვიდროს სამართლიანი, ხარისხზე დაფუძნებული, ჯანსაღი კონკურენცია, რითაც, პირველ რიგში, მოგებული რჩება პაციენტი. ამისათვის:

- უნდა ამაღლდეს ექიმებისა და ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაბრუნდეს სავალდებულო უწყვეტი სამედიცინო განათლება და პერიოდული საკვალიფიკაციო გამოცდები;

- დახმარება უნდა გაეწიოს პროფესიულ ასოციაციებს, თანდათანობით საკუთარ თავზე აიღონ სპეციალობების მიხედვით სფეროს თვითრეგულირება, მსოფლიოს მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით კლინიკური სტანდარტების დანერგვა;
- კლინიკების აკრედიტაცია დაეფუძნოს გაწეული მომსახურების ხარისხს, და დაინერგოს ანაზღაურების ისეთი სისტემა, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს მომსახურების სანდოობასა და ხარისხს და არა სიიაფეს;
- კლინიკებსა და სადაზღვევო ინდუსტრიასთან კონსულტაციებით უნდა დადგინდეს ისეთი ტარიფები, რომლებიც აუცილებელია ხარისხიანი მომსახურების, პროფესიონალების ღირსეული და სამართლიანი ანაზღაურებისთვის და ითვალისწინებს მომსახურების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინვესტიციებს;
- პაციენტის უფლებების სრულფასოვნად დასაცავად და პროფესიული ეთიკის ასამაღლებლად უნდა დაინერგოს სამედიცინო მომსახურების მიღებისას სადავო შემთხვევების / კონფლიქტების რეგულირების და სამართლიანობის დადგენის მრავალდონიანი მექანიზმი.

4. ფინანსური დანახარჯების ოპტიმიზაცია

სახელმწიფომ უნდა შექმნას ჩარჩო სახელმწიფო და კერძო სახსრების სამართლიანი განაწილებისათვის ისე, რომ მკურნალობის ფინანსური ტვირთი არ დააწვეს ხელმოკლე მოსახლეობას.

- გაიზარდოს ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ხარჯთეფექტიანობა:
    - საბიუჯეტო სახსრები უნდა მიიმართოს ყველაზე მნიშვნელოვან ინტერვენციებზე;
    - მაქსიმალურად უნდა წახალისდეს საშუალო და მაღალშემოსავლიანი ოჯახების მიერ სამედიცინო დაზღვევის ნებაყოფლობით შეძენა, და მათ აღარ დააწვეთ თანაგადახდის ტვირთი.
- შემცირდეს მოსახლეობის მიერ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები:
    - გაიზარდოს ექიმის მიერ დანიშნული იმ მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელთა საფასურსაც სახელმწიფო დაუფარავს ხელმოკლე ოჯახებს;
    - დაწესდეს რეგულაციები საარსებო მედიკამენტებზე ფასების შესამცირებლად;

- შეიქმნას კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრეპარატების უწყვეტი მიწოდების (ხელმისაწვდომობის) მექანიზმები და ბაზარზე გამარტივდეს მედიკამენტების რეგისტრაცია და შემოტანა;
- შეიზღუდოს ჯანმრთელობისთვის არაფრისმომცემი, სამედიცინო თვალსაზრისით გაუმართლებელი მედიკამენტების შეძენა (თვითმკურნალობა).

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა

მიუხედავად ისეთი განხორციელებული რეფორმებისა, როგორიცაა საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა აწყდება ხელმისაწვდომობის პრობლემებს. ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონებსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელსაც ხშირად უჭირს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღება. აუცილებელია, რომ თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა სამედიცინო სერვისებზე, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს სამედიცინო დაწესებულებები ხშირ შემთხვევაში არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით, განსაკუთრებით რეგიონებში, ეს კი ჯანდაცვის სისტემას ზედმეტად ცენტრალიზებულს ხდის. ეს ქმნის ბარიერს ეფექტიანი და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების მიწოდებაში. საჭიროა ინვესტიციების გაზრდა და ინფრასტრუქტურის განახლება, რათა პაციენტებს საჭირო სერვისები მიეწოდოთ.

გამოწვევაა სამედიცინო განათლების სისტემა. აუცილებელია, რომ სამედიცინო პერსონალი მუდმივად განახლდეს და განვითარდეს, რათა უპასუხოს თანამედროვე მედიცინის სტანდარტებს. ახალი კადრების მომზადებასა და არსებული კადრების პროფესიულ განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს ჩართულობა მინიმალური უნდა იყოს.

ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება საკმარისი არ არის. საჭიროა სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჯანდაცვის სისტემის მდგრადი განვითარება და ეფექტიანი მართვა.

პრევენციულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. პრიორიტეტი უნდა იყოს ისეთი

ქრონიკული დაავადებების პრევენცია და მართვა, როგორიცაა დიაბეტი და ჰიპერტენზია. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, არამედ ჯანდაცვის ხარჯების შემცირებასაც. ფაქტობრივად არ ხდება დიაბეტის, როგორც ქრონიკული დაავადების დაფინანსება და სახელმწიფო არ ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს.

აუცილებელია პაციენტების უფლებების დაცვა და მათი ინტერესების გათვალისწინება. პაციენტების მოსაზრებების და საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს უკეთესი ხარისხის მომსახურება. ასევე გასათვალისწინებელია ექიმების დაცულობაც, რაც ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოში. ეს მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ უსაფრთხოებას, არამედ პროფესიულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასაც. სამედიცინო დაწესებულებებში უნდა გაუმჯობესდეს უსაფრთხოების ზომები. ექიმებს არ უნდა შეექმნათ ფიზიკური თავდასხმის საფრთხე.

ექიმების სამუშაო გარემო ხშირად სტრესულია, რაც მოითხოვს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სისტემების განვითარებას. არსებობს რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავს ფსიქოლოგიური დახმარების და კონსულტაციების უზრუნველყოფას ექიმებისთვის. ისინი უნდა წახალისდეს და განვითარდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმების და, ზოგადად, სამედიცინო პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვას. ამ მიმართულებით არსებობს კანონმდებლობა და რეგულაციები, მაგრამ ამ საკითხებზე უნდა მიმდინარეობდეს მუდმივი მუშაობა და ინიციატივების განვითარება, რათა ექიმებმა შეძლონ თავიანთი სამუშაოს შესრულება უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯანდაცვის სისტემაზე. სანქციების რეჟიმის დაწესების შემთხვევაში საქართველო ვერ მიიღებს საჭირო დახმარებას ამერიკიდან და ევროპიდან, რაც სამედიცინო მარაგების მიწოდების ჯაჭვის დარღვევას, ფარმაცევტული, სამედიცინო აღჭურვილობის და სხვა აუცილებელი პროდუქციის ნაკლებობას გამოიწვევს. ეს უარყოფით გავლენას მოახდენს ჯანდაცვის მიწოდების ხარისხზე. ეკონომიკურ უკუსვლასთან დაკავშირებული ფაქტორები გამოიწვევს ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების შემცირებას, რაც გააუარესებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და ხარისხს. ჯანდაცვის პროფესიონალებს ნაკლებად ექნებათ შესაძლებლობა, დაესწრონ საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებს და შეეზღუდებათ თანამშრომლობის

საშუალება. ეს შეამცირებს მათ წვდომას უახლეს სამედიცინო მიღწევებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე. შეიძლება შეფერხდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი პროგრამების განხორციელება, როგორიცაა დაავადებების პრევენცია, ვაქცინაციის კამპანიები და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ინიციატივები, ეს კი სავარაუდოდ გამოიწვევს დაავადებათა მატებას და ჯანმრთელობის საერთო შედეგების გაუარესებას. ჰუმანიტარული დახმარების შემცირება გაამწვავებს უთანასწორობას ადამიანებს შორის, მათ შორის ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც.

დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა

თავისუფლების მოედნის აზრით, საქართველოს პოლიტიკური სისტემა და მმართველობის დამკვიდრებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მართვაში სხვადასხვა სოციალური და ინტერესთა ჯგუფების რეალურ თანამონაწილეობას. საჭიროა ძალაუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური გადანაწილება. უნდა შეიცვალოს ძალაუფლების ბალანსი საკანონმდებლო შტოს შიგნით. უნდა განხორციელდეს 19 აპრილის შეთანხმების რეკომენდაციები და მიღებულ იქნეს დამატებითი ზომები, მათ შორის კომიტეტების პორტფელების განაწილება პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, გაძლიერდეს რეალური თანამონაწილეობა ნდობის ჯგუფისა და სამოქალაქო საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სრულფასოვანი თვითმმართველობის და უსაფრთხოების სამსახურის სისტემების რეფორმირება.

მართლმსაჯულების სისტემა

საქართველოს სასამართლო სისტემამ არაერთი რეფორმა გაიარა, თუმცა დამოუკიდებელი და ეფექტიანი სასამართლო მიუღწეველ ამოცანად რჩება. საქართველოს დემოკრატიული პარტნიორების მხარდაჭერით გაძლიერდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმა, დაინერგა სასამართლოს მენეჯერებისა და სასამართლოების მართვის სისტემების, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოებში შეჯიბრებითობის სისტემა, ჩატარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პილოტირება, დაარსდა მოსამართლეთა სასწავლო ინსტიტუტი, მოსამართლეთათვის დამტკიცდა ახალი სტანდარტები და პროცედურები და გაიზარდა უზენაესი სასამართლოს შესაძლებლობები. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში ჯერ კიდევ გაუმართავია.

საპროცესო შეთანხმების განაკვეთები ჯერ კიდევ საგანგაშოდ მაღალი რჩება გამამართლებელი განაჩენის უმნიშვნელო მაჩვენებლით. გირაოს ნაცვლად წინასწარი პატიმრობა ფართოდ გამოიყენება, რაც, თავის მხრივ, ბრალდებულებზე ზეწოლის ინსტრუმენტია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ ეწევა ადმინისტრაციული პატიმრობის საბჭოთა პერიოდის პრაქტიკას, რომელიც სახელმწიფოს უფლებას აძლევს, მოქალაქეები მცირედი გადაცდომებისა და ადმინისტრაციული დარღვევებისთვის დააკავოს. დაკავების ეს პრაქტიკა შესაცვლელია.

თავისუფლების მოედანი დანერგავს რეფორმებს, რომლებიც სასამართლო სისტემაში უზრუნველყოფს მოსამართლეთა უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას. თავისუფლების მოედანი აღკვეთს არსებული სისტემის მიუღებელ პრაქტიკას, დაყოს მოსამართლეები „მეგობრულად“ ან „ოპოზიციურად“ განწყობილებად და მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას გააძლიერებს. გარდა ამისა, საჭიროა მუშაობა მოსამართლეთა დისციპლინური პროცესის სისტემის გაუმჯობესებაზე, რათა ის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი გახდეს. გატარებულმა ცვლილებებმა უნდა დაასრულოს „მეგობრული“ მოსამართლეების წახალისების და „ოპოზიციური“ მოსამართლეების წინააღმდეგ მიმართული ფარული საბოტაჟის არსებული პრაქტიკა.

თავისუფლების მოედანი გააძლიერებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, რათა აღმოიფხვრას მასზე პოლიციისა და პროკურორების უმართებულო ზეგავლენა. დღეს არსებული პრაქტიკა არღვევს ადამიანის უფლებებს და ძირს უთხრის კანონის უზენაესობას. უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკური მანიპულაციისა და სამთავრობო ზეწოლისგან.

საკანონმდებლო ორგანო

საქართველოს პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შედარებით, ჯერ კიდევ სუსტ რგოლს წარმოადგენს. აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის დაინტერესებული საკანონმდებლო შტოს გაძლიერებით და მასზე გადაჭარბებულ ზეგავლენას ინარჩუნებს.

საქართველოს პარლამენტი არ უნდა წარმოადგენდეს ისეთ ორგანოს, რომელიც უპირობოდ ემორჩილება პრემიერ-მინისტრს ან სხვა პოლიტიკურ ლიდერს. პარლამენტმა პროაქტიულად უნდა გაატაროს და დაიცვას საკუთარი დღის წესრიგი, ჭეშმარიტად განახორციელოს საქართველოს მოქალაქეების მიერ დაკისრებული წარმომადგენლობითი ფუნქცია.

არჩევის შემდეგ პარლამენტი გაძლიერდება და ის გახდება წამყვანი ორგანო, რომელიც შეძლებს აწარმოოს დამოუკიდებელი და ეფექტიანი პოლიტიკა. გარდა ამისა, შეიქმნება უპარტიო, მიუკერძოებელი საკანონმდებლო საბჭო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დაევალება კანონპროექტების შემუშავება და ის პარლამენტისთვის დამხმარე რგოლის ფუნქციას შეასრულებს. ამას გარდა, შეიქმნება ონლაინ სისტემა, რომელსაც ექნება საშუალება, უფრო ეფექტიანად გაკონტროლდეს

საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგი და მონიტორინგი გაეწიოს არსებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. თავისუფლების მოედანი არ დაუშვებს პარლამენტის საკანონმდებლო დღის წესრიგის აღმასრულებელი რგოლისთვის დაქვემდებარებას. აღმასრულებელი შტო ვერ იქნება იმის ერთპიროვნული განმსაზღვრელი, თუ რომელ საკანონმდებლო პაკეტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. შესაბამისად, საპარლამენტო წესრიგს პარლამენტი დაიცავს. თავისუფლების მოედანი გააძლიერებს სამინისტროებიდან ინფორმაციის გამოთხოვის პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, მინისტრებს დაავალდებულებს, რეგულარულად წარუდგინოს ანგარიშები პარლამენტს.

თავისუფლების მოედანი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება პარლამენტის მიერ ანგარიშვალდებულების გაძლიერების საკითხს. დანერგავს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის სრულყოფას მოემსახურება; იმუშავებს აუდიტის სამსახურთან, რათა გაუმჯობესდეს არა მხოლოდ ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, არამედ აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება მმართველობის ანგარიშვალდებულების მნიშვნელობის შესახებ.

აღმასრულებელი ხელისუფლება

თავისუფლების მოედანი მზად არის, ხელი შეუწყოს საჯარო სექტორის რეფორმას სახელმწიფო ინსტიტუტებში და გააძლიეროს საჯარო ადმინისტრაცია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობისა და ეფექტიანობის წახალისებით. ცხადია, რომ დღევანდელი პოლიტიკური ელიტა ვერ უმკლავდება მოქალაქეების მოთხოვნებს, ეფექტიანად მართოს საჯარო ინსტიტუტები. ამიტომ დაინერგება რეფორმები ცენტრალური დონის სააგენტოების გასაძლიერებლად, რათა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზით, ბიუჯეტის რეალობის გათვალისწინებითა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავდეს სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული სტრატეგიები. ასევე, სავალდებულო გახდება სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების გამოყენება მმართველობაში.

თავისუფლების მოედანი იმუშავებს მთავრობის აღმასრულებელ შტოსთან გამჭვირვალობის გაზრდისა და სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის გასაძლიერებლად. ინფორმაციის თავისუფლების აქტის ინსტიტუციებში დანერგვის სრულყოფით, ისევე, როგორც გასაჯაროებული ინფორმაციის გაზრდილი

რაოდენობითა და საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებით, სახელმწიფო აპარატს ბევრად უფრო დემოკრატიულს გახდება და ამით გაძლიერდება დემოკრატიული მმართველობა.

დაინერგება საჯარო სამსახურისა და საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმის გაუმჯობესებისკენ მიმართული პოლიტიკა. საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ საჯარო სექტორში გაძლიერდეს ფაქტებზე დაფუძნებული ანალიზის შედეგად შემუშავებული პოლიტიკა და სტრატეგია. კანონმდებლობაში შევა ცვლილებები იმისათვის, რომ სახელმწიფოში განვითარდეს საჯარო ადმინისტრაციისა და საჯარო მოხელეების უწყვეტი განათლების სისტემა და ის საჯარო მმართველობის განუყოფელ ნაწილად იქცეს. საჯარო სექტორში დაწინაურება მოხდება კვალიფიკაციის და არა პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით. საჯარო სექტორში კონკურენტულობა გაიზრდება ხელფასების სხვა სექტორებთან მიმართებაში.

სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. თავისუფლების მოედანი მიესალმება ქართული საზოგადოების მხარდაჭერას და საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობებს, გააძლიეროს სამოქალაქო სექტორი ქვეყანაში. საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვანი წვლილიდან გამომდინარე, საჭიროა გაძლიერდეს დიალოგი სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის, შეიქმნას ეფექტიანი სტრუქტურები და პლატფორმები იდეებისა თუ ანალიტიკური მიგნებების გასაზიარებლად. სწორედ ამგვარად გახდება შესაძლებელი უფრო ნაყოფიერი თანამშრომლობა ერთმანეთთან და საზოგადოებისთვის საკეთილდღეო გადაწყვეტილებების მიღება. არასამთავრობო ორგანიზაციებს დღეს მეტი მხარდაჭერა ესაჭიროებათ თბილისსა და მის ფარგლებს გარეთ. ამის მთავარი გზა სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციაა, რითაც ხელი შეეწყობა მათ სტაბილურ ჩართულობას ეროვნული თუ ადგილობრივი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

კანონმდებლობაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები იმისათვის, რომ საქართველოში არსებულმა არასამთავრობო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეძლონ მდგრადი დაფინანსების წყაროების მიღება და განვითარება. საჭიროა ფილანთროპიის წახალისება, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის

გაზრდის ხელშეწყობა და მოწოდება საერთაშორისო დონორებისათვის, რომ მათ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში მეტი ინვესტიცია განახორციელონ.

მედია

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ მრავალფეროვანი რადიო-, ბეჭდური და ონლაინმედია არსებობს, მოსახლეობის 90%-ისთვის ინფორმაციის მთავარ წყაროს ტელევიზია წარმოადგენს. მედიას უდიდესი როლი აკისრია ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციაში, საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად და, ასევე, მრავალფეროვნების მხარდასაჭერად, აუცილებელია რეფორმების კომპლექსის ინიციირება და მედიაში რეკლამებზე წვდომის დემონოპოლიზაცია. ეს საკანონმდებლო წინადადებები არ მისცემს მონოპოლიებს საშუალებას, მედიიდან განდევნონ ოპოზიციური აზრი. ყველას უნდა მიეცეს თანაბარი სარეკლამო დრო, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, რაც მედიაში სარეკლამო სივრცეს უფრო კონკურენტუნარიანსა და მომგებიანს გახდის. კანონმდებლობა დანერგავს რეგულაციებს სარეკლამო ბაზრის ხელოვნურად დამახინჯების თავიდან ასარიდებლად. ამ მიზნით საშუალება უნდა მიეცეთ პარტიებს, რომ ეფექტიანი კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს; დაცულობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონულ მედიას, .

თავისუფლების მოედანს სჯერა, რომ ახალ მედიას, მათ შორის სოციალურ ქსელებს და ისეთ ტექნოლოგიურ მიღწევებს, როგორიცაა სმარტფონი და სხვა მოწყობილობები, აქვთ უდიდესი ძალა, წაახალისონ და შეინარჩუნონ მოქალაქეების დემოკრატიული ჩართულობა საზოგადოებრივ პროცესებში. თავისუფლების მოედნის მიერ ინიციირებული საკანონმდებლო პაკეტი დაიცავს Facebook-ს, YouTube-სა და სოციალური მედიის სხვა ვებგვერდებს სახელმწიფო ცენზურისა და დეზინფორმაციული ნაკადებისგან.

თავისუფლების მოედნის მიერ დაგეგმილი პოლიტიკა ხელს შეუწყობს ინტერნეტის გამოყენების არეალის გაფართოებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად; ფიჭური თუ სხვა სატელეფონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას იმისათვის, რომ უკაბელო ინტერნეტი და შეუფერხებელი მობილური კავშირი მოსახლეობის უფრო ფართო ფენებისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

თავისუფლების მოედნის პოლიტიკის ფარგლებში გაიზრდება საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა. საზოგადოებრივი მაუწყებელი აღარ იქნება მმართველი პარტიის პოლიტიკის გამტარებელი. საზოგადოებრივი მაუწყებელი გაზრდის შესაძლებლობებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი საქმიანობის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება. გაიზრდება საზოგადოებრივი მაუწყებლის საგანმანათლებლო ფუნქცია.

თვითმმართველობის რეფორმა

გამოწვევები

საქართველოში, როგორც მაღალი დონის ცენტრალიზაციის მქონე სისტემებისთვის არის დამახასიათებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები შეზღუდულია, ხოლო ადგილობრივ მუნიციპალურ საკრებულოებში მმართველი პოლიტიკური პარტია დომინირებს. დღეს ადგილობრივი თვითმმართველობა მთლიანად ცენტრზეა დამოკიდებული. მათი მწირი შესაძლებლობები, გაზარდონ საკუთარი ბიუჯეტი ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ხარჯზე, საკმაოდ შეზღუდულია. ისინი დიდწილად ფინანსდებიან ცენტრიდან და თითქმის მთლიანად ფინანსთა სამინისტროზე არიან დამოკიდებულნი. თავისუფლების მოედანი დანერგავს რეფორმების ერთობლიობას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მეტ დამოუკიდებლობას მოუტანს. გაძლიერდება და კიდევ უფრო განვითარდება პროგრამული ბიუჯეტირება, რაც ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებებს საშუალებას მისცემს, დაგეგმონ სუბსიდიარობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკა - ადგილობრივი მოთხოვნებისა და საჭიროებების საპასუხოდ.

პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია, დანიშნოს ოფიციალური წარმომადგენლები სახელმწიფო რწმუნებულებად (გუბერნატორებად) რიგ მუნიციპალიტეტებში (რომლებიც ემთხვევა ისტორიულ გეოგრაფიულ მხარეებს), თუმცა მათ არა აქვთ კონსტიტუციური უფლებამოსილება, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში. მიუხედავად ამ უფლების არარსებობისა, ისინი, როგორც პრემიერ-მინისტრის უშუალო წარმომადგენლები, საკუთარ გავლენას ადგილობრივ თვითმმართველობაზე ზეწოლისთვის იყენებენ პოლიტიკური სარგებლის მისაღებად. თავისუფლების მოედანი შექმნის ყველანაირ პირობას, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მათ წარმომადგენლებს შეეზღუდოთ პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმები და თვითმმართველობის უფლებების დაცვის გაძლიერებით აღმოფხვრის ამ მავნე პრაქტიკას.

თავისუფლების მოედანი გაატარებს პოლიტიკას, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს, ემსახუროს ადგილობრივ მოსახლეობას და არა ცენტრალურ ხელისუფლებას. ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი

თვითმმართველობა ცენტრალური ხელისუფლების ყველაზე ქვედა რგოლის ინსტრუმენტს წარმოადგენდეს, უნდა დაინერგოს სუბსიდიარობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, გააძლიერებს თვითმმართველობის როლსა და ფუნქციებს, ხოლო მეორე მხრივ, მისცემს უფლებას, ჯეროვნად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები და ემსახურონ უშუალოდ მოქალაქეებს. თავისუფლების მოედნის მიერ ინიციირებული კანონმდებლობა რიგ საკითხებში ცენტრალურ ხელისუფლებას შეზღუდავს, რაც მეტ ავტონომიურობას მიანიჭებს ადგილობრივ მოხელეებს და გაათავისუფლებს მათ პოლიტიკური ძალაუფლების ვერტიკალიდან.

თავისუფლების მოედანი იმუშავებს ადგილობრივ საკრებულოებთან, რათა მათ შეძლონ მოქალაქეებთან მსჯელობა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; ასევე, იგრძნონ იმის საჭიროება და პასუხისმგებლობა, რომ უშუალოდ ჩაერთონ მოქალაქეებთან დიალოგში და გადაწყვეტილების მიღების მონაწილეობითი მოდელის დანერგვაზე იზრუნონ ქვეყნის მასშტაბით.

ყოველი არჩევნების მოახლოებასთან ერთად აქტუალური ხდება თვითმმართველობის, დეცენტრალიზაციის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხები. ხშირად იმართება დისკუსია იმის თაობაზე, რომ საქართველოში მუნიციპალიტეტები (თვითმმართველი ერთეულები) ძალიან დიდია, მეტი საბიუჯეტო თანხები უნდა გადაეცეთ თვითმმართველობებს, უნდა გაძლიერდეს რეგიონული დონე და სხვ. ეს, ცხადია, მსჯელობის საგანია, მაგრამ ყველაფერი ექვემდებარება რაციონალურ დისკუსიასა და გათვლებს. შესაბამისად, უნდა გავითვალისწინოთ არსებული ადგილობრივი კონტექსტი და საერთაშორისო ტენდენციები.

თვითმმართველობაზე საუბრისას ავტომატურად შემოდის დეცენტრალიზაციის საკითხი. ამ თვალსაზრისით, არსებობს მხოლოდ ტრაფარეტული მიღწევები. ცხადია, არის რიგი ჩავარდნები, რაც უნდა აღმოიფხვრას. შესაბამისად, სწორად უნდა გვქონდეს გააზრებული დეცენტრალიზაციის არსი და ის, თუ რაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ეს გრაფიკული გამოსახულება ასახავს დეცენტრალიზაციის ძირითად პრინციპს:



თუკი ეს სამი საკითხი არ არის დაბალანსებული, ვიღებთ გაუმართავ სისტემას. არსებულ რეალობაში ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, მოახდინოს ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია და გადაიტანოს მოვალეობები მუნიციპალურ დონეზე, სადაც მას ფულის მიცემა ენანება და ძალაუფლების მინიჭება ფიქციაა.

ასევე, თუ საკითხი ეხება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას (მაგალითად, საქართველოში არსებული 69 მუნიციპალიტეტი უნდა იყოს თუ ბევრად მეტი), გასათვალისწინებელია ზოგადი ტენდენცია ამ მაკრორეგიონში (იგულისხმება აღმოსავლეთ ევროპა, პოსტსაბჭოთა სივრცე), სადაც რეგიონებში მოსახლეობა მკვეთრად მცირდება და მაღალია მიგრაცია ურბანულ არეალებში. შესაბამისად, რა საჭიროა დამატებითი მუნიციპალიტეტების შექმნა იქ, სადაც მოსახლეობა განუხრელად მცირდება? ამდენად, აქ უფრო მნიშვნელოვანი საკითხია თვითმმართველი ქალაქების შექმნა და მიზიდულობის ცენტრების სტიმულირება რეგიონებში.

ფისკალური თვალსაზრისით ძველმა რეფორმამ მცირედი გაუმჯობესება მოიტანა, რამდენადაც ბოლო წლებში მუნიციპალიტეტებს დაფინანსება გაეზარდათ, მაგრამ მწვავედ დგას ქონების გადაცემის საკითხი. ცენტრალური ხელისუფლება არ თმობს ამ საკითხს (ნაწილობრივ, თვითონაც არ აქვთ სრული სურათი, თუ რა ქონებას ფლობენ), რაც, თავის მხრივ, ზღუდავს ადგილობრივ დონეზე ეკონომიკურ აქტივობასა და შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას.

დაბოლოს, ყველაზე მწვავე საკითხია ძალაუფლების (გადაწყვეტილების მიღების) გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ არსებით საკითხზე გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით. ნაცვლად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში ხორციელდებოდეს თვითმმართველობა, მათ ჰყავთ ბევრი „უფროსი“, ადგილზე უზით უშიშროების თანამშრომელი ე.წ. „ოდეერი“, რომელიც აქტიურად ერევა რიგ საკითხებში. ასევე, მუნიციპალიტეტებს პოლიტიკურ ზედამხედველობას უწევს რეგიონული სამხარეო ადმინისტრაცია, ისევე როგორც მათ უწევთ რიგი საკითხების (მათ შორის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შემავალისაც) შეთანხმება სხვადასხვა დარგობრივ სამინისტროებთან.

ამ ყველაფერს კი ემატება სუსტი წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულოს სახით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთლიან ქართულ საჯარო მმართველობის სისტემაში საკრებულოები არის ყველაზე სუსტი რგოლი. მათი საქმიანობა დასულია მუნიციპალიტეტის მერიისთვის ნოტარიუსის ფუნქციამდე. მაშინ, როდესაც ეს ინსტიტუტი უნდა იყოს ადგილზე პოლიტიკის მწარმოებელი, პრიორიტეტების განმსაზღვრელი, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველმყოფელი.

კრიტიკული ნაბიჯები

დეცენტრალიზაციის რეფორმა 2025 წლამდეა გაწერილი. ის უნდა გაღრმავდეს და ხელი შეეწყოს რეალურ თვითმმართველობას. ეს კი უნდა დაეყრდნოს შემდეგ პრინციპებს:

გულისხმიერება/პროაქტიულობა - სწორი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ემყარება უპირველეს ყოვლისა მოქალაქეთა პრიორიტეტებს.

პასუხისმგებლობა - განკარგოს მის ხელთ არსებული რესურსები გონივრულად და წინდახედულად. მოიპოვოს მოქალაქეების ნდობა. გააკეთოს მეტი ნაკლებ ფასად.

ანგარიშვალდებულება - გამჭვირვალედ მუშაობა და ამომრჩევლისადმი მუდმივი ანგარიშის წარმოება.

1. **საკრებულოების როლის გაზრდა და გაძლიერება**

   მოქალაქეების მეტად ჩართვა ადგილობრივ დონეზე მმართველობაში. არსებული პრაქტიკით საკრებულოები კომპლექტდება პარტიული სიითა და მაჟორიტარი დეპუტატებით. როგორც წესი, პარტიული სიით გასული დეპუტატები მთლიანად ორიენტირებულები არიან პარტიული პოლიტიკის გატარებაზე და ანგარიშვალდებულებას ინარჩუნებენ არა ამომრჩევლის მიმართ, არამედ პარტიული აპარატის წინაშე. მეორე მხრივ, მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები პირდაპირ არიან მიბმულები თავიანთ ამომრჩეველზე და იციან, თუ ვის მიმართ არიან პასუხისმგებლები. შესაბამისად, მაჟორიტარი დეპუტატები ბიუჯეტის განაწილებისას ბევრად უფრო აქტიურად წარმოადგენენ თავიანთი ამომრჩევლების ინტერესებს, ვიდრე პარტიული სიით საკრებულოში მოხვედრილი დეპუტატები. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება გაიზარდოს საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების წილი, მაგალითად, 75%-მდე.

2. **საკრებულოებს გაეზარდოთ მერის იმპიჩმენტის შესაძლებლობა**

   მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მერი აირჩევა პირდაპირი წესით, მისი უფლებამოსილება უნდა ექვემდებარებოდეს მეტ კონტროლს საკრებულოს მხრიდან. ეს გააჯანსაღებს და გამოაცოცხლებს ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებსაც.

3. **ქალებისა და ახალგაზრდების სტიმულირება ადგილობრივ თვითმმართველობაში**

   მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საკრებულოებში, რაც შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ბენეფიტების შეთავაზების გზით *(მაგალითად, საკრებულოს ანაზღაურებადი წევრობა ამ ჯგუფების წარმომდგენლებისთვის).*

4. **მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დამკვიდრება**

   ეს გულისხმობს ადგილობრივი ბიუჯეტის წილის (როგორც წესი, ეს არ აღემატება 7-8%-ს საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე) მოქალაქეთა მიერ დაგეგმილ

პროექტებზე დახარჯვას. ამასთანავე, შეიძლება რომ ამ ბიუჯეტის ნაწილი მიმართული იყოს მხოლოდ ახალგაზრდულ პროექტებზე.

5. **გაუქმდეს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები**

გუბერნატორის ინსტიტუტი ხელოვნური დანამატია და ხშირ შემთხვევაში უხეშად ერევა თვითმმართველობების კომპეტენციაში. ამასთანავე, ის არანაირ მომსახურებას არ აწვდის მოქალაქეებს და ზედმეტ ადმინისტრაციულ რგოლს წარმოადგენს. მეტწილად გამოიყენება პოლიტიკური კონტროლისა და ზემოქმედების მექანიზმად.
სანაცვლოდ მიზანშეწონილი იქნება ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის წახალისება, რომლის მუშაობაც კოორდინირებული იქნება შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ არჩეული სამდივნოსა და დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენლის მიერ.

6. **გადაიხედოს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და 2017 წელს ქალაქებისთვის ჩამორთმეული თვითმმართველობის სტატუსი**

ეს არ გულისხმობს შვიდივე ქალაქისთვის თვითმმართველი სტატუსის ავტომატურად დაბრუნებას. ქვეყანაში უყურადღებოდაა მიტოვებული ურბანიზაციის საკითხები მაშინ, როდესაც განუხრელად იზრდება რამდენიმე ქალაქის მოსახლეობა, რაც იწვევს მაგალითად თბილისისა და ბათუმის ქაოსურ ზრდას. ამავდროულად, გვაქვს ქალაქები, რომელთაც აქვთ ზრდის პოტენციალი, რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში განვითარების პროცესებს (მაგალითად, ახალციხე ათწლეულების მანძილზე ინარჩუნებს მოსახლეობას და მცირედ ზრდის ტენდენციასაც კი აჩვენებს).

7. **დაჩქარდეს მუნიციპალიტეტებისთვის ქონების გადაცემისა და გამიჯვნის საკითხი**

ეს საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს, გაზარდონ ადგილზე ეკონომიკური აქტივობა და, შესაბამისად, ადგილობრივი შემოსავლები. თავისუფლების მოედანი ადგილობრივ დონეზე დანერგავს არსებული ქონების ინვენტარიზაციის პოლიტიკას, რათა ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, ისევე როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ, შეძლონ ქონებასთან დაკავშირებული

ვალდებულებების ისე მართვა, რომ ერთობლივად შექმნან საზოგადოებრივი სარგებელი ამ ურთულეს და სენსიტიურ პროცესში.

8. გადასახადები

საშემოსავლო გადასახადის წილის ადგილობრივ ბიუჯეტებში მიმართვა სამართლიანი და გამჭვირვალე პრინციპის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი შემოსავლების და მოსაკრებლების ადმინისტრირების გაუმჯობესება და ცენტრისგან მეტი ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევა, სადაც ეს შესაძლებელია.

9. ზედამხედველობა

ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამართული ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება, ტექნიკური, სამართლებრივი, ფინანსური და, განსაკუთრებით, აუდიტის თვალსაზრისით.

10. დეპოლიტიზაცია

მუნიციპალური შიდა აუდიტის სამსახურების დეპოლიტიზაცია და მათი ეფექტიანობის ამაღლება. პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მათი მერის დაქვემდებარებიდან გამოყვანა. ისინი ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ საკრებულოს და არა მერის წინაშე *(დღევანდელი მდგომარეობით ამოწმებენ უწყების მუშაობას და ექვემდებარებიან ამავე უწყების ხელმძღვანელს, რაც აბსურდულ სახეს იღებს).*

11. სტუდენტების სტაჟირება მუნიციპალიტეტებში

თავისუფლების მოედანი შეიმუშავებს და დანერგავს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სტუდენტების დასაქმების პროგრამას. იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურვილი და ინტერესი ექნებათ, იმუშაონ საკუთარ მხარეში, მიეცემათ შესაძლებლობა, წვლილი შეიტანონ ადგილობრივი პოლიტიკის დანერგვაში. ეს კი საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს, შექმნან ახალგაზრდა და კვალიფიციური პერსონალის რეზერვი.

12. **პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტისთვის მიზნებისა და მათი შესრულების ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა** (KPI)

ახალ პარლამენტში აღარ იქნებიან მაჟორიტარები და, შესაბამისად, რეგიონული წარმომადგენლობითობის მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის საჭირო იქნება იმ კომიტეტის ფუნქციების გადახედვა და გაძლიერება, რომელიც უნდა ასრულებდეს თვითმმართველობათა ინტერესების დაცვასა და ლობირებას პარლამენტში.

თავდაცვის პოლიტიკა

გამოწვევები: სტრატეგიული და ინსტიტუციური დონე

ქვეყნის თავდაცვის სისტემის მშენებლობა ვერ იქცა გრძელვადიანი პოლიტიკური კონსენსუსის საგნად. ხშირი ცვლილებები სამინისტროს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში იწვევს დაწყებული რეფორმების შუა გზაზე მიტოვებას, არ არსებობს გრძელვადიანი ინსტიტუციური მეხსიერების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაწყებული რეფორმების დასრულებას პოლიტიკოსი მინისტრების ცვლილების მიუხედავად.

არასდროს ყოფილა ფართო საზოგადოებრივი დისკუსიები და გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბების მცდელობა თავდაცვის მოდელის, მისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. შესაბამისად, თავდაცვის ბიუჯეტის მშპ-თან მიმართებაში ზრდის საკითხი არ წარმოადგენს ფართო კონსენსუსის საგანს და არ შეესაბამება საქართველოს უსაფრთხოების დაცვის საუკეთესო ინტერესებს. ის არც ნატოს სტანდარტს აკმაყოფილებს.

პრობლემად რჩება სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების არსებული პოსტსაბჭოთა მოდელი, რომელიც ეფუძნება ოფიცერთა კონტროლს და არა თანამონაწილეობით მართვას. კონტროლის პრიმატის პირობებში, არ არსებობს ნდობა ოფიცერთა კლასსა და პოლიტიკოსებს შორის. შესაბამისად, პოლიტიკოსები თავდაცვის ძალებს მართავენ არა გენერალურ შტაბთან თანამშრომლობით, არამედ გენერალური ინსპექციის, სამხედრო პოლიციისა და სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მეშვეობით.

ეროვნული თავდაცვა არ შეიძლება იყოს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს, მისი მინისტრის, გენერალური შტაბის საზრუნავი. მათ სჭირდებათ მოკავშირეები, როგორც პოლიტიკურ კლასში, ისე საზოგადოებაში. ამ მიზნით გასაძლიერებელია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტებისა და თავდაცვის თემის (ანალიტიკური ორგანიზაციები, მედია, ექსპერტები, მოხალისეები) კავშირები.

ხელისუფლებამ თავდაცვის სისტემა შესაბამისი კონცეპტუალური ჩარჩოს გარეშე დატოვა. შესამუშავებელი და დასამტკიცებელია ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები და ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა.

მიუხედავად არსებული მექანიზმებისა, ვერ მოხერხდა კრიზისისა და ომის მართვის იმგვარი სისტემის შექმნა, რომელიც სისტემატურად ჩაატარებს გადაწყვეტილების მიმღებთა ტრენინგს, მათი სამეთაურო-საშტაბო ვარჯიშებისა და სხვადასხვა ტიპის სიმულაციურ სწავლებებში ჩართვის გზით.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერ გამოიძებნა ძალთა სტრუქტურის იმგვარი მოდელი, რომელიც პროფესიულ არმიასთან ერთად უზრუნველყოფდა „მოქალაქე უნიფორმაში“ მოდელის განხორციელებას. ამ მიზნით არსებული სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოდელი ვერ აღმოჩნდა ხიდი მოქალაქეებსა და თავდაცვის ძალებს შორის, მისი ობიექტური ნაკლოვანებების გამო.

ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო თავდაცვის (civil preparedness) სისტემა, რომელიც მოქალაქეთა ფიზიკური უსაფრთხოების ღონისძიებების გარდა, უნდა გულისხმობდეს მედეგობის გაუმჯობესებასაც.

ხელისუფლებამ შეწყვიტა არა მხოლოდ ნატოსთან პოლიტიკური დიალოგის, არამედ პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმები. უსაფრთხოების სფეროში ყოვლისმომცველი თანამშრომლობის გადახედვის ფარგლებში, ნატო -საქართველოს არსებითი პაკეტის სხვადასხვა პროექტიდან დახმარებას წყვეტენ წამყვანი პარტნიორი სახელმწიფოები.

საქართველო რჩება შეკავების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმის, საერთაშორისო სწავლებების გარეშე, რაც არსებითად ასუსტებს როგორც თავდაცვის მზადყოფნას, ისე თავდაცვის ძალების თავსებადობის მექანიზმებს პარტნიორ ქვეყნებთან.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, პირველად 2000 წლის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის ძალები რჩება უსაფრთხოების სფეროში ამერიკული დახმარების გარეშე. ეს ართულებს, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის, ისე ძალთა გენერაციის და წვრთნისა და აღჭურვის საკითხებს.

გამოწვევები: უწყებრივი და ოპერატიული დონე

თავდაცვის ძალები:

მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამხედრო ძალების საბრძოლო მზადყოფნაზე ნეგატიური კვალი დატოვა კოვიდის პანდემიამ. ამას დაემატა ომი უკრაინაში და საბრძოლო მასალების შესაბამისი დეფიციტი. ამ ვითარებაში საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის შესახებ საგანგაშო მინიშნებებს იძლევა სახელმწიფო აუდიტის დასკვნა.

საბრძოლო კომპონენტის გარდა, აშკარაა, რომ დაკომპლექტება-აღჭურვის პრობლემა არსებობს საბრძოლო მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის კომპონენტებშიც.

უკანასკნელი მსხვილი შესყიდვა უკავშირდება ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებს. თუმცა, არსებული ოპერატიული მოთხოვნებისთვის ეს ყველაფერი მინიმუმია.

შეზღუდული რესურსების გამო ვერ ხდება ადაპტაცია ტექნოლოგიურ სიახლეებთან და ომის წარმოების ახალ კონცეფციებთან.

ვერ ჩამოყალიბდა მოდელი პროფესიული არმიისა და ძალთა გამაძლიერებლების, ტერიტორიული თავდაცვის ძალებისა და მოხალისეთა ორგანიზაციების, ურთიერთქმედებისა.

ოფიცერთა განათლება რჩება პრობლემად, როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. კარიერის დაგეგმვის და მართვის მანკიერი სისტემა არის ნიჭიერ ოფიცერთა დემოტივირებისა და მათ მიერ თავდაცვის ძალების დატოვების მიზეზი.

თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი:

თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი ვერ ასრულებს სამოქალაქო კონტროლისა და სამინისტროს პოლიტიკური მართვისთვის საჭირო შესაბამისი ჩარჩოს ჩამოყალიბებას.

სამინისტროს სამოქალაქო ოფისში დასაქმებული ადამიანების რიცხვი ბოლო 10 წელიწადში გაორმაგდა და იქცა პოლიტიკური ნიშნით დასაქმების ერთ-ერთ ინსტრუმენტად. ეს ყოველივე იწვევს პროფესიონალი საჯარო მოხელეების დემოტივაციასა და ნეგატიურ სელექციას.

სამოქალაქო ოფისი გავლენას ვერ ახდენს თავდაცვის სისტემის გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე ეროვნულ დონეზე არსებული სუსტი მექანიზმების გამო

სამოქალაქო ოფისი ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმების განგრძობადობას.

კრიტიკული ღონისძიებები

ეროვნული დონე:

1. თავდაცვის მოდელზე, მისი რესურსებით უზრუნველყოფისა და განვითარების საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის მიზნით, შეიქმნება საქართველოს პარლამენტში მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც შეიმუშავებს პოლიტიკურ მითითებებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროსთვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისთვის (შვედური თავდაცვის აქტის მოდელი). ამოსავალი წერტილი თავდაცვის ბიუჯეტი: მშპ-ის 3 პროცენტი.

2. თავდაცვის ძალების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით პარლამენტში კანონით განისაზღვრება თავდაცვის ძალების მეთაურის ანგარიშგების მექანიზმები.

3. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რეფორმირება: საბჭოს სამდონიანი მართვა: მინისტრების დონე, მოადგილეების დონე (მუდმივი სახელმწიფო მდივნები), მუდმივმოქმედი, შერეულად დაკომპლექტებული უწყებათშორისი კომიტეტები. საბჭოს მდივანი დამოუკიდებელი ფიგურა უნდა იყოს.

4. კონცეპტუალური დოკუმენტების - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, ეროვნული თავდაცვის სტრატეგია - ზემოხსენებულ ფორმატში შემუშავება. აგრეთვე, ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის დოკუმენტის შემუშავება.

5. კრიზისებისა და ომის მართვის ეროვნული სისტემის შემუშავება.

6. ნატოს ვარშავის სამიტის 2016 წლის მითითებების შესაბამისად, შეიქმნება სამოქალაქო მზადყოფნის (civil preparedness) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მედეგობას - იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს და სწრაფად აღიდგინოს ფუნქციონირება ბუნებრივი კატასტროფების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩავარდნის და ჰიბრიდული შეტევების შემთხვევაში.

7. საჯარო სამსახურის რეფორმების ფარგლებში შეიქმნება მუდმივი სახელმწიფო მდივნის თანამდებობა. თავდაცვის სამინისტროში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურებს შეიმუშავებს პარლამენტი, ხოლო შეარჩევენ სამოქალაქო ორგანიზაციები, პარლამენტი და პრეზიდენტის შექმნილი საბჭო.

8. საქართველო განაგრძობს ნატოში ინტეგრაციის შეჩერებულ პროცესს. ასევე აღადგენს თანამშრომლობას ევროკავშირთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

9. მრავალმხრივი ფორმატების პარალელურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ორმხრივ ურთიერთობებს თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

10. შეკავების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით დაიწყება დიალოგი პარტნიორებთან, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მუდმივი სამხედრო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, იქნება ეს ერთობლივი წვრთნები, მონაცვლეობითი ძალები (Rotational Force) თუ სამხედრო ბაზა.

უწყებრივი დონე/თავდაცვის ძალები:

11. თავდაცვის მზადყოფნის გაზრდის მიზნით პროფესიული ქვედანაყოფების დაკომპლექტება, აღჭურვა და წვრთნა პარტნიორებთან ერთად.

12. შეიარაღების ახალი სისტემების გრძელვადიანი შესყიდვები შემდეგი პრიორიტეტულობით: ჰაერსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო, არტილერია.

13. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება უპილოტო საფრენი აპარატების (ტაქტიკური და ოპერატიული დონე) შესყიდვასა და ინტეგრირებას.

14. ტერიტორიული თავდაცვის ძალების შექმნა ეროვნული გვარდიის ბაზაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

15. მოხალისეთა ორგანიზაციების ერთიან ოპერატიულ სურათში ინტეგრირება.

16. ოფიცერთა წვრთნა და განათლება: თავდაცვის აკადემიის რეფორმირება. უნდა გაიზარდოს უმაღლესდამთავრებული ოფიცრების თავდაცვის ძალებში რეკრუტირება მაღალი ხარისხის ოფიცერთა კურსების უზრუნველყოფით.

17. ოფიცერთა კარიერული მართვის ახალი სისტემის დანერგვა.

უწყებრივი დონე/სამოქალაქო ოფისი:

18. მუდმივი სახელმწიფო მდივნის პოზიციის შემოღების შემდეგ სამინისტროში სტრატეგიული მიმოხილვის პროცესის შექმნა, სტრუქტურის, ფუნქციებისა და შესაბამისი რესურსის გონივრული ჰარმონიის მისაღწევად.

19. თავდაცვის მზადყოფნაზე სამოქალაქო ოფისში სპეციალური პოზიციის შექმნა.

20. სამინისტროს სისტემაში გენერალური ინსპექციის, სამხედრო პოლიციისა და სხვა მარეგულირებლების ნატოს სტანდარტების შესაბამისი ფუნქციების დაკისრება. „პოლიტიკური პოლიციის“ როლისგან მათი საბოლოო გათავისუფლება.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა

გამოწვევები

საქართველოში დეზინფორმაციასთან ბრძოლა ხელისუფლების მხრიდან ეფექტიანად არ მიმდინარეობს. პოლიტიკური ნება ამ პრობლემის მოსაგვარებლად ნაკლებად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის დეკემბერში ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო. ევროკავშირთან მიღწეული შეთანხმების მიხედვით, საქართველომ ცხრა დათქმა უნდა შეასრულოს. აქედან პირველი დათქმაა: „ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან და [უცხოურ] ჩარევასთან ბრძოლა“.

მიუხედავად იმისა, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში შესაბამისი სამსახურები შეიქმნა, დეზინფორმაცია რჩება ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად.
მთავარი გამოწვევებია სახელმწიფოს მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელება, უწყებათშორისი კოორდინაციის სირთულეები და სოციალური ქსელების პლატფორმებთან თანამშრომლობის არარსებობა ეროვნულ დონეზე. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებების ქმედებები ხშირად ფორმალურია ან მმართველი პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად იმართება.

სახელმწიფო უწყებები არაეფექტიანად მუშაობენ რუსული დეზინფორმაციული ნარატივების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსახლეობას დროულად არ მიეწოდება ინფორმაცია ნაკლებობაში. პირიქით, ხშირად თვითონ ხელისუფლება, ტროლების და ბოტების, არაავთენტური ანგარიშების თუ ყალბი გვერდების მეშვეობით მიზანმიმართულად ავრცელებს დეზინფორმაციას, რომელიც ევროკავშირისა და აშშ-ს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ეს იწვევს მოსახლეობაში სკეპტიციზმის გაღრმავებას დასავლეთის მიმართ და ხელს უწყობს რუსული დეზინფორმაციის გავრცელებას ქვეყანაში. საქართველოში კრემლის პროპაგანდისტული მედიები კვლავაც ხელმისაწვდომია, ხოლო პრორუსული ტელევიზიები აქტიურად მაუწყებლობენ.

პრორუსული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში პარლამენტს, როგორც პოლიტიკის ფორმირებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მთავარ ორგანოს, ცენტრალური როლი უნდა ჰქონდეს. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე შექმნა თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომლის მიერ მომზადებული ანგარიში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ“ დღემდე პარლამენტის მიერ მტრული დეზინფორმაციისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ შემუშავებულ ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტად რჩება.

ხელისუფლების წარმომადგენლების ანტიდასავლური, მადისკრედიტებელი და დეზინფორმაციული განცხადებები დასავლელი პარტნიორების, ელჩების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სტრატეგიული პარტნიორების წინააღმდეგ მოსახლეობაში თესავს სკეპტიციზმს დასავლეთის მიმართ, ყოფს საზოგადოებას და აძლიერებს რუსული დეზინფორმაციის გავლენებს ქვეყანაში.

პარლამენტში დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან საბრძოლველად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 2020 წელს გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო უწყებებმა არ შეასრულეს. ხელისუფლება, როგორც წესი, არ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან, რომლებიც დეზინფორმაციასთან ბრძოლაში მისი მთავარი მოკავშირეები უნდა იყვნენ.

კრიტიკული ნაბიჯები

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელმა უწყებებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან. სახელმწიფომ უნდა განავითაროს მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირის ისეთ სპეციალიზებულ სააგენტოებთან, როგორიცაა „აღმოსავლეთ სტრატკომის“ გუნდი, ევროპის ციფრული მედიის ობსერვატორია, ისევე როგორც „ნატოს მოწინავე გამოცდილების ცენტრებთან“, რათა გაძლიერდეს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან საგარეო თანამშრომლობა.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. უნდა შეიქმნას სოციალური მედიის ანალიზისა და დეზინფორმაციის

ობსერვატორია (შესაძლებელია სოციალური მედიის საბჭოს ფორმით), რომელიც გააერთიანებს ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებს და გააძლიერებს თანამშრომლობას სოციალური მედიის პლატფორმებთან.

მედიაწიგნიერების ფუნქცია ფორმალურად უნდა დაეკისროს განათლების სამინისტროს, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში მედიაწიგნიერებაზე პასუხისმგებელი ორგანოა. მაგალითისთვის, ფინეთში, რომელიც დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და მედიაწიგნიერების თვალსაზრისით ლიდერია, მედიაწიგნიერება სწორედ განათლების სამინისტროს სისტემის განუყოფელი ნაწილია.

გარდა ამისა, ეროვნულ დონეზე უნდა დამყარდეს ურთიერთობა სოციალური ქსელების პლატფორმებთან და შეიქმნას ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მსგავსი „ონლაინ უსაფრთხოების და ზიანის პრევენციის პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც ონლაინ ზიანის პრევენციას უზრუნველყოფს. კოდექსი არასამთავრობო ორგანიზაცია Netsafe-სა და მსოფლიოს წამყვან სოციალურ ქსელებს შორის გაფორმდა და მსგავსი ტიპის კოდექსის ინიციირება საჭიროა საქართველოშიც, მთავრობის მხარდაჭერით, ვინაიდან დეზინფორმაციასთან და სიძულვილის ენასთან ეფექტიანი ბრძოლა სოციალური ქსელების პლატფორმებთან თანამშრომლობის გარეშე ვერ განხორციელდება.

ტერიტორიული მთლიანობა და საგარეო პოლიტიკა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი აღდგენის სამართლიანი მისწრაფება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ეს არის ურთულესი და შრომატევადი პროცესი, რომელიც მშვიდობიანი გზებით უნდა მივიდეს სანუკვარ მიზნამდე.

ოკუპირებულ რეგიონებში მუდმივ დაძაბულობას დამანგრეველი შედეგები აქვს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო და უწყვეტმა ოკუპაციამ, მავთულხლართების მუდმივი გადმოწევით გამოწვეულმა „მცოცავმა ოკუპაციამ“, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესუსტების საშუალებამ, ვერ უნდა მიაღწიოს თავის მიზანს, რაც გამოიხატება რუსეთის მცდელობაში, აღადგინოს და დაიბრუნოს გავლენა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე.

აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სრულად არიან დამოკიდებულნი რუსეთზე ვაჭრობისა და სამხედრო დახმარების თვალსაზრისით. რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაცია ხელს უშლის საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკურ ჯგუფებსა თუ სამოქალაქო საზოგადოებას, უშუალოდ დაამყარონ კავშირი საკუთარ მოქალაქეებთან აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში და დიალოგის გზით მოძებნონ გამოსავალი კრიზისული მდგომარეობიდან.

საქართველოს პარლამენტში შესვლისთანავე, თავისუფლების მოედანი დანერგავს იმ სახის პოლიტიკას, რომელიც პოტენციური კონფლიქტების შემცირებისკენ იქნება მიმართული, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. მისი ხელმძღვანელობით ქვეყანა გარდაიქმნება უფრო ქმედუნარიან სახელმწიფოდ, რომელსაც ექნება გამართული საბაზრო ეკონომიკა, ძლიერი ენერგეტიკული ბაზარი, მყარი დემოკრატიული ინსტიტუტები და ღირსებაზე დაფუძნებული, ადეკვატური სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა. მისი ძალისხმევითა და საქართველოს მოსახლეობის პირდაპირი ჩართულობით შემცირდება პოტენციური კონფლიქტების ნეგატიური გავლენები და საბოლოოდ დაიძლევა კრიზისი, რომელიც ოცდაათი წელია, რაც საქართველოს ისტორიულ მიწაზე მძვინვარებს.

თავისუფლების მოედანი ძალისხმევას არ დაიშურებს ისეთი კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მეწარმეების ეკონომიკური კავშირების გაუმჯობესებასა და გაძლიერებას საქართველოს სახელმწიფოსთან და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მათი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობას.

სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან ერთად წახალისდება ისეთი ქმედებები, რომლებიც გააჯანსაღებს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან თანამშრომლობას და გააღრმავებს მას. დაინერგება სახელმწიფო პროგრამები ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და, ასევე, მაღალი ხარისხის საშუალო და საუნივერსიტეტო განათლების მიმართულებით. ერთობლივი ძალისხმევითა და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობით, თავისუფლების მოედანი დაგეგმავს და განახორციელებს პროგრამებს, რომლებიც გააუმჯობესებს სატრანსპორტო სისტემას და ტელეკომუნიკაციებს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან, მოაგვარებს ყოფით პირობებს რეგიონებში, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს და გააღრმავებს კავშირებს ამ რეგიონებსა და დანარჩენ ქვეყანას შორის; ასევე, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს სარგებელს მოუტანს დასაქმებასა და ერთობლივ სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში.

თავისუფლების მოედანს გააზრებული აქვს, რომ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან მუშაობა უშედეგო იქნება ამ პროცესში ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების ჩაურთველად. ამიტომ, საჭიროა თანამშრომლობა ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა პარტნიორებთან, რათა გაძლიერდეს მმართველობა და უსაფრთხოება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. შემუშავებული იქნება თანამშრომლობის იმ მექანიზმები, რომლებიც კონფლიქტის რისკის შემცირებაზე იქნება ორიენტირებული. შესაძლოა, ეს მიდგომა მოიცავდეს ევროკავშირის, აშშ-სა და საქართველოს მთავრობის არსებულ სტრატეგიათა ასპექტების გაანალიზებას და გაძლიერებას; მუშაობას, რომ შემცირდეს კონფლიქტის რისკი და გაიზარდოს მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარების პოტენციალი.

თავისუფლების მოედნის ლიდერები აცნობიერებენ, რომ ზემოხსენებული კონფლიქტები რუსეთის ფედერაციაზე ძლიერი და მტკიცე საერთაშორისო ზეწოლის გარეშე ვერ მოგვარდება. ამიტომ, აქტიურად წარიმართება მუშაობა საერთაშორისო

საზოგადოებასთან და უცხოეთის მთავრობებთან - ევროკავშირშიც და სხვაგანაც, რომ რუსეთმა პატივი სცეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს და საერთაშორისო კანონმდებლობას. გაძლიერდება თანამშრომლობა პოლიტიკოსებთან და ადვოკატირების ჯგუფებთან, რათა დაცულ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესები და მშვიდობიან, დემოკრატიულ და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში ცხოვრების უფლება.

ზემოხსენებულის რეალიზება შეუძლებელია არსებული ხელისუფლების პირობებში, როდესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკამ დაკარგა როგორც ფორმა, ასევე შინაარსი.
საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა დაუბრუნდეს განვითარების პროევროპულ ვექტორს. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს სხვა, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად მიმზიდველ თანამშრომლობებზე უარის თქმას. თავისი ისტორიის მანძილზე საქართველო წარმოადგენდა ერთგვარ ხიდს სხვადასხვა კონტინენტებსა და ცივილიზაციებს შორის და მას უნდა დაუბრუნდეს ეს პოზიცია. ამასთანავე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რომ პროევროპულობა არ უშლის და არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას აზიის, სამხრეთ ამერიკისა თუ აფრიკის ქვეყნებთან.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მას ინვესტორების, პარტნიორებისა თუ ტურისტებისთვის. ვერავინ შეცვლის ქვეყნის გეოგრაფიას და უნდა გაქარწყლდეს დეზინფორმაციული გზავნილები, თითქოს ევროკავშირში გაწევრიანება ხელს შეუშლის მას აზიისა თუ სხვა რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობებში.

უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა როგორც რეგიონულ კონტექსტში, მეზობელ ქვეყნებთან, ასევე შავი ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. საქართველო ამ ქვეყნებისთვის უნდა წარმოადგენდეს მიმზიდველ ქვეყანას, როგორც ინვესტიციებისა და ბიზნესის, ასევე ტურისტული პოტენციალით, რასაც სჭირდება არა მარტო გამართული და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და დემოკრატიული ინსტიტუტები, არამედ მნიშვნელოვანი ძალისხმევაც საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო

საგარეო საქმეთა სამინისტროს შიგნით არსებობს იგივე გამოწვევები პოლიტიკური წნეხის, კადრების დაკომპლექტების, როტაციის, დაწინაურებისა და წახალისების სისტემის მხრივ, რაც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საელჩოებში არსებული სისტემა არ არის მერიტოკრატიული, ელჩების და სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის პროცესი არ არის გამჭვირვალე და ხშირ შემთხვევაში ნიჭიერი, პატრიოტი კადრების ნაცვლად ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩევენ „პოლიტიკურად საიმედო“ კადრებს, რომელთა პროფესიონალიზმიც საეჭვოა.

ამასთან ერთად, ის კადრებიც კი, რომლებიც შეიძლება ჩაითვალონ „პროფესიონალური ნიშნით“ დაწინაურებულად, ვერ უძლებენ კრიტიკას მათი მორალური თვისებებით თუ პროფესიონალიზმით, რადგან სამინისტროს შიგნით წლებია არ მომხდარა ძირეული ატესტაცია და არსებული კადრების კომპეტენციის შეფასება. გაუმართავია საგარეო დიპლომატიური რეზერვისა და საზღვარგარეთ როტაციის სისტემაც, რომელიც დამოკიდებულია არა დიპლომატების პროფესიონალიზმზე, არამედ ხელმძღვანელი პირების კეთილგანწყობაზე, რაც ხელმძღვანელი პირების გვარ-სახელებთან ერთად იცვლება. ბუნებრივია, ქვეყნის დიპლომატიური სამსახური არ უნდა იყოს დამოკიდებული ცალკეული პირების ნება-სურვილზე.

თავისუფლების მოედნის ხედვით, უნდა ჩატარდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებული პირებისა (დეპარტამენტის დირექტორიდან და ზევით) და ელჩების სავალდებულო ატესტაცია, რათა სისტემის შიგნით მიეცეთ დაწინაურების საშუალება მაღალი პროფესიონალიზმის მქონე დიპლომატებს. ასევე, უნდა მოწესრიგდეს როტაციის სისტემა და დიპლომატიური რეზერვი, რაც „დიპლომატების უმუშევრობის“ შელამაზებულ ფორმას წარმოადგენს და აძლევს საშუალებას ხელისუფლებასა თუ კონკრეტულ მინისტრს, სისტემის გარეთ დატოვოს მათთვის მიუღებელი ადამიანები. სამწუხაროდ, როტაციის წესით მივლინებულმა ქართველმა დიპლომატმა არ იცის, საქართველოში დაბრუნების შემდეგ სად გააგრძელებს მუშაობას ან, საერთოდ, გააგრძელებს თუ არა ამ პროფესიით მუშაობას.

ასევე უნდა მოწესრიგდეს დიპლომატიურ სამსახურში მიღების წესი და აღმოიფხვრას ყველა ის ნაკლოვანება, რაც ხელს უწყობს ნეპოტიზმს და „ფავორიტიზმს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სამშვიდობო პოლიტიკა აფხაზებსა და ოსებთან მიმართებაში

თავისუფლების მოედანი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, ცალმხრივად და მკაფიოდ განაცხადებს, რომ არ გამოიყენებს სამხედრო ძალას აფხაზების და ოსების წინააღმდეგ რადგან ეს არ იქნება გამართლებული არც მორალურ-ეთიკური და არც პრაგმატულ-რაციონალური თვალსაზრისით. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერიგება და მათთან ერთობლივი სახელმწიფოს აშენება შესაძლებელია საქართველოს წარმატებული ევროპული ინტეგრაციისა და მწყობრი სამშვიდობო პოლიტიკის პირობებში. წარმატებულ, ევროკავშირის წევრ საქართველოსთან ერთობლივ სახელმწიფოში ყოფნა აფხაზებისა და ოსებისთვის იქნება მათი კულტურისა და იდენტობის დაცულობის, ეკონომიკური კეთილდღეობის, სოციალური და უფლებრივი დაცულობის, ხარისხიანი განათლებისა და სხვა სიკეთეების მიღების გარანტია.

კონფლიქტების მართვა - ინსტიტუციური დონე

წინა საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღების პარალელურად და, განსაკუთრებით, მათი ცხელი ფაზის დასრულების შემდგომ, ცხადად გამოიკვეთა იმგვარი ინსტიტუციების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც კონფლიქტის დარეგულირების საკითხებით იქნებოდნენ დაკავებული. მართლაც, წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო მუდმივად ქმნიდა სხვადასხვა უწყებებს, რომელთა უმეტესობა დღემდე აგრძელებს მუშაობას. შედეგად რთული გასარკვევია, სად იწყება ერთი ინსტიტუციის ფუნქციები და სად გადაიკვეთება ისინი მეორესთან. მართალია, შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ამჟამად კონფლიქტებთან მიმართებაში პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საკვანძო სახელმწიფო ინსტიტუციად ითვლება, მაგრამ ამ მიმართულებით მომუშავე აქტორთა სიმრავლე და თვითონ აპარატის დაბალი პოლიტიკური სტატუსი ძალიან ართულებს ამ ამოცანას. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენს სახელმწიფო მინისტრის ვიცე-პრემიერის რანგში აყვანა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის პოლიტიკურ წონას და სახელმწიფო სტრატეგიასაც მეტად კოორდინირებულს გახდის. ამასთანავე, თავისუფლების მოედნის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყება და უმოკლეს პერიოდში დასრულდება მუშაობა ყველა იმ დოკუმენტზე, რომლებიც სამშვიდობო პოლიტიკის წარმოებისთვის იქნება საჭირო.

მშვიდობის ფონდი და ეკონომიკური ურთიერთობის წამახალისებელი სხვა ინსტრუმენტები

2008 წლიდან მოყოლებული, რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურ და ფინანსურ ოკუპაციასაც ახორციელებს. ცნობილია, რომ სოხუმიცა და ცხინვალიც მნიშვნელოვანწილად არიან დამოკიდებულნი რუსეთის მხარდაჭერაზე. ამ ფონზე, ერთობ გასაკვირია, რომ საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ უმუშავია სისტემურად იმისათვის, რომ აფხაზებსა და ოსებში გაეჩინათ დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობის წამოწყების ინტერესი. გამონაკლისია ახლად შექმნილი მშვიდობის ფონდი, რომელიც აფხაზ, ოს და ქართველ მცირე მეწარმეთა თანამშრომლობას უწყობს ხელს. თუმცა, მაშინ, როდესაც რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე რამდენიმე ასეულ მილიონ ლარს ხარჯავს, მშვიდობის ფონდის მწირი ბიუჯეტი, დიდ სურათზე გავლენას ვერ ახდენს. თავისუფლების მოედნის მიზანი იქნება, ხელისუფლებაში მოსვლიდან ორ წელიწადში, მოახდინოს, სულ მცირე, 20 მილიონი ლარის მობილიზება და მისი მიმართვა ოკუპირებულ და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებ მეწარმეთა თანამშრომლობის წახალისებაზე.

ამასთანავე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციისათვის, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მათ სიახლოვეს მძლავრი ეკონომიკური პროექტების რეალიზება. აფხაზეთის მიმართულებაზე ასეთად ანაკლიის საპორტო ქალაქის მშენებლობა მიგვაჩნია; ხოლო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ერგნეთის ბაზრის ტიპის, ლეგალური თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა.

სამედიცინო სფერო

წლებია, რაც აფხაზებიცა და ოსებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო ინფრასტრუქტურითა და სერვისებით, ფაქტობრივად, უფასოდ სარგებლობენ. საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნებისა და დარგის შესაბამისი წარმომადგენლების მეცადინეობით, 2010 წლიდან მოყოლებული, ათასობით აფხაზისა და ოსის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა. ვფიქრობთ, გარდა წმინდად სამედიცინო განზომილებისა, ეს სამედიცინო პროგრამა ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა შორის ადამიანური ურთიერთობების

აღდგენასა და ნდობის გაჩენას უწყობს ხელს. შესაბამისად, საქართველო, ერთი მხრივ, შეინარჩუნებს და, მეორე მხრივ, გამოასწორებს იმ არსებულ ინსტიტუციურ თუ მმართველობით ნაკლოვანებებს, რომლებიც პროგრამას აქვს.

გალისა და ახალგორის მოსახლეობის მხარდაჭერა

ცნობილია, რომ გალისა და ახალგორის ეთნიკურად ქართველი მცხოვრებნი, აღიქმებიან საქართველოს ლოიალისტებად და დისკრიმინაციასა და ჩაგვრას განიცდიან. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ გალელებსა და ახალგორელებზე ყველაზე მეტად აისახება მოუგვარებელი კონფლიქტების უარყოფით შედეგები. გაუსაძლის საცხოვრებელ და ფაქტობრივი უუფლებობის პირობებში მოსახლეობა გალისა და ახალგორის რაიონებს სულ უფრო სწრაფი ტემპებით ტოვებს. პროცესების ამგვარად გაგრძელების შედეგად უახლოეს ათწლეულში ორივე რაიონი ადგილობრივი მცხოვრებლებისგან დაიცლება. საქართველოს მორალური ვალდებულება და სტრატეგიული მიზანია, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ, მისდამი კეთილგანწყობილ (და ამისათვის ჩაგრულ) მოქალაქეებს ყველანაირად დაეხმაროს და შეუქმნას შეძლებისდაგვარად ღირსეული საცხოვრებელი გარემო. ამ მიზნის მისაღწევად თავისუფლების მოედანი, გარდა იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე წამოსწევს საკითხს, ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, შეიმუშავებს გალელთა და ახალგორელთა დახმარების სპეციალურ პაკეტს. პაკეტი მიზნობრივი იქნება და მოიცავს ყველა ასაკობრივ კატეგორიას, დაწყებული ბავშვებითა და მოზარდებით, დასრულებული პენსიონერებით.

მეტი დასავლური განათლების მქონე ადამიანი საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში

აფხაზებისა და ოსების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში მიდის. წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მოსკოვი მათ ყველანაირ პირობას უქმნის იმისათვის, რომ ცოდნა რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღონ. საქართველოსა და დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცესთან კავშირები უმნიშვნელოა. შედეგად კი, სამხედრო, ეკონომიკურ და საინფორმაციო დომინაციასთან ერთად, რუსეთი აფხაზებისა და ოსების გონება-მსოფლმხედველობაზეც ექსკლუზიურ გავლენას ინარჩუნებს. ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. თბილისმა, საკუთარი ინიციატივითა და ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით, აფხაზი და ოსი სტუდენტებისთვის, ქართულ

საგანმანათლებლო სივრცესთან ერთად, ევროპული საგანმანათლებლო სივრცეც უნდა გახსნას (ამგვარი გამოცდილება არსებობს მაგალითად კვიპროსში). რადგან ვაშენებთ დასავლურ სახელმწიფოს, საჭიროა მეტი ევროპა ყველგან, მათ შორის და მითუმეტეს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები მარათონია და არა სპრინტი, ხოლო ერთმანეთთან მისასვლელი გზების ძიებაში, ერთ ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირება, შესაძლოა, კრიტიკული მნიშვნელობისა აღმოჩნდეს.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია

საქართველოს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები დღემდე მნიშვნელოვანწილად გარიყულები არიან ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, თუ ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამ მიმართულებით, საქართველოს ყველა ხელისუფლება სცოდავდა, ტრადიციულად ისინი უმცირესობებს საფრთხედ აღიქვამდნენ და არა ქვეყნის სიმდიდრედ. თავისუფლების მოედნის ხელისუფლებაში მოსვლის პირობებში მალევე გადაიდგმება ნაბიჯები, რომლებიც უმცირესობების საქართველოს სახელმწიფოში სრულფასოვანი ინტეგრაციისკენ იქნება მიმართული; რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი არგუმენტი გახდება ყველა სკეპტიკოსი აფხაზისა და ოსისათვის.

საინფორმაციო პოლიტიკა და ქვეყნის პოზიციონირება

საქართველოს არ გააჩნია გამართული საინფორმაციო პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. ორივე მხარე სრულადაა მოქცეული რუსეთის საინფორმაციო ველში. შედეგად, აფხაზებისა და ოსების წარმოდგენები, როგორც საქართველოს, ასევე ზოგადად სამყაროსთან მიმართებაში, საქართველოსადმი არამეგობრულად განწყობილი აქტორის მიერ ფორმირდება. ხელისუფლებაში მოსვლიდანვე, მყისიერად, უნდა დაიწყოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საწარმოებელი საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავება და მისი გამტარი მედიაინსტრუმენტების შექმნა, რომლებიც მიზნად დაისახავენ საქართველოს შესახებ ობიექტური, დაბალანსებული ინფორმაციის გავრცელებას, როგორც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე სრულიად კავკასიაში (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში) და მის ფარგლებს მიღმა.

ეთნიკური უმცირესობები

საქართველო გამოირჩევა მრავალფეროვანი მოსახლეობით, რამაც მისი განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობა და ხასიათი შექმნა. მრავალფეროვნების აღიარება, შენარჩუნება და განვითარება თავისუფლების მოედნის მიზანს წარმოადგენს. მრავალფეროვნების მართვას დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი და წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ეს სტრატეგია დაეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ვალდებულებებში არსებულ თანასწორობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის თანასწორობის მიღწევას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე.

შესაბამისად, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხები და სპეციფიკური საჭიროებები გათვალისწინებული იქნება ყველა სფეროში პოლიტიკის შემუშავების, კანონშემოქმედებით და აღსრულების პროცესებში.

გაგრძელდება ხელშემწყობი პროგრამები ქართული ენის შესასწავლად იმ რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება დგას. ყურადღება მიექცევა ენის შესწავლას და ამისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნება განათლების ყველა საფეხურზე.

შეიქმნება ხელშემწყობი გარემო ეროვნული უმცირესობებისთვის საჯარო სამსახურში დასაქმებისთვის, განსაკუთრებით ცენტრალურ დონეზე, რათა გაუმჯობესდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეთნიკური უმცირესობების ქალების წარმომადგენლობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

პოლიტიკის დონეზე გაძლიერდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების/თემის ლიდერების/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხი. ამისთვის შეიქმნება დიალოგისა და კონსულტაციის ახალი ან გაძლიერდება არსებული პლატფორმები.

გაძლიერდება საკონსულტაციო მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს თემთა შორის დიალოგს ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე. ამის მიზანია

კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის ჩამოყალიბება, რათა თავიდან იქნეს აცილებული თემთა შორის დაპირისპირება რელიგიური ან ეთნიკური ნიშნით.

გაანალიზდება და შეიცვლება არსებული კანონმდებლობა, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაციული პრაქტიკა რელიგიური უმცირესობების მიმართ, რაც იქნება პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯი სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

შრომა და სოციალური დაცულობა

გამოწვევები

შრომა დაუფასებელია - უმრავლესობა პატიოსანი გარჯით წელში ვერ იმართება. სადაც შრომით ღირსეული ცხოვრება შეუძლებელია, იქ სოციალური შემწეობებით სიღარიბის შემსუბუქებაც კი ძალიან ჭირს.

ადგილობრივი შრომის ბაზარი უფუნქციოა. დამსაქმებელი ვერ პოულობს კვალიფიციურ კადრს, კვალიფიციური კადრი კი დამსაქმებელს. არაკვალიფიციური მუშახელიც კი სანთლით საძებნელია. შრომის ბაზარი ვერ ატყობინებს განათლების სისტემას, რა სახის სამუშაო ძალა სჭირდება და ისიც ვერ აწვდის კონკურენტუნარიან კვალიფიციურ მუშახელს.

ძირითადი საზრუნავია, რომ შრომა გახდეს საამაყო - ნებისმიერმა შრომისუნარიანმა ადამიანმა, საკუთარი გარჯით წელში გამართულმა, ღირსეულად იცხოვროს და არ ეშინოდეს მომავლისა.

საჭიროა მოქალაქეებს, ბაზარს (ეკონომიკურ აგენტებსა) და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ერის კეთილდღეობასა და რისკებთან გამკლავებაზე პასუხისმგებლობების სამართლიანად განაწილება.

თითოეულმა შრომისუნარიანმა ადამიანმა არ უნდა დაიზაროს სწავლა, უნარების შეძენა, თავისი საქმის მცოდნედ ჩამოყალიბება, ახლის ძიება, გარჯითა და შრომით საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

თანამედროვე შრომის ბაზარი პასუხს აგებს იმაზე, რომ დასაქმება დაეფუძნება ჯანსაღ კონკურენციას და არა ნაცნობობას. მან, ერთი მხრივ, დასაქმების მაძიებელს უნდა გაუადვილოს თავისი კვალიფიკაციის (პროფესიული უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების) შესაფერისი სამუშაოს პოვნა. მეორე მხრივ, დამსაქმებელს უნდა გაუადვილოს კვალიფიციურ კადრებს შორის საუკეთესოს შერჩევა. უნდა „დაუკვეთოს“ განათლების სფეროს, რა უნარ-ჩვევების/კვალიფიკაციის კადრზე იზრდება მოთხოვნილება და თან გაუადვილოს უმუშევრებს, შეეჭიდონ ახალ საქმეს ან აიმაღლონ კვალიფიკაცია და მალე დასაქმდნენ კვალიფიკაციის შესაბამისად.

სახელმწიფომ პასუხი უნდა აგოს იმაზე, რომ საზოგადოებაში შეიცვალოს დამოკიდებულება შრომის მიმართ. ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ ყველანაირი შრომა საამაყოა და პატიოსანი შრომით შეიძლება წელში გამართვა. ხალხმა უნდა დაინახოს კავშირი ცოდნასა და კეთილდღეობას შორის: რაც უფრო მეტად პროფესიონალი ხარ, მით უკეთ ცხოვრობ.

ადგილობრივი შრომის ბაზარი უნდა გახდეს გამჭვირვალე და დინამიკური. ადამიანს არ უნდა ეშინოდეს სამსახურის დაკარგვისა, თუ ის მოწადინებულია პროფესიულად გაიზარდოს და მეტს მიაღწიოს თავისი შრომით.

სიბერეში ცხოვრების ხარისხი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ბოძებულ ასაკობრივ პენსიაზე, რომელიც თავისი შინაარსით შემწეობაა და ღირსების შემლახავია.

სოციალური შემწეობა უნდა გაიზარდოს და ის მიიღოს მხოლოდ იმ ოჯახებმა, რომელთა წევრებსაც არ შესწევთ შრომის უნარი და ამ შემწეობამ ხელი უნდა გაუმართოს ოჯახის შრომისუნარიან წევრებს, რომ მათ შეძლონ შრომის ბაზარზე დაბრუნება.

კრიტიკული ნაბიჯები

1. შრომის პოპულარიზაციის დაწყება ადრეული ასაკიდანვე. შესაბამისი განათლება ბაგა-ბაღებში, სკოლებში, სასწავლებლებში. ხელოვნების სხვადასხვა საშუალებებითა და სოციალური მედიის გამოყენებით ახალი თაობის დამოკიდებულების შეცვლა.

2. სასწავლო დაწესებულებებს შორის კონკურენციის წახალისება იმ ნიშნით, თუ სწავლის დასრულების შემდეგ რა ნაწილმა შეძლო კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს დაწყება.

3. შრომითი კანონმდებლობის შეცვლა დამქირავებლისა და დაქირავებულის შრომითი ურთიერთობების გასამარტივებლად.

4. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შრომის ბირჟის განვითარება, რომელიც:
   - აღრიცხავს სამუშაოს მაძიებელ ადამიანებს (ანუ უმუშევრებს) მათი უნარებისა და გამოცდილების ჩათვლით;
   - აფიქსირებს მოთხოვნას კვალიფიციურ კადრებზე;
   - ურჩევს სამუშაოს მაძიებლებს, სცადონ ახალი საქმის დაუფლება ან კვალიფიკაციის ამაღლება და გადამისამართება შესაბამის სასწავლო დაწესებულებასა თუ კურსებზე.

5. საკადრო (ადამიანური) რესურსების მართვის სტანდარტების ამაღლება, მათ შორის უცხოური ადამიანური რესურსების მართვის სააგენტოების ბაზარზე შემოყვანისა და თანამედროვე საინფორმაციო პლატფორმების განვითარების (მაშ შორის გაქართულების) წახალისებით.

6. შრომის ბაზრის რეგულარული კვლევების გაღრმავება და სტატისტიკურ ანგარიშებთან ერთად ანალიტიკური მასალების გამოქვეყნება.

7. უმუშევრობის დაზღვევის წახალისება, იმისათვის, რომ სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში ადამიანს ჰქონდეს შემოსავლის შენარჩუნების, ახალი სამსახურის ძიებისა და, თუ საჭიროა, საკუთარ თავზე მუშაობის (კონკურენტუნარიანობის ამაღლების) საშუალება.

8. უმწეოთა სოციალური დახმარების მიღების წესების გადასინჯვა:
   - ერთი მხრივ, ფულადი დახმარების გაზრდა (დამატებით სოციალურ მომსახურებასთან ერთად) მათთვის, ვინც ასაკის თუ ჯანმრთელობის გამო დაკარგა შრომის უნარი;
   - სანაცვლოდ, ფულადი სოციალური დახმარების შეწყვეტა იმათთვის, ვისაც შესწევს შრომის უნარი და თავს არიდებს სწავლას (პროფესიის დასაუფლებლად) ან შეთავაზებულ სამუშაოს.

9. სიბერეში ცხოვრების ხარისხის ამაღლება არასაპენსიო მექანიზმების განვითარებით ქართული კულტურისა და ტრადიციების (მაგალითად, შინამეურნეობების სტრუქტურის) და აზიის ქვეყნების წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით.

სოციალური დაცვის პოლიტიკა

სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება სამართლიანობის, სოციალური თანასწორობის, სოლიდარობისა და მდგრადობის პრინციპებს. პოლიტიკის მიზანია მოსახლეობის დაცვა, მხარდაჭერა და გაძლიერება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. ეს პრინციპები უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ოჯახების დაცვას სიღარიბისგან, სოციალურ რისკებთან გამკლავებას და თანასწორ განვითარებას. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს სოციალური დაცვის უფლება, რაც უნივერსალურ და თანასწორ წვდომას გულისხმობს.

დღეს საქართველოში არსებული სოციალური დაცვის პროგრამები ნაწილობრივ ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს. თუმცა სოციალური დაცვის ერთიანი ხედვის არ არსებობის პირობებში, რამდენად და რა მიზანს აღწევს სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული სოციალური პროგრამების განხორციელების შედეგად ცხადი არაა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველ მუნიციპალიტეტს აქვს რაიმე ტიპის სოციალური დაცვის პროგრამა, მათ შორის ფულადი დახმარებების სახით, უმეტესად ეს პროგრამები ერთჯერადია. ამავდროულად, მუნიციპალიტეტები ხშირად იყენებენ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის სარეიტინგო ქულებს, რათა განსაზღვრონ ამა თუ იმ მოქალაქეს რა ტიპის დახმარება გაუწიონ. ერთის მხრივ, ეს მიდგომა თითქოს რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას უწყობს ხელს, მაგრამ მეორეს მხრივ, უგლუვებელყოფს ოჯახებს, რომლებიც მიზნობრივი სოციალური დაცვის პროგრამის გარეთ არიან და შესაბამისად, მათი დაფარვა ვერც მუნიციპალური პროგრამებით ხდება.

სოციალური დაცვის პოლიტიკა დაეფუძნება სამ ძირითად მიმართულებას:

- სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების დაცვა.
- სიღარიბეში მოხვედრის პრევენცია. რაც გულისხმობს მოსახლეობის გაღარიბებისგან დაცვას სხვადასხვა კრიზისული ტიპის სიტუაციის დადგომის შემთხვევაში, როგორიცაა მაგალითად სამსახურის დაკარგვა, ავადმყოფობა, სხვადასხვა ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები.

- მოსახლეობის გაძლიერება, რაც გულისხმობს ისეთი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნას, რაც მათ საშუალებას მისცემს ინვესტირება მოახდინონ საკუთარ მომავალში და გაიუმჯობესონ კეთილდღეობა.

კონკრეტული ნაბიჯები

- სოციალური დაცვის სტრატეგიის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სოციალური დაცვის სისტემის მიზნები, ამოცანები და მიღწევის გზები.
- სოციალური დაცვის უზრუნველყოფა ღარიბი და სიღარიბის რისკის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობისათვის, მიზნობრივი სოციალური დახმარების და სერვისების შეთავაზებით.
- ბავშვთა სიღარიბის შემცირება ბავშვთა საყოველთაო გასაცემლების შემოღების გზით.
- სხვადასხვა სოციალური რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების მიზნობრივი დახმარება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითად: შშმ პირები, შშმ ბავშვები და მათი აღმზრდელები, მარტოხელა მშობლები, მარტოხელა მოხუცები, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ბავშვები.
- ოჯახზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება, რაც მათ შორის გულისხმობს ანაზღაურებად მშობლობის შვებულებას, ადრეული ასაკის ბავშვის მოვლისა და განვითარების სერვისების ხელმისაწვდომობას.
- ცენტრალური და ადგილობრივი სოციალური პროგრამების თანხვედრაში მოყვანა, რათა მოხდეს სერვისებისა და გასაცემლების შევსება და არა დუბლირება.
- უმუშევრობის დაზღვევა, დასაქმების ხელშეწყობა, პროფესიული უნარების განვითარება და სამუშაოს მაძიებელთა მხარდაჭერა შრომის ბაზარზე უკეთ ინტეგრაციისთვის.
- საქართველოში არაფორმალური სექტორი კვლავ დიდია და სოციალური დაცვის კუთხით ამ სფეროში დასაქმებული ჯგუფები მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა ერთი მხრივ, სამუშაოს ფორმალიზება და მეორეს მხრივ სოციალური პროგრამებით მათი უზრუნველყოფა, რაც შესაბამისად დაფარვის გაზრდას მოითხოვს.
- სოციალური დაცვის სისტემის მედეგობის გაზრდა შოკის და კრიზისების მიმართ. სოციალური დაცვის სისტემები უნდა იყოს მოქნილი და სწრაფად

რეაგირებდეს კრიზისებზე, როგორიცაა პანდემიები ან/და ბუნებრივი კატასტროფები.

- მნიშვნელოვანია, რომ სოციალური დაცვის სისტემები იყოს ფინანსურად მდგრადი და ხანგრძლივ პერსპექტივაში ფუნქციონირებადი. ამიტომაც აუცილებელია დაფინანსების სისტემის გამართვა.
- სოციალური დაცვის სისტემაში მყარი ინსტიტუციური ჩარჩოებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება, სოციალური დაცვის პროგრამების ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

დასაქმება და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა განგრძობითად მაღალი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა. ამის მისაღწევად აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადამიანური რესურსების განვითარება, წარმოების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მათ შორის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რეგულაციების დახვეწა, სახელმწიფო და კერძო პარტნიორობების წახალისება და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის შექმნა.

წინა და ამჟამინდელი მთავრობების მცდელობამ შეემუშავებინათ სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკა და ინსტრუმენტები, კრახი განიცადა. მათ ვერ უზრუნველყვეს ვერც უმუშევრობის სათანადოდ შემცირება და ვერც ინკლუზიური ეკონომიკური გაზრდა. შესაბამისად, თავისუფლების მოედნის ლიდერებს გააზრებული აქვთ შრომის ბაზარზე არსებული მძიმე რეალობა და, როგორც ამ ქვეყნის პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსები და მოქალაქეები, უმუშევრობის მზარდი მაჩვენებლების შესამცირებლად საზოგადოებას სამუშაო ბაზრის გააქტიურების პოლიტიკის შემუშავებას და მის დანერგვას სთავაზობენ.

უმუშევრობის გამოწვევების გადასაჭრელად და საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პროცესის დასაწყებად, თავისუფლების მოედანი წარადგენს დღის წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ბაზრის გააქტიურებასა და უმუშევართა რეინტეგრაციას სამუშაო ბაზარზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად
თავისუფლების მოედანი შეიმუშავებს ისეთ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმების ახალი ცენტრების ჩამოყალიბებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

თავისუფლების მოედანი მიზნად ისახავს, მიაღწიოს და შეინარჩუნოს ძლიერი ეკონომიკური ზრდა ცხოვრების დონის ასამაღლებლად და ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ამავე დროს, ცნობილია, რომ ძლიერ ეკონომიკურ ზრდას შეიძლება არ მოჰყვეს ინკლუზიურობა, რადგან გაზრდილი მატერიალური კეთილდღეობის სარგებელი ყოველთვის თანაბრად ვერ ნაწილდება სხვადასხვა ჯგუფს შორის. შესაბამისად, თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში ძლიერი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება ვერ იქნება გარანტი იმისა, რომ უუფლებო სოციალურ ჯგუფებს ექნებათ უფრო ძლიერი ხმა პოლიტიკურ პროცესებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დასავლეთ ევროპის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის მეტი თანასწორობა ნიშნავს უკეთეს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს ქვეყანაში. შესაბამისად, თავისუფლების მოედანი გაჰყვება საერთაშორისო პარტნიორების აპრობირებულ პოლიტიკას და დანერგავს უმუშევრობის დაზღვევის სქემას. უმუშევრობის დაზღვევის სქემა გახდება სამუშაო ბაზრის გააქტიურების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შექმნის მყარ საფუძველს ინკლუზიური ზრდისა და შრომის ბაზარზე მოქალაქეთა დაბრუნებისათვის.

საქართველოს პარლამენტში არჩევისთანავე, ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნისა და გაძლიერების მიზნით, დაინიციირდება რეფორმების პაკეტი. შრომის ბაზრის გააქტიურების პოლიტიკის დანერგვის დაწყებით, საქართველო შეუერთდება ევროპის იმ მოძმე ქვეყნების ოჯახს, სადაც კეთილდღეობაზე დაფუძნებული სისტემა უზრუნველყოფს თანასწორობასა და სამართლიანობაზე დამყარებულ სოციალურ უსაფრთხოებას.

ცხადია, ამ ინიციატივების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ხარვეზები დარჩება სისტემაში და საბოლოო მიზნის მისაღწევად ერთობლივი შრომა იქნება საჭირო. თუმცა, განხორციელებული პოლიტიკა მყარ საფუძველს ჩაუყრის უმუშევრობის დაზღვევის სქემას და უმუშევარ მოქალაქეებს მისცემს სოციალურ სერვისებზე უკეთ წვდომის საშუალებას.

დღეს ძნელია მოიძებნოს აღმასრულებელ შტოში ისეთი ორგანო, რომელიც შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. თავისუფლების მოედანი იმუშავებს „ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან“, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა ერთობლივი ძალებით ამუშავდეს უმუშევრობის რეგიონული ცენტრები. შეიქმნება ცენტრების ქსელი, რომელიც დასაქმების მაძიებლებს დაარეგისტრირებს, რჩევას მისცემს და დაეხმარება ღირსეულად დასაქმებაში. თავისუფლების მოედნის მიერ ინიციირებული კანონმდებლობის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დასაქმების ცენტრებს შორის თანამშრომლობას, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამისი მონაცემების ანალიზი და მოქალაქეების ეფექტიანი დასაქმება.

დასაქმების ცენტრების ქსელი შესაძლებლობებს შესთავაზებს სამუშაოს მაძიებლებს საქართველოში. სამუშაოს მაძიებლები შეძლებენ განათლების გაუმჯობესებას, ახალი

უნარების შეძენას და პირველადი პროფესიის გაღრმავებას ან შეცვლას საჭიროების შემთხვევაში.

თავისუფლების მოედანს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის სისტემაში მოითხოვს ფართო კონსენსუსს საზოგადოებაში. ამიტომ საჭიროა თანამშრომლობა ბიზნესის წარმომადგენლებთან და პროფკავშირებთან, რეგიონულ მთავრობებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან, რათა ქვეყნის მასშტაბით მიღწეულ იქნეს საერთო შეთანხმება იმ სახის სავალდებულო დაზღვევის სისტემის შექმნაზე, რომელიც დამსაქმებლებისა და დასაქმებულების თანაბარი მონაწილეობით დაფინანსდება. დასაქმების პოლიტიკა ვერ მიაღწევს თავის მიზანს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გარეშე. სწორედ ამიტომ თავისუფლების მოედანი იმუშავებს კერძო სექტორთან, ბიზნესასოციაციებთან და, ასევე, მთავრობასთან, რათა შესაძლებელი გახდეს ფისკალური პოლიტიკის გაძლიერება, ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესება.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას. ამ მიზნით, თავისუფლების მოედნის მიერ ინიციირებული რეფორმების პაკეტი ხელს შეუწყობს ვაჭრობისა და საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ფინანსური სექტორის სერვისების გაძლიერებას, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას პროდუქტიულობის მაღალი ხარისხის მხარდაჭერით, მიკრო- და მცირე საწარმოების პოლიტიკის გაუმჯობესებას. ამ პროცესში თანაბარი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ძალის განვითარებისა და მუშახელის უფლებების დაცვისათვის მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნასა და დანერგვას.

საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, თავისუფლების მოედანი დანერგავს რეფორმებს ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო შემოსავლების სამსახურში. კერძოდ კი, შემცირდება გადასახადის გადამხდელებზე არსებული ადმინისტრაციული ტვირთი და მათთან დამყარდება ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ფინანსების ადმინისტრირების პროცესში. მათ მიეცემათ სტიმული, რომ გადასახადის გადამხდელებმა არაფორმალური ზომების გამოყენებისგან თავი შეიკავონ და შემოსავლების ორგანოების მხრიდან მათდამი მოპყრობა ნაკლებად აღიქვან უსამართლობად. გარდა ამისა, თავისუფლების მოედანი მხარს დაუჭერს ინიციატივებს ბიზნესპროცესებისა და სისტემების გასაუმჯობესებლად, ეს კი საგადასახადო ორგანოებს მისცემს შესაძლებლობას, აღმოაჩინონ და გამოასწორონ

გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტები და კერძო სექტორთან ერთად შექმნან ურთიერთნდობაზე დამყარებული სამართლიანი სისტემა.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის გარემოს გაუმჯობესებას, თავისუფლების მოედანი გეგმავს საბაჟო ადმინისტრირების რეფორმას, რაც ხელს შეუწყობს მის გამარტივებას. ეს ინიციატივები გაზრდის შემოსავლებს და გააფართოებს ვაჭრობას საქართველოს უშუალო მეზობლებთან ისევე, როგორც ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დანერგილი რეფორმები გააძლიერებს ვაჭრობას ზედმეტი ადმინისტრაციული შეზღუდვების აღმოფხვრით; გააუმჯობესებს საბაჟო მოხელეების უნარს, აღმოაჩინონ და გამოასწორონ შეუსაბამობები და ეფექტიანად მართონ ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკები.

ბიზნესისთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად თავისუფლების მოედანი გააუმჯობესებს საქართველოს კომერციულ კანონმდებლობას ზუსტად იმ სფეროებში, რომლებიც კერძო სექტორისა და ბიზნესასოციაციების მიერ არის სტრატეგიულ პრიორიტეტებად განსაზღვრული. უფრო მეტიც, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების სექტორებს შორის ურთიერთპარტნიორობის გარეშე. მიზნის მისაღწევად, საჭიროა მუშაობა ყველა მოთამაშესთან, რათა გაუმჯობესდეს პოლიტიკა, კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც გავლენას ახდენს კერძო სექტორზე. კერძოდ კი, ეს ინიციატივები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- ბარიერების შემცირება კონკურენციის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით და დაუსაბუთებელ საბაზრო ფასებთან ბრძოლა;

- პოლიტიკისა და მარეგულირებელი ბარიერების შემცირება ბიზნესის დაარსების, ფუნქციონირებისა და დახურვისთვის;

- საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის გაძლიერება, რომელიც სამართლიანია კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც ისევე, როგორც ხელშეკრულებების აღსრულება და დავების გადაწყვეტა სამართლებრივი ფორმებით;

- კორუფციის მამოძრავებელი ფაქტორების შემცირება და გამჭვირვალე ბიზნესპრაქტიკის ხელშეწყობა;

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის გაძლიერება;

- კანონებისა და რეგულაციების გაუმჯობესება, რომლებიც გავლენას ახდენს ტექნოლოგიების შექმნაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე.

ეს ინიციატივები, აგრეთვე, მოიცავს იმ სახის პოლიტიკისა და რეგულაციების გაუმჯობესებას, რომლებიც გავლენას ახდენს ტექნოლოგიის დანერგვასა და წარმოების პროცესში გარემოზე ზემოქმედების პირობებზე. ამ პოლიტიკის, კანონებისა და რეგულაციების გაუმჯობესება დადებით გავლენას მოახდენს თანამშრომელთა კაპიტალის მართვაზე, მათ ხელფასებზე, სამუშაო და სოციალურ პირობებზე. ამ ცვლილებებით ისარგებლებენ ის კერძო თუ სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებიც გამუდმებით მუშაობენ ამ საკითხების გაუმჯობესებასა და ხარისხზე.

ელექტრონული მმართველობის შემდგომი გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს გაძლიერებისა და ამ მიმართულებით სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაძლებლობების ინსტიტუციონალიზაციისთვის. თავისუფლების მოედანი მხარს დაუჭერს ინიციატივებს, რომლებიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და მეტად დემოკრატიულს გახდის საჯარო სერვისების დიზაინსა და მიწოდებას მოქალაქეებისთვის. ამ მიმართულებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ავტომატიზაციას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. ელექტრონული მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებისა და დემოკრატიზაციის პოლიტიკის ეგიდით, თავისუფლების მოედანი რეგულარულად შეხვდება კერძო და სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, გაუზიარებს იდეებსა და ინფორმაციას იმ საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო მიზნების ჩამოყალიბებასა და მათ მიღწევას. პოლიტიკა კონცენტრირებული იქნება ელექტრონული მმართველობისადმი ერთიანი მიდგომის მხარდაჭერაზე მთელი მთავრობისთვის, ხელს შეუწყობს სტანდარტების განვითარებასა და საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდების ზრდას.

კაპიტალის ბაზარი

გამოწვევები

საქართველოს ეკონომიკა ნეტიმპორტიორია, ის უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს და ამ განსხვავების დასაფინანსებლად მუდმივად ესაჭიროება უცხოური ვალუტა. შესაბამისად, ეკონომიკისა და ფინანსური სისტემის მდგრადობისთვის უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების უწყვეტი შემოდინება, რათა მუდმივად ხდებოდეს საერთაშორისო რეზერვების შევსება. უპირველეს ყოვლისა, ამას სჭირდება ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა, მკვეთრად გამოხატული დემოკრატიული კურსი და დასავლური ღირებულებების ერთგულება. სხვა შემთხვევაში საქართველო დაკარგავს საინვესტიციო მიმზიდველობას და საერთაშორისო რეზერვების მოცულობა შემცირდება, რაც, თავის მხრივ, დრამატულად იმოქმედებს გაცვლით კურსსა და სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე.

კაპიტალის ბაზარი და ფინანსური ინსტრუმენტები ინვესტიციების შემოდინების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მედიუმია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი 90-იანი წლებიდან არსებობს და ფუნქციონირებს, საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების დონე კრიტიკულად დაბალია. ფინანსური სისტემა ბანკცენტრულია და, შესაბამისად, ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილიც ფინანსური ბაზრის ამ სეგმენტზე - საბანკო სექტორზე მოდის. დიდ გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკისა და, შესაბამისად, ფინანსური ბაზრის ზომაც. თუმცა ეს პრობლემა ცირკულარულია, ანუ ეკონომიკის ზომა და წვდომა კაპიტალზე ურთიერთდამოკიდებულია, ვინაიდან ფინანსებზე წვდომა თავად წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტურ მდგენელს. კარგად განვითარებულ ფინანსურ ბაზარზე მისი ყველა სეგმენტი - საბანკო სექტორი, სადაზღვევო სექტორი და კაპიტალის ბაზარი - დაბალანსებულად და შეუფერხებლად მუშაობს. საქართველოს ფინანსური ბაზარი, კერძოდ კი კაპიტალის ბაზარი, ამ მოთხოვნას ვერ უპასუხებს.

ვინაიდან საქართველოს ფინანსურ სექტორში ბანკები დომინირებენ და, ასევე, მაღალია დოლარიზაციის დონე, კაპიტალის ბაზრის მოცულობა და მისი ლიკვიდურობა ძალზე მცირეა. დაბალი ლიკვიდურობა ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი მახასიათებელია, რაც ხელს უშლის კაპიტალის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის კავშირის დამყარებას. შედეგად, ვერ ხერხდება ადგილობრივი

დანაზოგების და უცხოური ინვესტიციების უფრო ეფექტიანი მობილიზება და იკარგება დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების შესაძლებლობა კორპორაციულ და შინამეურნეობის სექტორებში. როდესაც ეკონომიკას მხოლოდ საბანკო სექტორი აფინანსებს, კაპიტალის ალოკაცია არაეფექტიანი და შებოჭილია, რადგან რეგულირებული საბანკო სექტორი შეზღუდულია რისკისა და მომგებიანობის პროფილის და სესხების კონცენტრაციის დაბალი კოეფიციენტებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა ქვეყნების მაგალითზე ნათლად ჩანს ეკონომიკური ზრდის ტემპის პირდაპირი კავშირი და კორელაცია კაპიტალის ბაზრის განვითარების დონესთან, აშკარაა რომ საქართველოს კაპიტალის ბაზრის ჩამორჩენა პირდაპირ და უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდის ტემპზე.

კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობა უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო ფინანსების მდგრადობაზეც. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ადგილობრივი ბაზრის შედარებით მცირე როლი სახელმწიფოს დაფინანსებაში იძულებულს ხდის მას, სასურველზე მეტად იყოს დამოკიდებული უცხოურ ფინანსურ ბაზრებზე თავისი საჭიროებების დასაფინანსებლად, რაც, თავის მხრივ, ზრდის სავალუტო რისკს.

მოთხოვნა - მიწოდება

კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი მაჩვენებელი გულისხმობს ჩამორჩენას როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ნაწილში. ბაზარზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ემისიების რაოდენობა და მრავალფეროვნება, ასევე ინვესტორთა და ინვესტიციების მოცულობა, ძალიან დაბალია. ბაზრის უმსხვილეს ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომლის მეორადი ბაზარი საკმაოდ არააქტიურია. სახელმწიფო ობლიგაციების მეორადი ბაზრის აქტივობა ანალოგიურ ქვეყნებთან შედარებით დაბალია, რაც პრობლემას წარმოადგენს ზოგადად კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის, რადგან ლიკვიდური მეორადი ბაზარი ხელს უწყობს საორიენტაციო (ე. წ. „ბენჩმარკ“) შემოსავლიანობის მრუდის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, კაპიტალის ბაზრის სხვა სეგმენტების განვითარების წინაპირობად მიიჩნევა. კარგად ჩამოყალიბებული ბენჩმარკ შემოსავლიანობის მრუდი წარმოადგენს საინვესტიციო ინსტრუმენტების შეფასების ერთ-ერთ მთავარ პარამეტრს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი კერძო სექტორული საინვესტიციო პროდუქტების განვითარებაში, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციები და სტრუქტურირებული ფასიანი ქაღალდები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება როგორც სეკიურიტიზაციის (securitization) შედეგად გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, ასევე იპოთეკით დაცული ობლიგაციები (covered

bonds). განვითარებული სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარი ასევე ხელს უწყობს როგორც ბაზრის მონაწილეების მიერ თავიანთი ლიკვიდურობის მართვას, ისე მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას.

ადგილობრივი არასახელმწიფო ობლიგაციების ბაზარი ძირითადად წარმოდგენილია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებით და ლოკალური ემიტენტების რაოდენობა მცირეა. ეს ტენდენცია მატულობს, რაც პარალელურად გულისხმობს ადგილობრივი კომპანიების ობლიგაციების ბაზის სტატიკურობას. კორპორაციული სექტორის, მათ შორის უმსხვილესი ქართული კომპანიების, ვალი უმეტესწილად შედგება საბანკო სესხებისგან. საბანკო დაფინანსებაზე ზედმეტი დამოკიდებულება გულისხმობს ქვეყნის ფინანსური რესურსის არაეფექტიან მობილიზებას და რისკების არამიზანშეწონილ კონცენტრირებას საბანკო სექტორში. ქართული კომპანიების მზარდი რიცხვი უახლოვდება საბანკო რეგულაციებით განსაზღვრულ დიდი პოზიციების ლიმიტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სასწრაფოდ ესაჭიროებათ დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება. მწირი და დაბალლიკვიდურია სააქციო ფასიანი ქაღალდების ბაზარიც. საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ანალოგიურ ქვეყნებს.

საქართველოს ინსტიტუციურ ინვესტორთა ბაზა პატარა და ნაკლებად დივერსიფიცირებულია. უცხოური ინვესტორების აქტივობა შეზღუდულია და საცალო ინვესტორები უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ პროდუქტებს ანიჭებენ უპირატესობას. ინსტიტუციურ ინვესტორთა ადგილობრივი ბაზა, გარდა კომერციული ბანკებისა, მოიაზრებს დაგროვებით საპენსიო სქემის ფონდს, სადაზღვევო სექტორს და „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის საფუძველზე დაარსებულ საინვესტიციო ფონდებს. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული ზრდის ტენდენციისა, სადაზღვევო სექტორი გამოირჩევა კაპიტალის ბაზარზე დაბალი აქტივობით. სულ სადაზღვევო სექტორის აქტივების მხოლოდ 2-3% არის დაბანდებული ფინანსურ აქტივებში. საპენსიო ფონდის აქტივებმა უკვე გადააჭარბა სადაზღვევო სექტორის მთლიან ფინანსურ აქტივებს, მაგრამ ამ აქტივების დიდი ნაწილი არ არის განთავსებული ფასიან ქაღალდებში და საბანკო ანგარიშებზეა გადანაწილებული. ამის მიზეზი ნორმატიული შეზღუდვების შესაბამისი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემისიების ნაკლებობა ან არარსებობაა. ფუნქციონირებს რამდენიმე საინვესტიციო ფონდი, რომელიც ჩამოყალიბდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის საფუძველზე, თუმცა ამ ფონდების აქტივობაც ქართულ ბაზარზე ძალიან დაბალია. ადგილობრივ ინსტიტუციურ ინვესტორებს შორის ყველაზე

აქტიური საბანკო სექტორია. ეს ზრდის ინსტიტუციურ ინვესტორთა კონკრეტული ტიპის კონცენტრაციას, რაც, თავის მხრივ, ბაზარზე ავითარებს მხოლოდ შეზღუდული სახეობების ინსტრუმენტებს, რომლებიც მეტწილად კომერციულ ბანკებზეა მორგებული.

საცალო ინვესტორები მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საინვესტიციო პროდუქტებს. მათი დანაზოგების მნიშვნელოვანი წილი დაბანდებულია დოლარში დენომინირებულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში. შედეგად, კერძო დანაზოგების მნიშვნელოვანი წილის მობილიზება არ ხდება ლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში და, შესაბამისად, იზღუდება ლარში დაფინანსების შესაძლებლობები საწარმოებისა და შინამეურნეობებისთვის. ასევე, საცალო ინვესტორების შესახებ მონაცემები მწირია, რაც გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების ფლობის დანაწევრებული ინფრასტრუქტურით და საჭიროებს მეტად დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან.

კაპიტალის ბაზრის ზედამხედველი

განვითარებული კაპიტალის ბაზრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორ საზედამხედველო პოლიტიკას. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო უწყება თუ ინსტიტუცია არაერთხელ შეიცვალა. მარეგულირებლის ხშირი ცვლა, კანონმდებლობის არასტაბილურობა და ინვესტორისთვის განჭვრეტის შეზღუდვა თავად წარმოადგენს პრობლემას. ბოლო წლებში ნორმატიული ცვლილებები ძირითადად ევროკავშირის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ამ მხრივ ბაზარზე მეტი სიცხადე გაჩნდა. თუმცა ამის საპირწონედ, მიმდინარეობს უკვე განვითარებულ ბაზრებზე მორგებული დასავლური კანონმდებლობის პირდაპირი რეპლიკაცია და ადგილობრივი ბაზრისთვის მისადაგება მისი განსხვავებული ზომისა და გამოწვევების პირობებში, რაც ბაზრის განვითარებას ყოველთვის არ უწყობს ხელს.

ამჟამად ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლის სტატუსს საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებს. ეროვნული ბანკი ასევე წარმოადგენს საბანკო სექტორის მარეგულირებელს. ეს ორი მანდატი კონფლიქტშია. საბანკო სექტორის რეგულირება მოითხოვს განსხვავებულ პრუდენციული რეგულირების ფილოსოფიას, რომელიც მოიაზრებს საბანკო სექტორის რეპუტაციის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას ნებისმიერი შესაძლო დარღვევის პრევენციის სახით. კაპიტალის ბაზარი ამ მხრივ სულ სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს. კაპიტალის ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა და

აქტივობა მკვეთრად განსხვავდება საბანკო სექტორისგან. მაშინ, როდესაც საბანკო სექტორი ახდენს დანაზოგების აგრეგირებას და პრუდენციული ნორმების დაცვით გასესხებას, კაპიტალის ბაზარი ინვესტიციების მოზიდვას და დეფიციტურ ერთეულებში გადანაწილებას გულისხმობს. აქ რისკის ამტანობა უფრო მაღალია. შესაბამისად, კაპიტალის ბაზრის რეგულირება გულისხმობს არა პრევენციას (რაც ბაზრის განვითარებას გასაქანს არ მისცემს), არამედ დაშვებული დარღვევის უცილობლად აღმოჩენას, მათზე რეაგირებას და ეფექტიან აღსრულებას. ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სექტორის მარეგულირებლის, რეპუტაცია და მკაცრი პრუდენციული რეგულირება უაღრესად მნიშვნელოვანია ზოგადად საბანკო სექტორის რეპუტაციისა და სიჯანსაღისთვის. ასეთი მანდატის პირობებში ეროვნული ბანკი, რომელიც ამავე დროს არეგულირებს კაპიტალის ბაზარს, ვერ განახორციელებს ამ ფუნქციას კაპიტალის ბაზრისთვის შესაფერისი ფილოსოფიით. ამ დამოკიდებულებას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ზოგადად ქართული ფინანსური სისტემა ბანკცენტრულია, ანუ ფინანსური ბაზრის მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა, როგორც რაოდენობრივად, ისე აქტივების მოცულობით, კომერციული ბანკია და მის რეგულირებას გამოკვეთილი პრიორიტეტი აქვს მინიჭებული. ამ მხრივ ეროვნული ბანკისთვის კაპიტალის ბაზარი, რომელიც ეკონომიკური ზრდისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ვერ გახდა საკმარისად პრიორიტეტული.

არათანაბარი კონკურენცია და სუსტი მეორადი ორგანიზებული ბაზარი

კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური მამოძრავებელი ძალა საბროკერო კომპანია და მისი საქმიანობაა. საბროკერო კომპანია, როგორც შუამავალი, დაინტერესებულია ბაზრის პოტენციურ მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებით და ინვესტორებისა და ემიტენტების დაკავშირებით. იმისთვის, რომ საბროკერო კომპანიამ დააკმაყოფილოს ნორმატიული, მათ შორის კაპიტალის, მოთხოვნები, ის აქტიურად უნდა იყოს ჩართული თავის ძირითად საქმიანობაში, რათა უზრუნველყოს გარანტირებული შემოსავლიანობა.

ათეულობით წლების განმავლობაში განხორციელებულმა რეგულირების არასწორმა პოლიტიკამ შედეგად მოიტანა ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიების საბანკო სექტორის საკუთრებაში კონცენტრირება და მათი სუბსიდირება მფლობელი ბანკების მიერ. ამ წლების განმავლობაში ხდებოდა მესაკუთრე ბანკების მიერ კაპიტალის ბაზრის პროდუქტების „კანიბალიზაციით“ და ამ პროდუქტების სესხებით ჩანაცვლებით. შედეგად მივიღეთ კაპიტალის ბაზრის პროდუქტების სახეობების სიმწირე, საბროკერო კომპანიების ხელოვნურად შემცირებული და

კონტროლირებული საქმიანობის პორტფელები, დასუსტებული ეკოსისტემა და სავაჭრო ინფრასტრუქტურა. ასეთი პოლიტიკის შედეგად საბროკერო კომპანიების უმრავლესობამ დაკარგა შესაბამისი ლიცენზია. იმ კომპანიების ზედამხედველობა, რომლებიც კომერციული ბანკების საკუთრებაში არიან, უფრო მარტივია მარეგულირებლისთვის, რომელიც ორივე მანდატს - საბანკო და კაპიტალის ბაზრის ზედამხედველობას - ითავსებს. საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტის კიდევ ერთ ცხად გამოვლინებასთან.

საბროკერო კომპანიების შესუსტებამ და გაქრობამ ასევე შეასუსტა კაპიტალის ბაზრის სავაჭრო ინფრასტრუქტურაც და მათ შორის ორგანიზებული მეორადი ბაზარი - საქართველოს საფონდო ბირჟა. საბროკერო კომპანიები პირველადი საკანონმდებლო მოდელის შესაბამისად ერთდროულად იყვნენ საფონდო ბირჟის მესაკუთრეებიც და წევრებიც. ამ მოდელზე დაყრდნობით საბროკერო კომპანიებს და საფონდო ბირჟას თანმხვედრი ინტერესები ჰქონდათ. ბროკერი სავალდებულო წესით დებდა გარიგებებს საფონდო ბირჟაზე, რითაც მას აძლიერებდა როგორც წილობრივი მესაკუთრე. არათანმიმდევრულმა და დაუფიქრებელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საბროკერო კომპანია და საფონდო ბირჟა გახადა არასაჭირო საჯარო ფასიანი ქაღალდების გარიგებების განსახორციელებლად. გაუქმდა „კონცენტრაციის წესი“, რომლის შესაბამისადაც საჯარო ფასიანი ქაღალდის გარიგება მხოლოდ ბირჟის და ბროკერის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. შედეგად ფასწარმოქმნა გახდა გაუმჭვირვალე და არათანმიმდევრული, ისედაც დაბალი ლიკვიდურობა კიდევ უფრო დაეცა, ფასიან ქაღალდზე სტატისტიკური დაკვირვება გაძნელდა. საბროკერო კომპანიას დრამატულად შეუმცირდა საქმიანობა და შემოსავალი, რომელმაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორში გადაინაცვლა.

კავშირი უცხოურ ბაზრებთან

სავაჭრო ინფრასტრუქტურის სისუსტის კიდევ ერთი მაგალითია არასრულყოფილი კავშირი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტარებსა და კლირინგისა და ანგარიშსწორების ცენტრებთან (Clearstream, Euroclear). პირდაპირი კავშირი ასეთ ცენტრებთან ქართული ფასიანი ქაღალდების ჩანაცვლებას უზრუნველყოფდა საერთაშორისო ბაზრებზე. ეს პირდაპირ წვდომას გაუხსნიდა საერთაშორისო ინვესტორებს საქართველოს ბაზარზე და სახელმწიფოს თუ ადგილობრივი კომპანიების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მყისიერად შეძენის და გაყიდვის შესაძლებლობას მისცემდა. ვინაიდან ბირჟა და მის საკუთრებაში არსებული ცენტრალური დეპოზიტარი ვერ აკმაყოფილებენ ძალიან მაღალ სტანდარტებს,

რომლებსაც საერთაშორისო დეპოზიტარები და კლირინგისა და ანგარიშსწორების ცენტრები უყენებენ, ისინი ვერ უერთდებიან სრულყოფილად საერთაშორისო ინფრასტრუქტურას და ქართული ფასიანი ქაღალდები ვერ სარგებლობენ ასეთი უპირატესობით, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ლიკვიდურობაზე.

პოზიციონირება გლობალურ ბაზრებზე

საქართველო ამჟამად არ არის ასახული არცერთ საერთაშორისო სავაჭრო ინდექსში. ინდექსში ასახვა გულისხმობს ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო რუკაზე გაჩენას და მისთვის პირველადი განჭვრეტადი რისკის პროფილის მისადაგებას. ეს მნიშვნელოვნად აფართოებს საერთაშორისო ინვესტორთა წრეს, რომელიც უფრო ადვილად მიიღებს გადაწყვეტილებას ქართულ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების შესახებ. საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვისთვის აუცილებელია საქართველო პოზიციონირებდეს MSCI-სა და მსგავს ინდექსებში. ამისთვის უნდა დაკმაყოფილდეს ის პირობები, რომლებიც მათ შორის უკავშირდება პროგრამის კაპიტალის ბაზრის ნაწილში აღწერილ გამოწვევებს. კერძოდ, უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, წილობრივი მონაწილეობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის სიდიდეს, ასევე ბაზრის ლიკვიდურობას და უშუალოდ წვდომას ამ ბაზარზე.

ხედვა

თავისუფლების მოედნის პროგრამა პრიორიტეტულად მიიჩნევს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას და უცხოური ინვესტორების/ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში. ამას მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების გამდიდრების თვალსაზრისითაც. უნდა გაიზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების მეშვეობით და წახალისდეს კაპიტალის მობილიზება ფასიანი ქაღალდების ადგილობრივი ემისიების სახით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს წინაპირობების თანხვედრა, ანუ მოთხოვნისა და მიწოდების განუვითარებლობის ურთიერთდამოკიდებულება, ვინაიდან ერთი არ ვითარდება მეორის გარეშე. ამისთვის უნდა მოხდეს შერჩეული ნაბიჯების კოორდინაცია კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ/ბაზრის მონაწილე მხარეებს შორის. პირველ რიგში, ეს გულისხმობს კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელს, რომელმაც სწორი რეგულირების და ზედამხედველობის პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს.

კრიტიკული ნაბიჯები

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი

1. უნდა მოხდეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების მანდატიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფა და ცალკე მდგომი დამოუკიდებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბება ამ როლის შესასრულებლად.
2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახალი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი უნდა აღიჭურვოს ძლიერი საგამოძიებო და აღსრულების უფლებამოსილებით, გახდეს ეროვნული ბანკის უფლებამონაცვლე IOSCO-ს წევრობის კონტექსტში და დააკმაყოფილოს IOSCO-ს მარეგულირებლის ყველა პრინციპი.
3. ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელმა უნდა გააგრძელოს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, მათ შორის, შეიმუშაოს ახალი კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რომელიც სისტემაში მოიყვანს ბაზრის ყველა სეგმენტის რეგულირების ჩარჩოს.
4. მარეგულირებელმა უნდა დანერგოს ნორმატიული აქტების საჯარო გამოქვეყნების და შენიშვნების განხილვის პრაქტიკა, რაც გამჭვირვალეს და ინკლუზიურს გახდის საზედამხედველო პროცესს.

მოთხოვნა-მიწოდების გაზრდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

5. უნდა გაიზარდოს კაპიტალის ბაზრის პროდუქტების მრავალფეროვნება და ემისიების რაოდენობა სხვადასხვა მექანიზმებით:
   ა. კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, მათ შორის ემისიის პროსპექტების ჩარჩოს გადასინჯვა, რათა გამარტივდეს გამოშვების პროცესი, დაჩქარდეს და ხარჯები შემცირდეს;
   ბ. მუნიციპალური ობლიგაციების, როგორც თვითმმართველობის დაფინანსების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, გამოშვების სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება და ასეთი ემისიების ხელშეწყობა;
   გ. ემისიების/ემიტენტების ექსპერტული მხარდაჭერა;
   დ. პროდუქტებზე ლატენტური მოთხოვნის გამოვლენა და მიწოდების დაკავშირების ხელშეწყობა.
6. უნდა გაგრძელდეს ინტენსიური მუშაობა სტაბილური „ბენჩმარკ“ შემოსავლიანობის მრუდის ჩამოყალიბებისთვის, რაც სახელმწიფო ობლიგაციების პირველადი ბაზრის გაზრდისა და მეორადი ბაზრის ლიკვიდურობის ამაღლების შედეგი იქნება. ამისთვის უნდა გაძლიერდეს

ადგილობრივ, მათ შორის საცალო და უცხოელ ინვესტორთა ბაზა, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლიანობის მრუდის არსებობას. ამას კი, თავის მხრივ, ესაჭიროება ქვეყნის სწორი პოლიტიკური კურსი და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა.

7. სახელმწიფო ობლიგაციების მეორადი ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება პირველადი დილერების პროგრამის შემდგომი მხარდაჭერა და უკუგამოსყიდვის პროცედურის სრულყოფა მოთხოვნადი ემისიების მიმართ კალიბრაციით. ასევე, ვაჭრობის წინარე და შემდგომი შედეგების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საჯაროდ უნდა გამჟღავნდეს ფასები, რაც უზრუნველყოფს სანდო ფასწარმოქმნას.
8. პირველადი საჯარო შეთავაზება (IPO) კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. უნდა მოხდეს ადგილობრივი IPO-ს აქტიური სტიმულირება, რაც, თავის მხრივ, საფონდო ბირჟისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს. ამ მიმართულებით უნდა შემუშავდეს და დაინერგოს პროგრამა, რომელიც ასევე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს კონსულტაციის შედეგად საემისიოდ მოამზადებს და ემისიის პროცესში მხარს დაუჭერს მას. IPO მნიშვნელოვან როლს თამაშობს კერძო და ვენჩერული კაპიტალის სექტორებშიც, როგორც საინვესტიციო პოზიციიდან გასვლის მომგებიანი შესაძლებლობა.
9. იმისათვის, რომ მცირე და საშუალო კომპანიები, მათ შორის ინოვაციებზე ორიენტირებული სტარტაპები, მომზადდნენ სამომავლო ლისტინგისათვის, ამ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოიზიდონ კერძო კაპიტალი. ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა კერძო კაპიტალის ფონდების და ვენჩერული ფონდების ჩამოყალიბების წასახალისებლად. ეს პროცესი კოორდინირებული იქნება GITA-სთან. ასევე საჭირო იქნება რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.
10. უნდა განვითარდეს ისეთი ობლიგაციების გამოშვების პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ამოცანების გადაჭრასთან. ამგვარი ობლიგაციების ემიტენტი იღებს ვალდებულებას, რომ მოზიდულ სახსრებს მიმართავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრობლემების გადასაწყვეტად. ამ ფორმით ფინანსური რესურსი მობილიზდება ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა და სხვ. ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ESG ბალანსის შენარჩუნებას ან

დაკავშირებული ამოცანების გადაჭრას მოიაზრებს, უფრო მიმზიდველია დასავლური ბაზრებისთვის;

11. უნდა შემუშავდეს საბირჟო საინვესტიციო ფონდების (ე.წ. Exchange-Traded-Funds (ETF)) და უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების (ე.წ. Real Estate Investment Trust (REIT) შემოღებისთვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩო და საჭირო მექანიზმები. როგორც საცალო, ისე ინსტიტუციური ინვესტორებისათვის ამ ფონდებს მნიშვნელობა აქვს პორტფელების დივერსიფიცირებისათვის.
12. აქციების მეორადი ბაზრის განვითარებასა და მისი ლიკვიდურობის ამაღლებას მნიშვნელობა აქვს ზოგადად სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის. ის წარმოადგენს აქციათა მფლობელებისთვის საინვესტიციო პოზიციიდან გასვლის ან მისი გაზრდის და, შესაბამისად, საინვესტიციო პოზიციების საინვესტიციო მიზნებზე მორგების საშუალებას. ამ მიმართულებით უნდა გატარდეს ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. კერძოდ, უნდა დაიხვეწოს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის ჩარჩო, ხოლო შემდგომ რისკის მართვის მექანიზმები. ლიკვიდური ბაზრის პირობებში მნიშვნელობას იძენს აგრეთვე ღია პოზიციების რისკის სწორი მართვა, რისთვისაც უკვე არსებულ დერივატივების სამართლებრივ ჩარჩოზე უნდა დაშენდეს დამატებითი ცენტრალიზებული და დაკრედიტებული ვაჭრობის წესები, რაც მხარეებს საშუალებას მისცემს, მოახდინონ ღია პოზიციების ჰიჯირება.
13. უნდა დაიხვეწოს საკანონმდებლო ჩარჩო ინსტიტუციური ინვესტორების შესახებ:
    ა. საპენსიო ფონდმა უნდა შეინარჩუნოს კაპიტალის ადგილობრივ ბაზარზე არსებული მნიშვნელოვანი სტატუსი და მისი საინვესტიციო მანდატი მხოლოდ პირობითად უნდა გაფართოვდეს. აუცილებელია, საპენსიო ფონდის აქტივები მიემართოს რისკის დაშვებული პროფილის შესაბამისად. ეს პირდაპირ კავშირშია ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნებასა და ადგილობრივი ემისიების რაოდენობის გაზრდასთან. სრულიად მიუღებელია, რომ ასეთი ინსტრუმენტების სიმცირის გამო საპენსიო ფონდის მანდატი მუდმივად ფართოვდებოდეს და მოხდეს მონაწილეთა ინტერესებთან შეუთავსებელი რისკების მქონე ინვესტიციების განხორციელების დაშვება;
    დ. ხელი უნდა შეეწყოს კერძო და ვენჩერული კაპიტალის ფონდების ჩამოყალიბებასა და გაფართოებას. ამისთვის უნდა დაინერგოს მასტიმულირებელი მექანიზმები, რაც, მათ შორის, გულისხმობს

ფონდებისათვის ექსპერტიზისა და გარკვეული საწყისი კაპიტალის მიწოდებას.

14. ფინტეკ კომპანიებისათვის უნდა მოხდეს სენდბოქსის რეჟიმის შემოღება, რაც საშუალებას მისცემს ამ კომპანიებს, განავითარონ თავიანთი პროდუქტები შემსუბუქებული და პირობითი რეგულირების ფარგლებში, სრულ იმპლემენტირებამდე.

სუსტი სავაჭრო ინფრასტრუქტურა და კავშირი საერთაშორისო სავაჭრო ინფრასტრუქტურასთან

15. საჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგებები უნდა დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟაზე და საბროკერო კომპანიების მეშვეობით. ამისათვის უნდა განხორციელდეს ცვლილება ფასიანი ქაღალდების კანონში, რომელშიც უნდა დაბრუნდეს „კონცენტრაციის წესის“ შემცველი ჩანაწერი.
16. „კონცენტრაციის წესი“ ხელს შეუწყობს ბირჟის რევიტალიზაციას და სავაჭრო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებას.
17. ამჟამად საქართველოში რეგისტრირებული და ლიცენზირებულია ორი საფონდო ბირჟა, რაც, ბაზრის ზომის და კონიუნქტურის კონტექსტში, არ არის ადეკვატური. ორი ბირჟის არსებობა გამოიწვია კონფლიქტმა საქართველოს საფონდო ბირჟის წილობრივი მონაწილეობის სტრუქტურაში, რომელიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. ამას ხელს შეუწყობს ბირჟის საკუთრების mutualized მოდელის გააქტიურება, რომლის შესაბამისად მხოლოდ მონაწილე აქტიური საბროკერო კომპანიები შეიძლება იყვნენ ბირჟის მესაკუთრეები. პარალელურად ხელი უნდა შეეწყოს საფონდო ბირჟის საკუთრების სტრუქტურის ოპტიმიზაციას.
18. ბირჟის რევიტალიზაციის და გაძლიერების შემდეგ აუცილებელია, ის გახდეს საერთაშორისო კლირინგისა და ანგარიშსწორების სისტემების/ცენტრების წევრი.

პოზიციონირება კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე და
უცხოური ინვესტიციების გაზრდა კაპიტალის ადგილობრივ ბაზარზე

კაპიტალის ბაზრის პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, მოხვდეს MSCI და მსგავს ინდექსებში. ამის შედეგად გაიზრდება ინტერესი საქართველოს მიმართ არამარტო პორტფელური

ინვესტიციების, არამედ პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებითაც, რამდენადაც საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები უკვე საერთაშორისო ინდექსების პორტფელის ნაწილი გახდება. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ლიკვიდურობასაც.

სოფლის მეურნეობა

გამოწვევები

მცირემიწიანობა არის მოცემულობა, რომლის ეფექტიანად გამოყენებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა სჭირდება. საქართველოს მრავალი სახეობის ნიადაგი აქვს, რაც მრავალფეროვნებას, სასურსათო უსაფრთხოების დაგეგმვას და აღდგენადი რესურსების შენარჩუნებას უწყობს ხელს (სამივე უკავშირდება მდგრადი განვითარების პრინციპებს).

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის პრაქტიკა უნდა დაინერგოს, რასაც წინ უნდა უძღოდეს თემის განვითარების და კულტურების რაიონირების საკითხების წინა პლანზე წამოწევა.

აუცილებელია ფერმერის ინტერესების დაცვა იმისთვის, რომ მან იმპორტიორს სათანადო კონკურენცია გაუწიოს. ამისთვის კომპლექსური პროგრამაა საჭირო, მათ შორის, სასუქის ხარისხის, მელიორაციის, ტექნიკით უზრუნველყოფის და ამინდის რისკებთან გამკლავების მიმართულებით.

უნდა აღმოიფხვრას ვითარება, რომელმაც საქართველოში წისქვილების დახურვა განაპირობა. საზღვარგარეთიდან შემოსული ფქვილი უკიდურესად დაბალი ხარისხისაა. პირველადი პროდუქტების მინიმალურ საჭიროებებს ადგილობრივი წარმოება უნდა გაუმკლავდეს.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის შემოსული საერთაშორისო გრანტები უნდა დაეფუძნოს მწყობრ პრიორიტეტებს, მათ შორის, კულტურების სწორ შერჩევას, რაიონირებას, დანაკარგების შემცირებას, ნიადაგის გადაღლის თავიდან არიდებას, დაავადებების და მავნებლების კონტროლს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების და დარგების რაიონირებას სჭირდება სამეცნიერო კვლევები და პოლიტიკური ხედვა. რაიონირება გზას უხსნის ეფექტიან კოოპერაციას. როდესაც ერთი კულტურით დაკავებული ფერმერები ერთად იყრიან თავს, მათი ხარჯები გადამამუშავებელ ქარხნებზე და სპეციალიზებულ ტექნიკაზე

იყოფა, მცირდება ტრანსპორტირების ხარჯები და პროდუქციის ფასი მეტად კონკურენტული ხდება.

უნდა მოხდეს მეტი ინვესტირება განათლებაში და სათანადო მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფა. ეს მოიცავს მოსალოდნელი მავნებლების სეზონის დასაწყისში შესწავლას და რეგიონებში მცირე მეტეოსადგურების განთავსებას, რომელთა საშუალებითაც დროულად მოხდება მობრუნებული წაყინვის, საგაზაფხულო ღამის ვარდნების ამპლიტუდის და სხვა საფრთხეების პროგნოზირება.

აუცილებელია პესტიციდების ხარისხის კონტროლი ისევე, როგორც მათი სწორად შერჩევის, გამოყენების და უტილიზაციის ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის პროგრამამ უნდა უპასუხოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მელიორაციისა და ხარისხიანი ლაბორატორიების ხელმისაწვდომობის გამოწვევებს.

აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერება და ბიოლოგიურად და ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოების წახალისება.

კრიტიკული ნაბიჯები

- დაზღვევის პროგრამა ფერმერებისთვის;
- მიწოდების ჯაჭვის და ლოგისტიკის გაუმჯობესება, რაც შუამავლების როლს შეამცირებს და ადგილობრივ ფერმერს მისცემს მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას;
- კოოპერატივების განვითარება, რაც ფერმერის ხარჯებს შეამცირებს;
- ზრუნვა ხარისხსა და ორგანულ წარმოებაზე, რაც გაზრდის სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ადამიანების ფინანსურ ამონაგებს;
- ინვესტირება განათლებაში და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება;
- მომხმარებლის ინფორმირება და ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წინ წამოწევა
- იმპორტის რეგულირება ხარისხიანი ადგილობრივი წარმოების ინტერესების მაქსიმალური დაცვით, სათანადო ხარისხის და მომხმარებლების ინტერესების უზრუნველყოფის კვალდაკვალ;

- ადგილობრივი ფერმერების ინტერესების დაცვა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;
- სოფლის გაცოცხლების, მისი ეკონომიკური დინამიზმის გაზრდის და სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა. ან სტრატეგიამ გონივრული ბალანსი უნდა დაიცვას განვითარების, სტაბილურობის, ხარჯთეფექტიანობის, თავისუფლების, თანასწორობის და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების პრიორიტეტებს შორის.

გარემოს დაცვა

გამოწვევები

არსებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა არ ქმნის თვითკმარ სტიმულებს რესურსების მომხმარებლებისა და სამთავრობო უწყებებისთვის, რომ მათ სათანადოდ შეძლონ გარემოზე ზრუნვა და მასზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება.

ეკოლოგიური ზიანის და კატასტროფების გამომწვევი საქმიანობისთვის გათვალისწინებული ფინანსური სანქციები დაბალია. ისინი უნდა ითვალისწინებდეს ზიანის აღმოფხვრის და ნარჩენების სათანადო მართვის საჭიროებებს.

ურბანული აგლომერაციების მიერ ბუნებრივი ლანდშაფტების განადგურება, წყლის ბალანსის დარღვევა, ნიადაგისა და ჰერის დაბინძურება და ნარჩენების არასწორი მართვა სცილდება გარემოს ბუნებრივი რეგენერაციის შესაძლებლობებს.

ბიზნესპროექტები, რომლებიც ხელყოფს გარემოს, არ იღებენ მისი გაუმჯობესების სათანადო ვალდებულებას. მსხვილმა მშენებლობებმა და ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა უნდა იზრუნონ მწვანე სივრცეების აღდგენასა და მიწის შლის საწინააღმდეგო ნარგავების გაშენებაზე.

გარემოსდაცვითი დანაშაული დღითიდღე იზრდება, რაც იწვევს დატყვევებულ მდინარეებს, გაჩეხილ მწვანე ზოლებს, წიაღისეულის არამდგრად მოპოვებას, საწარმოო ნარჩენების არასწორ მართვას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის ცეცხლის მოკიდებას, ბრაკონიერობას, ეკოლოგიურ ხმაურს, დაცული ტერიტორიების დაზიანებას და საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო კონვენციების დარღვევას.

გონივრული რეგულაციების და მართლზომიერი სანქციების შემოღებასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამაზიანებელი ქმედების ხელშემწყობი გარემოებების შემცირება. მაგალითად, ფერმერები, რომლებიც სავარგულებზე ნაწვერალს წვავენ, უზრუნველყოფილები უნდა იყვნენ სათანადო ტექნიკით.

გარემოს დაცვის ინსპექტორებს, პოლიციას, რეინჯერებს და სხვა გარემოსდაცვითი პროფესიების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური პირობები გარემოსდაცვითი დანაშაულის აღკვეთისთვის.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელ და უსაფრთხო გარემოში, იცავდეს მას და ფლობდეს ინფორმაციას გარემოზე, რომელშიც ცხოვრობს. საზოგადოებას სჭირდება მეტი ინფორმაცია გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე, მაგალითად, გლობალურ დათბობასა და კლიმატურ ცვლილებებზე. საზოგადოებას სჭირდება ამ გლობალური გამოწვევების მოგვარების გეგმის და მისი მართვის მექანიზმების წარდგენა.

აუცილებელია მიდგომის შეცვლა სამრეწველო ობიექტების ადგილმდებარეობის და განაშენიანებისადმი. ინდუსტრიული აგლომერაციების განვითარება უნდა მოხდეს მკაფიო გეგმის შესაბამისად.

აუცილებელია ქალაქების „მწვანე სარტყლების“ დაკანონება და ურბანული დაგეგმარების სტანდარტების გაზრდა.

ინდუსტრიული და საცხოვრებელი კომპლექსების არსებული აგლომერაციებისთვის აუცილებელია ენერგოეფექტიანი გადაწყვეტილებების წახალისება.

საავტომობილო გზების განტვირთვა ჰაერის გაუმჯობესებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. სწორმა სატრანსპორტო დაგეგმარების პოლიტიკამ (გზების განტვირთვა, თანამედროვე ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიურად უსაფრთხო ავტომობილების შემენის წახალისება) უნდა შეამციროს ჰაერის დაბინძურება და მისი კანცეროგენებით გაჯერება.

წიაღების და ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიების გაცემა უნდა მოხდეს გარემოზე ზეგავლენის რისკების სათანადო შესწავლის შემდეგ.

ეკონომიკურად მომგებიანი, მაგრამ გარემოსთვის საფრთხის შემცველი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება ადგილობრივი თემების წინასწარი, სათანადო ინფორმირების და მათი მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ უნდა მოხდეს.

„მწვანე ეკონომიკის“ სისტემის განვითარება

თავისუფლების მოედანი წინააღმდეგია სახელმწიფოს მიერ ისეთი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებისა, რომელიც საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხს ამცირებს და გარემოსთვის მიყენებულ ზიანს უგულებელყოფს.

თავისუფლების მოედანი საჭიროდ მიიჩნევს ვალდებულების არსებობას, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ანგარიშების საჯაროობას უზრუნველყოფს. ასეთი ანგარიში უნდა მოიცავდეს სოციალური განვითარებისკენ მიმართულ, კონკრეტულ პოზიტიურ შედეგებს. არაფინანსური ანგარიშგების გადამოწმება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ სახელმწიფომ უნდა წაახალისოს.

სახელმწიფო ხაზინაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ჯარიმებით ან სხვა გარემოსდაცვითი მოსაკრებლით შემოსული თანხა, ყოველი გადახდა, უნდა იყოს გამჭვირვალე და ასევე გამჭვირვალედ იხარჯებოდეს გარემოსდაცვითი ზიანის ქმედით აღმოფხვრაზე.

გარემოსდაცვითი გადასახადების განაწილება ბიუჯეტის დონეზე უნდა განხორციელდეს, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გარემოსდაცვითი ზიანის აღმოფხვრისა და რეაბილიტაციისთვის თანხების ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

ბიოლოგიურად და ეკოლოგიურად უსაფრთხო, ორგანული სოფლის მეურნეობის წახალისება, მისი სტიმულირება და დაცვა უნდა გახდეს პრიორიტეტი ქვეყანაში, სადაც მცირემიწიანობა და რთული ლანდშაფტური რელიეფი არის გარდაუვალი მოცემულობა.

სურსათის უვნებლობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება

გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა ორი ურთიერთშეპირისპირებული დარგია. თუმცა კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ღონისძიებები და მდგრადი განვითარების პროგრამები არაერთი წელია, ცდილობენ ამ ორი დარგის ეფექტიან შერწყმას. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. ამ თვალსაზრისით საქართველოში, პირველ რიგში, გასატარებელია პესტიციდების, ინსექტიციდების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სისტემური პრეპარატების

გამოყენების წესების, ხარისხის, მათზე ინფორმაციის ფლობის რეგულაციები. ასეთი რეგულაციები დაიცავს, როგორც მომხმარებელს, ასევე საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს.

აუცილებელია ეკოლოგიური პროდუქციის წარმოების წახალისება და ხელშეწყობა, სისტემური პრეპარატების გამოყენების, უტილიზაციის კონტროლის და მათი ნაკლები გამოყენების ხელშეწყობა; ნიადაგის და ნიადაგური კონსორციუმის შენარჩუნების წახალისება, ხელშეწყობა; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მრავალფეროვნების წახალისება; მომხმარებლის უკეთესი ინფორმირებულობა.

სახელმწიფოს სისტემური მხარდაჭერაა საჭირო მეცნიერებისთვის, რომელსაც შეუძლია გადაჭრას თანამედროვე პრობლემები სოფლის მეურნეობაში, სურსათის მწარმოებლებისთვის (განსაკუთრებით მცირე ბიზნესი და კოოპერატივები), რომლებიც წარმოებაში არ იყენებენ გენმოდიფიცირებულ ნედლეულს ან ქიმიურ დანამატებს.

მოქალაქეების ჯანმრთელობას მრავალი თვალსაზრისით ვნებს ქიმიური დაბინძურება. საჭიროა დაუყოვნებლივი ძალისხმევა ქიმიური დაბინძურების შესამცირებლად.

აუცილებელია ქიმიკატების მეცნიერულად დაფუძნებული კლასიფიკაციის შექმნა ბუნებრივ ობიექტებთან და ცოცხალ ორგანიზმებთან ურთიერთქმედების მიხედვით, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ზემოქმედების გათვალისწინებით. შემდეგ კი, ამის საფუძველზე, საკანონმდებლო დონეზე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ქიმიური დაბინძურების ფაქტორიდან მოსახლეობის სისტემური ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკის, გამოვლენისა და რეაბილიტაციის მეთოდები.

ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება სამრეწველო ობიექტების სავალდებულო გარემოსდაცვითი დაზღვევა გარემოს პიკური და საგანგებო დაბინძურებისგან.

წრიული ეკონომიკის განვითარება

ნარჩენების ცალკე შეგროვების ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, სხვადასხვა წარმოშობის ნარჩენების უსისტემო შერევა, მრავალი სახის საქონლის მწარმოებლებისთვის გადამუშავების ვალდებულებების არარსებობა - ეს ყველაფერი არ გვაძლევს საშუალებას, უარი ვთქვათ ნარჩენების ეფექტიან განადგურებაზე.

არსებული სიტუაციის დასაძლევად საჭიროა მკაფიო ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც რეალურად აინტერესებთ სტრუქტურებს, რომლებიც მონაწილეობენ ნარჩენების გატანასა და განთავსებაში, მათ შორის:

მათი ხარჯების ნაწილის კომპენსაცია (რეგიონული და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით);

სახელმწიფო შეკვეთა (ან კვოტა) ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მეორადი მატერიალური რესურსების გამოყენებისთვის;

თანაინვესტირება ბიოგაზის შეგროვებასთან ერთად ორგანული ნარჩენების განთავსების სპეციალიზებული ნაგავსაყრელების აღჭურვილობაში;

სამომხმარებლო საქონლის დასაბრუნებელი შეფუთვის და მოხმარებული შესაფუთი მასალის ხელახლა გამოყენების უზრუნველყოფა;

საქონლის ასორტიმენტის გაფართოება, რომლის ფასები უნდა მოიცავდეს მათი განკარგვის ხარჯებს;

საყოფაცხოვრებო დონეზე მყარი მუნიციპალური ნარჩენების ცალკე შეგროვების სისტემური სტიმულირება;

ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრინციპების განახლება;

პრინციპულად უნდა შეიცვალოს მიდგომები ბუნებრივი რესურსების მოპოვებისადმი:

წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების სამეცნიერო და ტექნიკური დონის ამაღლება;

მიწისქვეშა წყლებისა და ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად თანამედროვე მეთოდების გამოყენება;

მადნის გამდიდრების მოწინავე მეთოდების დანერგვა;

სასარგებლო კომპონენტების ამოღება დაგროვილი სამთო ნარჩენებიდან და უხარისხო მინერალური ნედლეულიდან;

მკვდარი და ეროზირებული ნიადაგების რეკულტივაცია.

შინაურ ცხოველთა კეთილდღეობა

გამოწვევები

საქართველოში მიუსაფარი კომპანიონი ცხოველების პოპულაცია არნახულ ნიშნულს აღწევს (სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით, თბილისში 2015 წელს სულ 43,183 ძაღლი იყო. ძაღლების საშუალო რაოდენობა: 1 კმ² - 242.6). სათანადო სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო ძნელია ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, მაგრამ ვითარების სიმძიმე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და შემაწუხებელია, როგორც მოსახლეობის, ასევე ცხოველების მოყვარულთა და მათი დამცველებისთვის.

მოსახლეობა ორ ბანაკად დაიყო: ნაწილი მაღალი ემპათიით გამოირჩევა და საკუთარი ჯანმრთელობისა და რესურსების ხარჯზე თითოეული სიცოცხლის გადარჩენას ცდილობს. დანარჩენები უსაფრთხოებას ანიჭებენ უპირატესობას და უნდათ, რომ საზოგადოება დაცული იყოს დაკბენის/დაგლეჯის თუ დაავადებების საფრთხისგან. საქართველო რჩება ცოფის მაღალი რისკის ქვეყნად და ამ მომაკვდინებელი დაავადების დადასტურებული შემთხვევა, სამწუხაროდ, წელსაც დაფიქსირდა.

საქართველოში ცხოველის 50-მდე ცოფის დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება წელიწადში, ძირითადად ტყის სიახლოვეს. 2009-2018 წლებში ცოფზე შესამოწმებლად ლაბორატორიაში შევიდა 4 331 საეჭვო ნიმუში, რომელთა 21% დადასტურდა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ცოფის დადასტურებული შემთხვევებიდან იყო შემდეგი: 48.9% (177) ძაღლებში, 46.1% (167) პირუტყვში და 4.97% (18) გარეულ ცხოველებში. შემთხვევების დაახლოებით 75 % პატრონიან ძაღლებზე მოდის და მხოლოდ 25% - მიუსაფრებზე.

წლებია, ეს საკითხი მოუგვარებელი რჩება და პრობლემა სულ უფრო მწვავდება. საქართველოს მთავრობა აქაც ხელს უწყობს კონფლიქტის გაღვივებას, ცდილობს, ეს პრობლემა წარმოაჩინოს როგორც გადაუჭრელი და ისევ და ისევ ვიწრო ჯგუფის ინტერესებს ატარებს. სინამდვილეში არსებობს ამ საკითხის მოგვარების ჰუმანური, უკვე გამოცდილი გზები და რაც გვჭირდება, ამ გამოცდილების შესწავლა და საჭიროებებზე მორგებაა.

ამ პრობლემაზე დაპირისპირების მიზეზი არ არსებობს. მთელს საზოგადოებას სურს:

- ქუჩებში მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შემცირება;
- ეპიდემიოლოგიური რისკების აღმოფხვრა;
- ცხოველები არ ხვდებოდნენ უპასუხისმგებლო პირების ხელში, რომლებიც არ აკონტროლებენ საკუთარი ცხოველის ქცევას, ხელს უწყობენ აგრესიის ჩამოყალიბებას, არ ზრუნავენ ხმაურის და დაბინძურების აღმოფხვრაზე, ქუჩაში ყრიან საკუთარ ცხოველებს და მათ ნაყარს.

პრობლემები

1. **მიუსაფარი ცხოველების არნახული ჰიპერპოპულაცია**

დაურეგულირებელი იმპორტი და უკონტროლო გამრავლება უარყოფითად აისახება კომპანიონი ცხოველების ნაყარის ხარისხზე. გაუფასურებული კომპანიონი ცხოველი დიდი რაოდენობით გაედინება ქუჩაში. ამაზე მიუთითებს სულ უფრო მეტი ჯიშიანი და ჯიშიანთან ნაჯვარი ძაღლის/კატის გამოჩენა ქუჩებსა და თავშესაფრებში (ჯიშიანი და მეტისი ცხოველების ოჯახებიდან გადინებაზე დაახლოებითი წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფრის მონაცემებით: 10 182 ძაღლიდან 4 721 არის ჯიშიანი და მეტისი, რაც 46,3%-ს შეადგენს).

ქუჩის მიუსაფარი ცხოველების პოპულაცია იზრდება მათი მასიურად მოკვდინების (ხშირად არაჰუმანური მეთოდებით), პოპულაციისთვის სპეციფიკური ეპიდემიების თუ საგზაო შემთხვევების სიხშირის მიუხედავად.

მიუსაფარი ცხოველების ჰიპერპოპულაცია დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას, ხოლო ძაღლების ხროვების ჩამოყალიბება, რასაც მუნიციპალური სააგენტოების დღევანდელი პოლიტიკა უწყობს ხელს, საფრთხის შემცველიცაა.

2. **ეპიდემიოლოგიური რისკები**

ადამიანისა და ცხოველებისთვის საშიში დაავადებებიდან ყველაზე საყურადღებოა ცოფი. ცხადია, რომ დღევანდელი მიდგომით ამ დაავადების აღმოფხვრა საქართველოში ვერ ხერხდება.

ინფიცირებული ცხოველი ლეიშმანიოზის პირდაპირი გადამტანი არ არის, თუმცა ამ დაავადების ძირითად რეზერვუარს წარმოადგენს.

ფართოდაა მოდებული სახეობისთვის ისეთი სპეციფიკური ინფექციები, როგორიცაა ძაღლის ჭირი, ენტერიტი, კატების ვირუსული დაავადებები. ესენი ადამიანისთვის საშიში არ არის, თუმცა ცხოველებში მაღალი სიკვდილიანობით ხასიათდება.

3. დაუსჯელობა

არასათანადო მოპყრობა, მიტოვება, სისასტიკე, წამება, ძალადობა, მოწამვლა, ცეცხლსასროლი იარაღით ან ტირის თოფით დაშავება/მოკვდინება დაუსჯელი რჩება არსებული კანონმდებლობის გაუმართაობისა და აღმასრულებელი მექანიზმების უმწიფრობის გამო. დაუსჯელობის სინდრომი იწვევს ძალადობის ზრდას; გახშირდა ცხოველთა დამცველებზე ფიზიკური თავდასხმის ფაქტები.

პრობლემად რჩება ძაღლების ჩხუბები, რაც გართობის სისხლიანი და დაუნდობელი სახეა.

4. მონიტორინგისა და კონტროლის არარსებობა

არ არსებობს თავშესაფრების, ვეტერინარული კლინიკების, კინოლოგიური კლუბების, სასტუმროების, არასამთავრობო და სხვა ჩართული ორგანიზაციების მონიტორინგის მექანიზმები.

გაუმართავია ჩართული პროფესიონალების ლიცენზირების სისტემა.

არ კონტროლდება საკვების, ვაქცინებისა და მედიკამენტების ხარისხი.

შეუმუშავებელია ოჯახებსა და შემფარებლებთან კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის კონტროლის სისტემა.

5. ძაღლის ყოლის პირობების არარსებობა

სასეირნო სივრცეების, ადეკვატური სეირნობის საათების, დაწესებულებებთან მისაბმელების არარსებობა პატრონისთვის მეტად ართულებს ძაღლის მოვლას. ძაღლის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სეირნობასა და ფიზიკურ დატვირთვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ექმნება ჯანმრთელობის პრობლემები, ცხოველი არ გადის სოციალიზაციას, ხდება უფრო რთული სამართავი. ეს, თავის მხრივ, ზრდის ცხოველზე უარის თქმის მაჩვენებელს და, შესაბამისად, ამცირებს ქუჩიდან და თავშესაფრიდან ცხოველის აყვანის შანსებს.

კრიტიკული ნაბიჯები

გამართული, ადამიანისა და ცხოველის ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე ორიენტირებული კანონის ჩამოყალიბება და ამ კანონის აღსრულების მექანიზმების შემუშავება. მოცემული კანონი უნდა უპასუხებდეს არსებულ გამოწვევებს:

- არსებული ცხოველების იდენტიფიცირება და აღრიცხვა;
- კასტრაცია/სტერილიზაციის პროგრამა ბუნებრივ არეალში დაბრუნებით;
- ცხოველების იმპორტისა და გამრავლების მკაცრი შეზღუდვა - ლიცენზიების შემუშავება ხარისხობრობრივი მახასიათებლებისა და გენეტიკურ დაავადებებზე მკაცრი კონტროლით;
- ცხოველების მიტოვების აღკვეთა;
- მიუსაფარი ცხოველების ოჯახებში აყვანის ხელშეწყობა.

ეპიდემიოლოგიური რისკები ავტომატურად შემცირდება პოპულაციის შემცირებისა და ვაქცინებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის პარალელურად, ხოლო რიგი დაავადების, მათ შორის, ცოფისა და ლეიშმანიოზის აღმოსაფხვრელად საჭიროა თანმიმდევრული და სისტემური მიდგომა, რაც გულისხმობს დაავადების გავრცელების ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებას და ინტენსიური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას როგორც შინაურ, ასევე, გარეულ ცხოველებში.

ადეკვატური კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმების შემუშავება მოხსნის დაუსჯელობის პრობლემას. დანაშაულის ადეკვატური სასჯელი შეამცირებს რეციდივების ალბათობას. უპასუხისმგებლო პატრონებისა და მოძალადეების „შავი სია“ მნიშვნელოვანი ბერკეტია როგორც ძალადობის, ასევე, მიუსაფარი ცხოველების რაოდენობის შესამცირებლად. ჩამორთმეული ცხოველების დროებითი განთავსების

პუნქტები მათი რეაბილიტაციისა და შემდგომი გაჩუქების მიზნით მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საზოგადოებაში ცხოველების მიმართ ჰუმანური მოპყრობის დანერგვის თვალსაზრისით.

მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების შესაქმნელად საუკეთესო გზაა მონაწილე ორგანიზაციების ჩართვა ხარისხის მართვაში.

გასასეირნებელი ზონების გამოყოფა, სეირნობის ადეკვატური საათებისა და წესების ჩამოყალიბება, დაწესებულებებთან მისაბმელების განთავსება.

არსებული პრობლემები წლობით გროვდებოდა და მათი ერთ დღეში გადაჭრის გზები არ არსებობს. სახელმწიფომ მიუსაფარ ცხოველზე პასუხიმგებლობა სრულად აირიდა თავიდან - კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მიუსაფარ ცხოველზე პასუხისმგებელ ორგანოს, არ არსებობს კომპანიონ ცხოველთა შესახებ კანონი, კანონს მიღმაა დარჩენილი ისეთი ცხოველები, როგორიცაა ზაზუნა, კუ, თუთიყუში, დეკორატიული თევზები და ა.შ. აუცილებელი და სასწრაფოა მრავალმხრივი, სისტემური და თანმიმდევრული გეგმის შემუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგრძელდება რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა და პრობლემების შემდგომი აკუმულირება.

ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობიერების ასამაღლებელ, საგანმანათლებლო პროექტებს. ეს ხელს უწყობს როგორც ყველა სულიერ არსებასთან სათანადო მოპყრობის დანერგვასა და ძალადობის შემცირებას, ასევე პროვოცირებული აგრესიის (დაკბენა, დაკაწვრა) თავიდან აცილებას.

მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა და განგრძობითი დიალოგი აღმოფხვრის არსებულ დაძაბულობას, შეამცირებს საყოფაცხოვრებო კონფლიქტებს, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობას საკითხში. პრობლემის მოგვარება თანმიმდევრული მიდგომის პირობებში შესაძლებელია 3-5 წლის ვადაში.

თავისუფლების მოედანს მიაჩნია, რომ საზოგადოების მხარდაჭერით და შემოთავაზებული სტრატეგიული განვითარების განხორციელებით, შეძლებს საქართველოს წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების გადაჭრას; ადგილობრივი თუ ეროვნული დონის გამოწვევებთან გამკლავებას.

მოქალაქეებთან ერთად თავისუფლების მოედანი დაამარცხებს არსებული ხელისუფლების მიერ წახალისებულ საშუალო და მაღალი დონის კორუფციას; დანერგავს ძლიერ მექანიზმებსა და სისტემებს კორუფციის პრეცენციისთვის.

სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკის ხედვა დაეხმარება საქართველოს, გააუმჯობესოს გამჭვირვალობა ხელისუფლების ყველა დონეზე; წაახალისებს აქტიურ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებს; ხელს შეუწყობს მედიაწიგნიერებას, ინფორმირებულობას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო!